“ ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! - მძინარიც ამას ვდუდუნებ” - *ვაჟა*

განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2019 წ. დეკემბერი * №62 * ფასი 2 ლარი

გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან

საქართველო მართლმადიდებლური სახელმწიფოა

ეროვნული ენა საგანმანათლებლო

ანდრიაწმინდა, სამცხე (IV-X ს.ს.)

ეროვნული გმირი გაბრიელ ისაკაძე — გვ. 7-8

გიორგი ჯაფარიძის ფილმი – დანახვრეტილი საქართველო... — გვ. 13

მიზეზები, რომელთაც სახელმწიფო გადატრიალება გამოიწვიეს

თენგიზ კუპლაშვილი

უზენაესი საბჭოს დეპუტატი

1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალებამ ლახვარი ჩასცა საქართველოს მომავალს.

ეს არ იყო ცუდი ხელისუფლების დამხობა და კარგი ხელისუფლების მოსვლა. ეს იყო საქართველოს მტრების მიერ წინასწარ გათვლილი შორს გამიზნული ვერაგული გეგმა.

საქართველოში პოლიტიკური კრიზისების ბიძგის მიმცემი და კატალიზატორი ყოველთვის იქნება ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების დეფიციტი.

საქართველოში მოღვაწეობს დევნილი, დე იურე კანონიერი ხელისუფლება, რომელსაც თვითლიკვიდაცია არ გამოუცხადებია.

სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების მიღწევა, რაც ასე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, შესაძლებელია მხოლოდ ორი გზით: 1) უნდა აღსდგეს კანონიერი ხელისუფლება; თუ ეს არ მიიღწევა, მაშინ 2) დევნილმა კანონიერმა უზენაესმა საბჭომ ხელისუფლებასთან და პარლამენტს გარეთ დარჩენილ პოლიტიკურ პარტიებთან ერთად უნდა შეიმუშავოს და მიიღოს ახალი საარჩევნო კანონი, ამ კანონით ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნები.

ამ კანონით ჩატარებული არჩევნების შემდეგ მოსულ ხელისუფლებას ექნება ის სამართალმემკვიდროება და კანონიერება, რომლის აუცილებლობაზე ლაპარაკობენ სოციოლოგები და პოლიტოლოგები.

90-იან წლებში ქვეყნის შიგნით და გარეთ არსებული ობიექტური ვითარების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ რამდენიმე მიზეზი, რომლებმაც სახელმწიფო კრიმინალური გადატრიალება გამოიწვია.

ობიექტური ვითარება, რომელიც ზემოთ ვახსენე, შემდეგია:

ძალები, რომელთაც ხელთ უპყრიათ მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური მართვის ბერკეტები, რომლებიც გლობალური მსოფლიოსათვის ოცნებობენ და მისთვის „უნივერსალურ ეკლესიას“ და ერთ ახალ რელიგიას ამზადებენ, დაინტერესებული არ არიან ისეთი სახელმწიფოების არსებობით, რომლებიც საკუთარ კულტურას, ტრადიციებს, ცხოვრების წესს, აღმსარებლობას (ჩვენ შემთხვევაში, მართლმადიდებლობას) იცავენ და ეროვნულ ეკონომიკას ავითარებენ. ყოველივე ეს ხელს უშლის მსოფლიოს გლობალიზაციის პროცესს და ვერც მის შინაარსში მოიაზრება.

პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და ხელისუფლება გლობალიზაციის დინების საწინააღმდეგოდ მიცურავდნენ.

ვფიქრობ, დასავლეთის სურვილმა, ჩუმმა თანხმობამ ანუ დუმილმა, სახელმწიფო გადატრიალების უშუალო შემსრულებლებს მწვანე შუქი აუნთო.

თუკი ეს ასეა, მაშინ შეიძლება პირველ მიზეზად დასავლეთის ქვეყნების დუმილი ანუ ჩუმი თანხმობა ჩავთვალოთ.

გაგრძელება გვ. 2

მიზეზები, რომელთაც სახელმწიფო გადატრიალება გამოიწვიეს

დასაწყისი გვ. 1

რომის იმპერია სასტიკად უსწორდებოდა დაპყრობილი ქვეყნების აჯანყებულ მოსახლეობას, მაგრამ არასდროს განუცხადებია, რომ ეს ქვეყნები მისი ძირძველი მიწებია.

დიდი ბრიტანეთი სისხლში ახშობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ინდოეთში, მაგრამ არასდროს განუცხადებია, რომ დამორჩილებული ქვეყნები მისი ძირძველი მიწებია.

ეს კანონზომიერება ახასიათებს, როგორც ძველი სამყაროს, ასევე ახალი დროის ნებისმიერ იმპერიას.

ის, ვინც თუნდაც ზერელედ იცნობს რუსეთის იმპერიის ისტორიას, შეამჩნევს, რომ რუსეთის იმპერიული ამბიცია ზოგადიმპერიული ამბიციისაგან განსხვავდება. ეს განსხვავება გამოწვეულია და განპირობებულია იმით, რომ რუსეთის იმპერია მემკვიდრეა ჩინგისხანის მონღოლური იმპერიისა. ამ მემკვიდრეობაში შედის არამარტო მონღოლთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიები და სახელმწიფოებრივი ატრიბუტები, არამედ მონღოლთა სახელმწიფო სულიც. რუსი ღრმად არის დარწმუნებული, რომ დაპყრობილი ანუ „შეგროვებული“ მიწა ოდინდელი, ძირძველი რუსული მიწაა! მაგალითად ციმბირი, კურილის კუნძულები, კენისბერგი, კავკასია და ა. შ.

რუსული იმპერიული ამბიციის ეს თავისებურება, ეს განსაკუთრებულობა ერთნაირად ახასიათებს, როგორც „იმპერიის ჭანჭიკებს“, ასევე ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლებსაც.

რუსულ იმპერიულ ამბიციას სურს არამარტო მიწების დაპყრობა-შეგროვება, არამედ ავტოქტონი მოსახლეობის გარუსებაც.

აანალიზებს რა სლავების მიერ მონღოლური იდეის შერწყმა-შეთვისებას და ამ პროცესთან დაკავშირებულ მოვლენებს, ბატონი მურმან ზაქარაია წერს: „პრობლემა ის იყო, რომ სახელმწიფოებრივი (რუსული - თ. კ.) იდეა აგებული იყო სხვა სულიერ საწყისებზე. ამიტომ საჭირო იყო ამ დიდი იდეიდან მთავარის გამოყოფა, საკუთრად რუსულად გამოცხადება და მართლმადიდებლობასთან დაკავშირება. გამოსავალი მოძებნილი იქნა - გარუსება არარუსისა! შემდეგ ეს იქცა რუსული იდეის ქვაკუთხედად, რასაც ის დღემდე ახორციელებს და რაზეც აგებულია მისი სულიერი და მატერიალური ყოფა (მ. ზაქარაია, „ნარკვევი რუსულ იდეაზე“, თბ., 2005 წ.გვ. 23).

რუსი მოაზროვნეები გულისტკივილით აღნიშნავენ იმას, რომ თვით რუსი ერის ბუნებრივი განვითარების გზა ხელოვნურად გადაკეტეს. ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა პეტრე პირველისა და მისი მემკვიდრეების (რომანოვების დინასტია) დროს, როცა ქვეყანას ფაქტობრივად გერმანული (პრუსიული) ორიენტაციის უცხოელები მართავდნენ, რომელთათვის რუსი ერი და მართლმადიდებლობა, არც მშობელი ერი იყო და არც საკუთარი აღმსარებლობა.

ჩვენ ხშირად გვესმის დუმის ტრიბუნიდან ხელისუფალთა მუქარა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ, რომლებმაც დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა მოიპოვეს.

ჩვენ მოწმენი ვართ რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ინსპირირებული ეთნოკონფლიქტებისა ბალტიისპირეთსა და შუა აზიაში, იმიერ და ამიერ კავკასიაში, დნეპრისპირეთში... ჩვენ მოწმენი ვართ სისხლისმღვრელი ომისა მამაცი და თავისუფლებისმოყვარე ჩეჩნების წინააღმდეგ... მიზეზი კი ერთია: რუსეთის იმპერიული ამბიცია, რომელიც იკვებება ავადმყოფური, ბოდვითი რწმენით იმის შესახებ, რომ რაც თათარმონღოლთა იმპერიისგან მემკვიდრეობით მიიღეს და რაც მახვილით დაიპყრეს (და რასაც მიწების შეგროვებას უწოდებენ), ეს მათი ოდინდელი, ძირძველი მიწებია.

რუსულ იმპერიულ ამბიციას მძიმე დარტყმა მიაყენა ქართველმა ხალხმა, მისმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ლიდერობით.

საქართველო იყო ერთი პირველთაგანი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, რომელმაც რუსეთის იმპერიულ მარწუხებს თავი დააღწია და სახელმწიფოებრიობა აღადგინა.

რუსეთის იმპერიამ საქართველოს სახით დაკარგა არა მარტო, როგორც საკურორტო ზონა, მარგანეცის, ციტრუსების, ღვინის, ხილის მიმწოდებელი და სამხედრო მოკავშირე „მოძმე რესპუბლიკა“, არამედ მისმა დაკარგვამ ღრმა, მოუშუშებელი ჭრილობა მიაყენა მის იმპერიულ პატივმოყვარეობას.

ცხადია, მოსკოვი ვერ შეეგუებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას და ყოველ ღონეს იხმარდა იმისათვის, რათა მისთვის არასასურველი ხელისუფლება დაემხო.

არასასურველი ხელისუფლება დაამხო, სასურველი ხელისუფლება მოიყვანა, მაგრამ მიუხედავად ამისა მოსკოვი ძირს უთხრიდა და დღესაც ძირს უთხრის საქართველოს სახელმწიფოებრიობას აფხაზეთსა და შიდა ქართლში სეპარატიზმის ესკალაციით.

უნდა ითქვას ისიც, რომ თავად რუსეთის სახელმწიფოს დასუსტების მთავარ მიზეზს მისი აღვირახსნილი იმპერიული ამბიცია წარმოადგენს. თვით მისი ყოფილი „მოკავშირე რესპუბლიკები“, რომელთაც სურთ მეზობელ დიდ ქვეყანასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება, რუსეთის იმპერიული ამბიციების გამო იძულებულები არიან მოკავშირეები დასავლეთის ქვეყნებში მონახონ.

მასონური სამყარო, მსოფლიოს ახალი წესრიგისა და გლობალიზაციის მამები წარმატებით იყენებენ რუსული იმპერიული ამბიციის თავისებურებებს და რუსეთში მოღვაწე მათი ადეპტები ყოველთვის ცდილობენ რუსი ხალხი დაუპირისპირონ იმ სახელმწიფოებს და ერებს, რომლებმაც რუსეთის იმპერიის მარწუხებს თავი დააღწიეს, ყოველთვის ცდილობენ გაამართლონ სეპარატისტები, რომლებიც დამოუკიდებელი სახელმწიფოების ტერიტორიებზე თვითმარქვია უკანონო „რესპუბლიკებს“, „სახელმწიფოებს“ აცხადებენ და შემდეგ ამ „რესპუბლიკებისა“ და „სახელმწიფოების“ რუსეთთან შეერთებას მოითხოვენ. სეპარატისტების წაქეზება და გამართლება მარტო სიტყვიერად, „თეორიულ“ დონეზე არ ხდება. მათ სამხედრო ტექნიკითა და საჯარისო შენაერთებითაც ეხმარებიან.

საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მეორე მიზეზად რუსული იმპერიული ამბიცია და რუსეთში ფესვებგამდგარი მასონობა უნდა დასახელდეს.

3. უკვე 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებამდე გამოიკვეთა დაპირისპირება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიებს შორის.

საზოგადოებას რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ თითქოს ამ დაპირისპირებას საფუძვლად ედო განსხვავებული შეხედულებები ბრძოლის სტრატეგიასა და ტაქტიკაზე. მაგალითად ოპოზიცია ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვება შეუძლებელია არადემოკრატიულ ქვეყანაში. ამიტომ, ჯერ დემოკრატიის დამყარებას მოითხოვდნენ და მერე - თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. შესაბამისი ლოზუნგიც მოიფიქრეს: „ჯერ დემოკრატია, მერე დამოუკიდებლობა!„

ეროვნულ მოძრაობაში ჩანერგილ უგუნურ და უწიგნურ აგენტ „ლიდერებს“ ვერ შეაგნებინებდი იმას, რომ უცხო სახელმწიფოს მიერ ოკუპირებულ და ანექსირებულ ქვეყანაში დემოკრატიის დამყარება აბსურდია.

ლაპარაკობდნენ იმის შესახებაც, რომ ჯერ მთავარია გაერომ საქართველო აღიაროს, როგორც კოლონია, კოლონიური ქვეყანა, მერე კი დამოუკიდებლობისთვის ვიბრძოლოთ. 1990 წლის 23 მაისს მოწვეულ ეროვნულ ყრილობაზე ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა პარლამენტური გზით ჩიხში მოაქცევს ეროვნულ მოძრაობასო. „წინასწარმეტყველებდნენ“ იმასაც, რომ ლიტვას ეს გზა დამარცხებამდე მიიყვანსო... იყო მრავალი სხვა ნაბოდვარი. ერთი სიტყვით, რამდენი ოპოზიციური პარტიაც არსებობდა, იმდენი „ხსნის გზაც“ გამოჩნდა.

არჩევნების ჩატარებისთანავე აღმოჩნდა, რომ ამ დაპირისპირებას საფუძვლად განსხვავებული შეხედულებები კი არ ედო, არამედ განსხვავებული შეხედულებებით კარგად შენიღბული ერთი მთავარი ამოცანა - ხელისუფლებაში ეროვნული ხელისუფლება არ უნდა მოსულიყო!

ამ მიზნით გაერთიანებულმა ოპოზიციურმა პარტიებმა ე.წ. კონგრესის არჩევნები ჩაატარეს, მაგრამ ამ უმწეო და სასაცილო არჩევნებმა, ცხადია, უმწეო და სასაცილო „კონგრესი“ აირჩია.

კონგრესმა ვერ შეასრულა ის ფუნქცია, რაც დაკისრებული ჰქონდა: კანონიერი ხელისუფლების პარალელური სტრუქტურის შექმნა და „დემოკრატიული არჩევნებითა“ და „მშვიდობიანი“ მეთოდებით მისი ადგილის დაკავება.

სულ მალე ქუჩის ოპოზიციას უზენაეს საბჭოში არსებული ოპოზიციაც შეუერთდა.

გაერთიანებული ოპოზიცია დირექტივებს მოსკოვიდან იღებდა. ამჯერად მათ დაავალეს სახელმწიფო გადატრიალება შეიარაღებული გზით. ამაზე მეტყველებს ოპოზიციის ლიდერთა ხშირი სტუმრობა მოსკოვში შევარდნაძესთან, რომლის „მამაშვილური“ დარიგებებით გულმოცემული საქართველოს მომავალი პრეზიდენტობის ახალგაზრდა კანდიდატები აშკარად დაადგნენ ღალატის გზას და რუსეთის შეიარაღებული ძალების დახმარებით და უშუალო მონაწილეობით მოახდინეს შეკვეთილი სახელმწიფო გადატრიალება.

ამ დღიდან დაიწყო საქართველოს დაღუპვის პროცესი.

უეჭველია ის, რომ ოპოზიციური პარტიებისა და მათი ლიდერების ღალატი სახელმწიფო კრიმინალური გადატრიალების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ემხრობოდა. სახელმწიფო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ ერი ერთ მუშტად შეკრა, რაც განსაკუთრებით 9 აპრილის ტრაგედიის შემდგომ გამოიკვეთა.

ამ ვითარებაში გამოვლინდა საზოგადოების მცირე ნაწილი, რომელიც ეროვნული ინტერესების ერთგულებით არასოდეს გამოირჩეოდა... ესენი იყვნენ კომპარტიის ნომენკლატურის, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, კომუნისტური რეჟიმის მეხოტბე მწერლები, რეჟისორები, მსახიობები, მეცნიერები...

ზვიად გამსახურდია ამ ადამიანებს კრიმინალურ ინტელიგენციას უწოდებდა. ეს ადამიანები ოპოზიციას მხარს უჭერდნენ და აქეზებდნენ. დემაგოგიური გამოსვლებით, ჭორების გავრცელებით მათ შეძლეს მოსახლეობის ძალზე უმნიშვნელო ნაწილის (ძირითადად არაქართველების) და ამბიციური სტუდენტი ახალგაზრდობის გადაბირება და ხელისუფლებასთან დაპირისპირება.

აი, როგორ ცდილობს ეს ინტელიგენცია უცხოელი ჟურნალისტის დარწმუნებას გამსახურდიას დიქტატორობაში... აჯანყების აუცილებლობაში... რუსის ჯარის ნეიტრალიტეტში... ფრანგი ჟურნალისტი პეტერ შოლ-ლატუერი, რომელიც პუტჩის დღეებში თბილისში იმყოფებოდა, წერს: ჩვენი მასპინძლის „სახლში თავი მოეყარა ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს - ექიმებს, მწერლებს, პროფესორებს. მანდილოსნები ყველაზე მეტად აქტიურობდნენ და საუბარს მძაფრ ტონს აძლევდნენ. ქალები ირონიითა და დაცინვით მოიხსენიებდნენ მათ მიერ დიქტატორად შერაცხულ ზვიად გამსახურდიას... „ოხ, ეს ზვიად მეფე“, - ქირქილებდნენ წარამარა განუწყვეტელ სადღეგრძელოებსა და ერთმანეთისადმი გაუთავებელ დითირამბებს შორის... ჩემი მდიდარი მასპინძლის ოჯახში ინტელიგენტები მიმტკიცებდნენ, რომ საქართველოში დაბანაკებული რუსეთის ჯარი ერთმანეთს დაპირისპირებულ ძალთა შორის არ ერევა. თითქოს სანიმუშოდაც კი იქცევიან, მაგრამ სინამდვილეში არსებობს საიდუმლო არხები, რომლის მეშვეობითაც პუტჩისტებს КГВ-ს აპარატი აიარაღებს“ (ჟურნალი „კარდუ-2000“, N3, 1996 წ. გვ. 36-37).

ფაქტობრივად, ინტელიგენციის ეს წარმომადგენლები სახელმწიფო გადატრიალების იდეოლოგებად იქცნენ.

ეს ადამიანები „დიდი პოლიტიკოსის“ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებას და მის გაპრეზიდენტებას მოითხოვდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ პრეზიდენტი გამსახურდია სახელმწიფოს ძარცვის უფლებას არავის მისცემდა.

სახელმწიფო კრიმინალური გადატრიალების შემდეგ ინტელიგენციის ამ ნაწილმა „დიდი პოლიტიკოსი“ შევარდნაძისაგან სიტყვიერ მადლობასთან ერთად, იარაღის ხელში აღებისთვის, მათი რეგალიებისა და დამსახურების გათვალისწინებით, ქვეყნის ძარცვის ნებართვაც მიიღეს.

...მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მიზეზები, ყველა ერთად აღებული, მაინც საკმარისი არ იქნებოდა სახელმწიფო გადატრიალების მოსახდენად.

ვერც ერთი მტრულად განწყობილი ქვეყანა ვერ შეძლებდა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოხდენას ოპოზიციური პარტიებისა და კრიმინალური ინტელიგენციის ღალატის გარეშე. ვერ შეძლებდა იმ დედის ძუძუნაწყენი მანქურთებისა და ქვაბავაზაკთა გარეშე, რომლებიც იარაღით ხელში ქართველ პატრიოტებზე მანიაკალური ჟინით ნადირობდნენ.

ციხე შიგნიდან გატყდა.

მთელი პასუხისმგებლობა 1991-1993 წლების მოვლენებზე, სახელმწიფო კრიმინალურ გადატრიალებაზე და მისგან გამომდინარე საქართველოს დღევანდელ კატასტროფულ მდგომარეობაზე ამ ხალხს ეკისრება.

მოკლედ დავით გარეჯის შესახებ

1723 წელს გამოცემულ რუკას, სადაც დავით გარეჯია დაფიქსირებული(რედ.).

* * *

მას მერე, რაც აზერბაიჯანი არაბთა ბატონობისგან განთავისუფლდა, X საუკუნიდან, მის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ოთხი დამოუკიდებელი სამთავრო: შირვანის (შამახაში), შედადიანების (განჯაში), სალარიდების (არდებილში) და საჯიდების (სამხრეთ აზერბაიჯანში).

XI საუკუნის მეორე ნახევრიდან მახლობელ აღმოსავლეთში პოლიტიკურ არენაზე გამოდიან თურქ-სელჩუკები, რომელთა გავლენის ქვეშ, სხვებთან ერთად, აზერბაიჯანელებიც მოექცნენ.

თურქ-სელჩუკებმა, დავით აღმაშენებლის წყალობით, ვერ მოიკიდეს ფეხი საქართველოში, რომელიც ამ დროს ერთიანი ძლიერი სახელმწიფო იყო და რომლის პოლიტიკურ ორბიტაში იყო მოქცეული აზერბაიჯანი.

ქართველები და აზერბაიჯანელები ერთად ებრძოდნენ თურქ-სელჩუკებს. მაგალითად, დავით აღმაშენებლის მთავარსარდლობით ქართულ-აზერბაიჯანულმა ლაშქარმა ორჯერ სძლია თურქ-სელჩუკებს - 1117 დ 1123 წლებში, ხოლო გიორგი მესამემ, 1165 წელს ილდეღიზიადთა სამეფოსა და თურქ-სელჩუქთა გაერთიანებული ლაშქარი დაამარცხა და განჯა გაათავისუფლა.

* * *

ირანში თურქ-სელჩუკთა გამოჩენას და მათ მიგრაციას აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთ ირანისკენ სპარსული ლიტერატურული ცენტრის აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთისკენ - შირვანშაჰთა კარზე გადაადგილება მოჰყვა, სადაც შეიქმნა შივრვანის ლიტერატურული სკოლა, რომლის სიდიადეზე ნიზამი განჯელისა და ხაყანი შირვანელის სახელთა ხსენებაც კმარა.

ამასთან ერთად, მიგრაციის პროცესს მოჰყვა ასიმილირება ადგილობრივ მოსახლეობასთან და მრავალენოვან ქვეყანაში მთავარი ადგილი დაიჭირა თურქულ-აზერბაიჯანულმა ენამ, თუმცა სალიტერატურო ენად, როგორც მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, სპარსული დარჩა.

* * *

დავით აღმაშენებელმა, რომელიც ერთნაირად იხედებოდა დასავლეთისა და აღმოსავლეთისკენ, აზერბაიჯანელებთან პოლიტიკური ახლო ურთიერთობა დინასტიური ქორწინებითაც განამტკიცა - ქრისტიანმა მეფემ თავის ქალიშვილი თამარი მუსლიმ შირვანშაჰ მანუჩარ მეორეზე დააქორწინა.

გაჩაღდა კულტურული კავშირები ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროს შორის. ჩევეულებრივი გახდა ერთმანეთის რელიგიურ დღესასწაულებსა თუ კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება და მონაწილეობა, ერთმანეთის ჭირ-ვარამის გაზიარება. თარგმანისა და მიბაძვა-გადაკეთების გზით, დიდი რაოდენობით იწყო შემოდინება სპარსულენოვანმა მწერლობამ ქართულ ლიტერატურაში.

ცნობილია დავით აღმაშენებლის შემწყნარებლური დამოკიდებულება მუსლიმთა მიმართ. არაბ ისტორიკოსთა ცნობების მიხედვით, რომლებიც ერთიერთზე ემთხვევა ერთმანეთს, მუსლიმები თბილისში უკეთ გრძნობდნენ თავს, ვიდრე ისლამური სამყაროს ბევრ სხვა ქვეყნებში.

* * *

თანამედროვე უცხოელ პოლიტოლოგთაგან ხშირად გაისმის რადიარდ კიპლინგის მოარული გამონათქვამი: „აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი და დასავლეთი - დასავლეთი, ისინი ვერასდროს შეხვდებიან ერთმანეთს.“

აღმოსავლეთში იგულისხმება ისლამი, ხოლო დასავლეთში - ქრისტიანობა.

ჩვენი აზრით, ისინი შეხვდნენ ერთმანეთს ჯერ კიდევ XII საუკუნეში და ის კულტურული ურთიერთობანი, რაც არსებობდა მაშინ ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის, შეიძლება ჩავსვათ ცივილიზაციათა დიალოგის, ასე ვთქვათ, ოქროს ჩარჩოში.

დიალოგი ცივილიზაციათა შორის შეიძლება მოხდეს ძალდატანებისა და მშვიდობიანი გზით. აღნიშნული დიალოგი კი მოხდა მშვიდობიანი გზით, რაც, ვფიქრობთ, ერთადერთია ქრისტიანობასა და ისლამს შორის არსებულ ურთიერთობათა ისტორიაში.

ამ დიალოგმა კი, უპირველეს ყოვლისა, ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხთა გულებზე გაიარა.

* * *

VI საუკუნეში ერთ-ერთი ასურელი მამა - დავითი, თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად, დასახლდა გარეჯის უდაბნოს პატარა ბუნებრივ მღვიმეში, საიდანაც საფუძველი ჩაეყარა სამონასტრო კომპლექსის მშენებლობას, რომელიც შემდეგ, საუკუნთა განმავლობაში, ქართველ სულიერ მამათა სავანე და ქართველ ქრისტიანთა მოსალოცი წმინდა ადგილი გახდა, ამავე დროს იგი, ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უდიდეს სამწიგნობრო კერად იქცა.

ცნობილია, რომ ამ სავანეში, ქართველ ქრისტიანთა გარდა, არასოდეს არავინ არ მოსულა და თუ მოსულა (მონღოლები, თემურელები, სპარსელები), არა სალოცავად, არამედ - ასაოხრებლად.

პრობლემა წარმოიშვა გასაბჭოების მერე 1921 წლიდან, როცა ორ მეზობელ რესპუბლიკას შორის საზღვრის დადგენისას, სამონასტრო კომპლექსის მცირე ნაწილი - ბერთუბანი, რომლის მონასტრის კედლები თამარ მეფის, ლაშაგიორგის და ლუკიანეს მიერ ირმების წველის გამოსახულებებით არის მომშვენებული, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩნდა.

საბჭოთა ათეისტურ ხანაში ხომ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა სამონასტრო კომპლექსის რა ნაწილი საზღვრის რომელ მხარეს მოექცეოდა. მათთვის ხომ ბერთუბანს ბოსლის ფასიც არ ჰქონდა.

იმედია, ორივე მხარე გამონახავს საერთო ენას და ორ ხალხს შორის გაგრძელდება ის კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმიდან იღებს სათავეს.

ნომადი ბართაია

4-5 ოქტომბრის შეიარაღებული იერიშით მთავრობის სასახლეზე, საქართველოში დაიწყო პუტჩი!

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარემოცვა მოწმობს, რომ მიუხედავად ოპოზიციის აგრესიული მოქმედებისა, პრეზიდენტს არ სჯეროდა, რომ ისინი იარაღს გამოიყენებდნენ თავიანთი მიზნის მისაღწევად. 4-5 ოქტომბერს კი მაინც დადგა ეს საბედისწერო ფაქტი, როდესაც ე.წ. პოლიტიკურმა ოპოზიციამ ტყვიები დაუშინა მთავრობის სასახლესა და ხალხს, რა დროსაც დაიღუპა ერთი (გია ტეტელაშვილი) და დაიჭრა მთავრობის მომხრე 70 -ამდე ადამიანი.



ქვემოთ გამოქვეყნებულ მიმართვას, მართალია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან ერთად ხელს აწერს თითქმის მთელი უშიშროების საბჭო, მაგრამ როგორც მალე გახდა ნათელი, ხელმომწერ უშიშროების საბჭოს ამ წარმომადგენელთა აბსოლუტური უმრავლესობა თავად აღმოჩდა ჩართული პუტჩში და შეთქმულების მონაწილენი გახდნენ (რედ.).

მიმართვა ქართველი ერისადმი, მსოფლიოს სახელმწიფოებისა და მთავრობებისადმი

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა„|№186 (206),1991წ.

საქართველოში გრძელდება სამხედრო და სამოქალაქო პუტჩი, რომელიც მიზნად ისახავს ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლებისა და პრეზიდენტის დამხობას. პუტჩს ხელმძღვანელობს ხუნტა, რომელიც შედგება შემდეგი პირებისაგან: თენგიზ სიგუა (საქართველოს მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე), თენგიზ კიტოვანი (გვარდიის ყოფილი სარდალი), გიორგი ხოშტარია (საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი) და სხვები. პუტჩის შტაბბინა შავნაბადაზე, სადაც დაბანაკებულია ყოფილი გვარდიელებისაგან შემდგარი უკანონო შეიარაღებული ფორმირება. პუტჩის ორგანიზატორები დაუკავშირდნენ პარლამენტსგარეშე პარტიებისა და საზოგადოების ერთ ნაწილს და ალიანსი დაამყარეს მათთან. ეს პარტიებია: ე.წ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია), ე.წ. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია (თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი), ე.წ. ქრისტიანდემოკრატიული კავშირი (თავმჯდომარე ირაკლი შენგელაია), ე.წ. სახალხო ფრონტი (თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე), რუსთაველის საზოგადოება (ყოფილი თავმჯდომარე აკაკი ბაქრაძე) და სხვანი. ამას გარდა პუტჩისტებს მიემხრო ნაწილი უზენაესი საბჭოს დეპუტატებისა: ელდ არ შენგელაია, ნოდარ ნათაძე, რომან გოცირიძე, დავით ბერძენიშვილი, თამაზ დიასამიძე, პაატა კოღუაშვილი, ვაჟა ადამია, გიორგი ხავთასი, აკაკი ბობოხიძე, დავით კუპრეიშვილი, თედო პაატაშვილი და სხვები, რომელნიც ალიანსში არიან კომუნისტ დეპუტატებთან და ყოველნაირად ცდილობენ დარაზმონ პარლამენტი პრეზიდენტის წინააღმდეგ, მიაღწიონ პრეზიდენტის პოსტის გაუქმებასა და პრეზიდენტის გადაყენებას. ხუნტას მხარს უჭერენ საქართველოს ხელისუფლებაზე განაწყენებული, თანამდებობადაკარგული პირები, ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც პრივილეგირებული იყო კომუნისტური რეჟიმის დროს, კორუმპირებული კომუნისტური მაფია, ე.წ. ეროვნული კონგრესის აგიტაციით გზააბნეული ნაწილი ახალგაზრდობისა, აგრეთვე მხედრიონის კრიმინალური ჯგუფები.

ხუნტა აწყობს საპროტესტო აქციებს საქართველოში პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, ცდილობს შექმნას ანარქია და დესტაბილიზაცია, ხელი შეუწყოს ეკონომიკურ კრიზისს, ბოლო ხანს იგი ცდილობს ტელევიზიის ხელში ჩაგდებას უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მეშვეობით. იყო რამდენიმე ცდა მთავრობის სახლზე თავდასხმისა. ხუნტის მოქმედება თავიდან ბოლომდე ანტიკონსტიტუციური და ანტიეროვნულია, იგი უნდა დაგმოს ქართველმა ერმა, როგორც ღალატი საქართველოს ეროვნული ინტერესებისა.

ხუნტას მძლავრი მხარდაჭერა აქვს მოსკოვის რეაქციული ძალების მხრიდან. რომლებთანაც ხუნტას აკავშირებენ პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ვ. ადვაძე და გაზეთ მოსკოვსკიე ნოვოსტის“ კორესპონდენტი ა. მიქაძე. ე. შევარდნაძე ფაქტობრივად წარმართავს ხუნტის საქმიანობას, უგზავნის ინსტრუქციებს და ყოველნაირად ეხმარება. ხუნტას მხარს უჭერენ, აგრეთვე რსფსრ პარლამენტის რეაქციულ-შოვინისტური ძალები, საქართველოს წინააღმდეგ მობილიზებულია მთელი საბჭოთა პრესა და ტელევიზია, ხდება დეზინფორმირება უცხოეთის საზოგადოებისა.

მოსკოვის მიზანია ხუნტის მეშვეობით მოახდინოს საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება, შექმნას ისეთი რეჟიმი მმართველობისა და ისეთი მთავრობა, რომელიც საქართველოს კვლავ დაუქვემდებარებს ცენტრს და ხელს მოაწერს ე.წ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, რითაც საქართველო მათი გეგმის მიხედვით, სამუდამოდ უნდა დარჩეს რუსეთის მოდერნიზებული საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში.

ქართველი ერი უნდა აღსდგეს თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად, 1990 წლის 28 ოქტომბრის დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების დასაცავად, პუტჩი უნდა შეწყდეს და დაიშალოს მათი უკანონო სამხედრო ფორმირება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აიცილებენ თავიდან მისი ორგანიზატორები სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ჩვენ მივმართავთ მსოფლიოს სახელმწიფოთა მთავრობებს, დაიცვან დემოკრატიის გზაზე დამდგარი საქართველო და მისი კანონიერი ხელისუფლება იმპერიული მტრული ძალების აგრესიისაგან და დაუყოვნებლივ ცნონ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო

ზ. გამსახურდია, ა. ასათიანი, ბ. გუგუშვილი, ნ. გიორგაძე, ნ. მოლოდინაშვილი, თ. ნინუა, მ. ომანიძე, ვ. რაზმაძე, ფ. ტყებუჩავა, ჯ. ფირცხალაიშვილი, კ. ფირცხალავა, ვ. ქობალია, ბ. ქუთათელაძე, დ. ხაბულიანი, ჯ. ხეცურიანი, ჯ. გოლეთიანი, ზ. ბოკუჩავა

უახლესი ისტორიის წიგნი

„პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა“



გამოვიდა 920 გვერდიანი ისტორიული მონოგრაფია "პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა" - შეძენა შესაძლებელია მეტრო "მარჯანიშვილის" კედელთან მდგარ გაზეთების გამყიდველთან 8 საათიდან 20 საათამდე(შაბათ-კვირის ჩათვლით), მეტრო "თავისუფლების" გვერდით მდებარე რესპუბლიკის ბაღის გისოსებთან მდგარ წიგნების გამყიდველ ირაკლისთან, ოპერის მოპირდაპირე ავტობუსის გაჩერებასთან არსებულ გაზეთების გამყიდველთან, მეტრო "რუსთაველთან" კინოს სახლის (აკადემიის) კუთხეში 13 საათიდან 19 საათამდე(შაბათის ჩათვლით). ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე ილიას უნივერსიტეტის წიგნების მაღაზიაში „ლიგამუსი“ - ჭაჭავაძის N32. წიგნების მაღაზია „ლატერნა“ - რუსთაველის პრ. N16, მეტრო "ვაგზლის მოედნის" ხელმარჯვნივ გაყოლებაზე მდგარ გაზეთების გამყიდველთან, "ბიბლუსის" მაღაზიათა ქსელში ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში. წიგნის შეძენა, აგრეთვე შესაძლებელია გლდანის ღვთისმშობლის ეკლესიის მესანთლესთან (ეკლესიის წინამძღვარი მამა ბასილ მკალავიშვილი).

წიგნის ავტორისაგან: შესაძლოა მავანს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ჩემეული შეფასების ობიექტურობასთან დაკავშირებით, გაუჩნდეს აზრი, რომ მე, როგორც მისი უკანასკნელი პერიოდის თანამებრძოლი(1986 წ.), არა ვარ თავისუფალი სუბიექტივიზმისაგან. მითუმეტეს, ჩემს ოპონენტებში არსებობს მცდარი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მე, თითქოს ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლების რომელილაც სტრუქტურაში ვმსახურობდი; შევარდნაძის პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ელენე თევდორაძის მიერ 1997 წელს, ჩემს პოლიტპატიმრობასთან დაკავშირებით გაკეთდა ხმამაღალი განცხადება, რომ მე ორთაჭალის გმირთა მემორიალზე

→

რაც ვნახე და განვიცადე

1992 წლის იანვარი. ცუკვითი დაფლეთილი სახელმწიფო დროშა



მთავრობაში მიღებულმა მწერალმა ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ თითქოსდა ორაზროვნად თქვა: ,,კონსტანტინე მაშინ შეცდა ზვიადი რომ დაარქვა შვილსო“.

დ ი ა ხ, ზ ვ ი ა დ ი!

შევარდნაძე კიტოვანის ,,ძლევამოსილ“ არმიას აფხაზეთის დასალაშქრად აგზავნიდა. საპროტესტოდ მისულ ხალხს პოეტმა იზა ორჯონიკიძემ შესძახა: ,,ნ უ ზ ვ ი ა დ ო ბ თ ო!“

ზვიადი და ზვიადობა გაეჩხირათ ყელში, მაგრამ მაინც ზვიადი. ეროვნულ–გამათავისუფლებელი მოძრაობის მებაირახტრე, დისიდენტი, პოეტი, მკვლევარი, მთარგმნელი, სამშობლოს განმათავისუფლებელი, ერის ჭირისუფალი და მამულისათვის შეწირული ზვარაკი.

ყველა ხელისუფლება, რომელიც სამხედრო გადატრიალების შემდეგ ,,მართავს“ ქვეყანას, ელდანაკრავივით კრთება მისი სახელის ხსენებაზე, კანკალებენ 1989 წლის 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის და 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის სიდიადის წინაშე. 80 წლისაა საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ილია ჭავჭავაძის დამტირებელი დედაკაცი მაძლევს გამბედაობას, შევეხო მის დიად სახელს, მოვიგონო რეალური ამბები, რაც ჩემ თვალწინ მოხდა.

წლები გავიდა, ვერ ვაპატიე საქართველოს მტრებს ღალატი, რადგან მათ იცოდნენ, რას აკეთებდნენ.

იგი ბედნიერ ვარსკვლავზე დაიბადა. შვილობა დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიასი პრივილეგია უნდა ყოფილიყო, მან კი მარტვილის გზა აირჩია.

ჯერ იყო გამსახურდია და ძმანი მისნი, მერე ზვიადი და მერაბი, მერე, როცა მერაბ კოსტავა დაიღუპა, მარტო დარჩა.

ბორითში მომხდარი ტრაგედიით შეძრწუნებულმა მონაფეებმა უჩა ჯაფარიძის ნახატი ,,ცალულელა“ დამახვედრეს. ბავშვებს 9 აპრილით გამოწვეული ტკივილი არ ჰქონდათ განელებული და უკვე მერაბს სტიროდნენ. მართლა მარტო დარჩა და იმძლავრა სატანამ.

ს ა მ ი ზ ნ ე...

ზვიად გამსახურდიას ზურგიდან და მკერდიდანაც უნდა მოეგერიებინა მტრები. ბოლშევიკები დაბადებიდან ებრძოდნენ, ვერ სძლიეს. შემდეგ თვით ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობაში გააქტიურეს ძალები სხვადასხვა პარტიების სახით.

1990 წლის 19 მაისს ქუთაისში იმართებოდა დიდი მიტინგი. იმ დღეს ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის აქტივისტებმა თავდასხმა სცადეს ბატონ ზვიადზე. სიტყვით გამოსვლის დროს შემზარავად გაისმა საშინელი შეძახილი; ,,დაჭკარით!“ ხალხი აზვირთდა. მაღლა აღმართეს წიგნი ,,საქართველოს სულიერი მისია“. ისინი უხმობდნენ წინამძღოლს, გმირს, ჯერ ხმადაბლა, შემდეგ ხმამ იმძლავრა და გუგუნში გადაიზარდა: ,,ზ ვ ი ა დ ი, ზ ვ ი ა დ ი!“ მეორე დღეს მესხიშვილის თეატრში წაკითხულმა ლექციამ ,,გელათის სულიერი მისია“ იგი ყველას ახლობელი გახადა. 1991 წლის 7 სექტემბერს ქუთაისში არსებულ ,,დედათა ლაშქრის“ წარმომადგენლებმა, რომელთა ძირითადი ნაწილი მართლა დარბაისელი ქალები ბრძანდებოდნენ, გადაწყვიტეს შავნაბადაზე კიტოვანთან შეხვედრა. აგრესიული გვარდიელები მტრულად შეგვხვდნენ, არ გვაძლევდნენ ნებას შევსულიყავით ,,სარდალთან“. იმათგან რამდენიმე ჩემკენ წამოვიდა: ,,კაკო მასწავლებლის დედა“ – მომესმა გაკვირვებული ხმა(ჩემი შვილი ახალქალაქის რაიონის სოფელ გოგაშენის საშუალო სკოლაში ასწავლიდა). წარმოსადგენადაც ძნელი: გოგაშენიდან წამოყვანილ ბიჭებს აიძულებდნენ ებრძოლათ ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ – ბიჭებს, რომლებმაც 1990 წლის 8 თებერვალს(26 იანვარი) ქისით ჩამოიტანეს მინა ჯავახეთიდან და მოაბნიეს დავითის საფლავზე. დიდი ვაივაგლახით დაგვრთეს ნება ტერიტორიაზე შესვლისა. თან მახლა პედაგოგი კლარა რიჟამაძე. კიტოვანის შტაბში ნაცნობი გარემო დამხვდა: თენგიზ კიტოვანი, თემურ გუგეშაშვილი, გიორგი ხოშტარია, თენგიზ სიგუა.

პრეზიდენტი უნდა გადადგეს – ასეთი იყო კიტოვანის მოთხოვნა. იგი ვერას და ვაკეს არ უნდაო?! შავნაბადაზე მომდგარი დამპყრობლები გამახსენდა. მე–11 არმიის აჩრდილი დაძრწოდა. ყვირილი მინდოდა. ხოშტარია მოვიძიე. მისთვის რომ გამეხსენებინა 90 წლის 18 თებერვალი, ქუთაისში ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების დაარსება. იგი ზვიად გამსახურდიას მოწაფედ ასაღებდა თავს. მოსალოდნელ ღალატზე შეშფოთდა: ბოლომდე ერთგული ვართ, თავსაც კი გავწირავთ მისთვისო. იუდას ღალატი მონაგონი იყო მასთან შედარებით. იუდამ თავი მოიკლა, ხოშტარია კი ურცხვად შეფარებოდა საქართველოს მტრებს.

მაოხარი მკვდარი

2008 წლის მაისის ჟურნალ ,,ბომონდში“ ქეთი დარჩია წერს, რომ მისი სტუმარია პოლიტიკოსი, რომელმაც ეპოქა მუჭში მოიმწყვდიაო. გამოუცდელობით ნათქვამად ჩავთვალე, მაგრამ დღეს მიკვირს, რისი სსრ კავშირის დაშლა, ბერლინის კედელის დანგრევა შეეძლო შევარდნაძეს, რომელმაც საქართველო მართლა დაანგრია და სულიერად გაძარცვა: თვითმფრინავის საქმეზე დახვრეტილი ბიჭები, ნაზი შამანაურის და მისი დედის წამებით სიკვდილი, 9 აპრილის ტრაგედია, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩაბარება, ესენგეში შესვლა, სამეგრელოს დარბევა, სპეცოპერაციები, გოჩა ესებუას ვერაგული მკვლელობა 31 მარტს, კაკო ელიავასა და გოჩა გვილავას ჩაცხრილვა და საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლა.

გაუბედურებულმა, ორდენებჩამოკიდებულმა ინტელიგენციამ მას მიაწერა ქართული ენის დაარსება, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაც?! კაცმა, რომელმაც ორჯერ ალოკა გადაფურთხებული: გადავდგებიო და არ გადადგა, სოხუმი რომ დაეცემა მეც დავეცემიო, დაბრუნდა და ორდენითაც დაუმშვენეს მკერდი. მაოხარი მკვდრის ნაშიერები: მისი გამობრძმედილი ვაიპოლიტიკოსები და წითელი ინტელიგენცია წეწავენ საქართველოს. აი, ისინი მოიქცია მუჭში შევარდნაძემ.

ზვიად გამსახურდიამ შეძლო მაშინ, როცა საქართველოს ტერიტორია გაჭედილი იყო რუსული იარაღით, რუსი სამხედროებით, ჩაატარა რეფერენდუმი, გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დამოუკიდებლობის აქტის შესავალში ჩაწერა: ,,რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია“. იგი არ შეეკრა ბილწს ზავითა. ვერც ქედი მოახრევინეს და მოკლეს, მაგრამ ,, ვერ მოკლეს, ვერა“. იგი 80 წლისაა, იცოცხლებს იმდენ ხანს, სანამ საქართველო იარსებებს.

სისხლიანი ქრონიკები

1991 წლის 21 დეკემბერს ქუთაისის ეროვნულ ბატალიონთან ერთად თბილისში ჩავედი. ვერ ვიცანი წინა დღის ქალაქი. რუსთაველის გამზირი სავსე იყო დაზაფრული, გაბრაზებული თუ გაცოფებული ადამიანებით. მიკროფონებიდან ისმოდა მოწოდებები. არ მავიწყდება არცერთი წუთით რუსლან მიქაბერიძისა და ღვინჯილიას გამყინავი ხმა. ,,ნორჩი“ მაკა რაზმაძის ,,კომსომოლური“ შემართება და თენგიზ სიგუას ხრინწიანი მოწოდება. მათი მოთხოვნა იყო გადამდგარიყო საქართველოს პრეზიდენტი, ეროვნულ–გამათავისუფლებელი მოძრაობის მებაირახტრე ზვიად გამსახურდია. ეს იყო გაუთენებელი წყვდიადი საქართველოსთვის. მთელი ღამე ქუჩაში ვიდექი პარლამენტის წინ, ბიჭებთან ერთად. მეცოდებოდა ახალგაზრდები, რომლებსაც გაუაზრებლად აყვირებდნენ: ,,სიგუა! სიგუა!“ შუა ღამე გადასული იყო, უნივერმაღთან ცარიელ ავტობუსს შევაფარეთ თავი. ჩაგვეძინა. ძინავდა სიკვდილსაც. ავისმომასწავებელ დღეს ელოდა საქართველო. დეპუტატ ფირუზ დიაკონიძის ჩურჩულმა გამოგვაღვიძა. ზღვიდან კიტოვანი ჩამოვიდა და თავს ვუშველოთო. შავ ტანსაცმელში ავტომატმომარჯვებული ბიჭები იმუქრებოდნენ: ,, დაგხოცავთ ყველას, პრეზიდენტს ჩამოვახრჩობთ და დემოკრატიას აღვადგენთო“. ვცდილობდი, რამე მეთქვა, მაგრამ დებუტატი ვიტალი ჯაში აჩქარებდა. ძნელი იყო დაპირისპირებოდი შავნაბადაზე, ტელევიზიასა და ზღვაზე დაგეშილ ბიჭებს, რომლებსაც კიტოვანი მამა ეგონათ, კიტოვანი, რომელმაც თავგზა აუბნია და სამშობლოს დაუპირისპირა ისინი. უზენაეს საბჭოს შენობისკენ გავიქეცი. ხმადაბლა ვამბობდი, რომ კიტოვანი ჩამოვიდა. ამ დროს მოხდა საბედისწერო გასროლა. ვინ გაისროლა პირველად?! ერთადერთი პასუხი: ,,თავდამსხმელმა“, რომელიც გასული იყო არამარტო კანონის ჩარჩოდან, არამედ ქართველობიდან, კაცობიდან, ოჯახიშვილობიდან. ერთმანეთში აირია ყველაფერი. კაცის სახეები დაკარგეს: რომან გვენცაძემ, დილარ ხაბულიანმა, კვანტალიანმა. გარინდულები ელოდნენ ვიღაცას თუ რაღაცას პოლიციელები. გოჩა გურულმა ბიჭები ერთ კუთხეში დააყენა და ცდილობდა მშვი-

გაგრძელება გვ. 13

წავაწერე: „ჩვენ დავბრუნდებით!“

პატიმრობიდან გათავისუფლების შემდგომ მე დავურეკე ქალბატონ ელენე თევდორაძეს და ვკითხე, თუ რაზე გააკეთა მან მინიშნება თავის განცხადებაში, რაზეც უყოყმანოდ მიპასუხა, რომ თქვენ აპირებდით ხელისუფლებაში დაბრუნებასო. ქალბატონ ელენეს განვუმარტე, რომ მე არ ვყოფილვარ ეროვნული ხელისუფლების არცერთ რგოლში (არც საკრებულოს, არც უზენაესი საბჭოს, არც მთავრობის და არც რომელიმე ადმინისტრაციულ სტრუქტურაში)-მეთქი. „მაშ, რას გვებრძვიო„?! - ფრიად გაკვირვებულმა შემომიბრუნა კითხვა.

ხოლო, სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომმა ბატონმა თემურ ხუროძემ, როდესაც უზენაესი საბჭოს დეპუტატთა სიები გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, თსუ-ს დერეფანში შეხვედრისას მკითხა: „თქვენ გამორჩენილი ხართ სიიდან?“ რაზეც გულწრფელად ვუპასუხე, რომ „მე ხელისუფლებაში მოსასვლელად კი არა, ჩემი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ვიბრძოდი მხოლოდ და მას ზვიად გამსახურდია გამოაცხადებსმეთქი“.

და მე, ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მოსვლისთანავე, უპრეტენზიოდ გავდექი განზე და ჩრდილში განვმარტოვდი.

იყო მცდელობები, ჩემი ერთგულება ზვიადისადმი პიროვნული სიმპატიებითაც აეხსნათ და გაზეთ „ალიასა“ და „ახალ თაობაშიც“ ლირიული ჭორიც კი დაწერეს; შეიქმნა მხატვრულ-დოკუმენტური რომანიც დიდი მწერლის ბატონი ოთარ ჩხეიძეის წიგნისა „ბერმუდის სამკუთხედი“, რომელშიც იუმორისტულ სტილში პასაჟებად კრთის ამგვარი მოარული ქალაქური ამბები.

ჩემი ურთიერთობა ზვიადთანაც და მერაბთანაც მხოლოდ იდეური ფასეულებებითა და ღირებულებებისადმი ერთგულებით იყო გამსჭვალული და ეს ტიტანები, ჩემს გულში დღემდე დარჩნენ სრულქმნილ რაინდებად.

ჩემი გულისწადილი იყო დამეწერა პირუთვნელი სიმართლე ჩემი ეპოქის უახლეს ისტორიაზე და თუ რამდენად ობიექტურად ავსახე იგი, მკითხველმა განსაჯოს, თუმცა კი მოველი, რომ სუბიექტური მკითხველის სამსჯავროც იქნება მკაცრი;

ამ მძიმე და ტრაგიკული უახლესი ისტორიის წერისას, ერთობ ძნელი აღმოჩნდა ჩემთვის, ბიბლიური შეგონების გათავისება: „არა ამხილო უკეთურნი, რათა არა მოგიძულონ შენ, არამედ - ბრძენნი“. მე კი ამგვარი გულსავსე გრძნობით გავასრულე ჩემი ნაშრომი:

„ვინც მიყვარს, მას ვამხილებ...“ (გამოცხ. იოანე ღვთისმეტყველისა, თავი მესამე).

შენდობას ვთხოვ ყველას, რამეთუ მძიმე იყო ხვედრი ჩემიც...

ლეილა ცომაია

ქართული მწერლობა

ოთარ ჭილაძის „რკინის თეატრი"

„ბრძოლა შეიქმს სულის ძალსა, სულის ძალა - სიყვარულსა, სიყვარული - სამართალსა, სამართალი -სიხარულსაო"

ოთარ ჭილაძე

რკინის თეატრი - რკინის დრო, რომელიც მხოლოდ ერთგვარ წარმოდგენად ქცეულა, სინამდვილეს - ჭეშმარიტებას მოკლებული; ხელოვნურად შექმნილ-შემძიმებული გარემო, რომელიც ცხოვრებას ჩაენაცვლა და იქცა ურგებ სანახაობად. ყველაფერი როცა თამაშია, ქვეყნისთვის არასახარბიელო, უძლური, არაგულწრფელი. მასაც - მაყურებლის ამპლუაში, ორმოშია სიმბოლურად, იქიდან ამოცქერს ამ ერთგვარ წარმოქმნილ, წარმოდგენილ, გარდაქმნილ სამყაროს. ბათუმია მოქმედების ადგილი, სადაც ყველაფერი ყველაფრად ღირს და საღდება არასასიკეთოდ, მოჩვენებითად, პატიოსნებისა და ზნეობის გარეშე. არავინ არაფერს აპროტესტებს, არც კმაყოფილია, შუალედური მდგომარეობაა. თავის თავს აღარ ჰგავს საქართველო, აღარც ერთმანეთს ჰგვანან. სხვა ელფერი აქვს გადასხვაფერებულ უნდილ ცხოვრებას. ახალ დროს ანგარება მოაქვს. „იქამდე რომ ჭირდებოდი მეორე კაცს, ვიდრე ფეხზე იდექი და სუფრის გაშლა შეგეძლო"... ზღვის ბობოქრობას ცხოვრება ტალღად ვერ აჰყოლია, მდორეა, ფუჭი. ზღვისპირა ქალაქს სულაც არა აქვს ჩვეული ხალისი. დადებითი პერსონაჟები გვხვდებიან, როგორიც დიმიტრი და მისი უდრტვინველი ოჯახია, მაგრამ ერთგვარი რუტინით მიდის მათი მზედაუკრავი ცხოვრებაც, სანამ თბილისელი მსახიობი არ გამოჩნდება. რატომ მსახიობი? მისი როლი მისი მისიაა. ის მეამბოხე სულისაა, განსხვავებული თვალით უყურებს გარემოს. მას უყვარს თავისუფლება და ცოლის სახლეულობასაც კი გამოერიდა. დარწმუნებულია, რომ ცვლილების შეტანა ნამდვილად ძალუძს ვითომდაც უშფოთველ, მაგრამ სნეულ და გაუკუღმართებულ დროში. ჯანსაღი სულის ადამიანსაც კი რაღაც დათმობები მაინც უწევს. ბოლომდე ვერც ის იდებს თავს ყველას ტვირთს და სცენის მიღმა ვერ გააქვს თავგანწირვა. ისევ მარწუხებში რჩება და ეწირება კიდეც ამას. უკან ბრუნდება ცოლთან ერთად და თვითმკვლელობით უღებს ბოლოს გაუსაძლისობას. მოწოდებამ შესაბამისი სარბიელი ვერ ჰპოვა.

აი, სურათ-ხატი ეპოქისა: „ქვეყანა ციხედ იყო ქცეული". ცენზორებს „სიტყვა „საქართველო" რომ არ გაჰპაროდათ რამდენჯერმე გადაშლილ სიტყვას ზემოდან „ჩვენს მხარეს" ანდა „ჩვენს კუთხეს" დააწერდნენ ხოლმე." „ახალი ბევრ რამეს გადააჩვევდა, ბევრ რამეზე ააღებინებდა ხელს..." ასეთ დროს ჩნდება ამგვარ გარემოში თბილისელი მსახიობიც, რომელიც გმირის ნაცვლად მარცხს შეამზადებს თავის თავში. ჩვეულებრივები, შეგუებულნი ჩვეულებრივობას განუწყვეტელ სეირს მოითხოვდნენო არაჩვეულებრივისაგან, რჩეულისაგან... იმისგანო, ვისაცო ნაგემი ჰქონდა დიდების შხამი, ამიტომ ყველაზე ნაკლებად საკუთარ თავს ეკუთვნოდა, ეს სიტყვებიც მას უკავშირდება, რომელმაც პროტესტი სინამდვილედ ვერ აქცია. თაყვანისმცემელნი კი ჰპოვა, მაგრამ არა მომხრეები ანდა მსგავსები, ვინც ფეხს აუწყობდნენ. გმირსაც იმპულსი კვებავს, მდორე, ხელგამოუღებელი, მორჩილი ცხოვრება იმპულსს ვერ იძლევა.

„ახლა ისეთი დროა, რამენაირად თუ არ გამოიცვალე ხასიათი, სხვას კი არა, საკუთარ თავსაც ვერ დაიცავო". იყო კატეგორიაც, ის ნაწილი, ვინც - „შიშს შიშში ემალებოდა"... „ყველანი ერთნაირად იყვნენ გადამცდარნი ძველი გზიდან, რამდენადაც თავად ძველი გზა აღარ არსებობდა"...

გრანდიოზული ჩართვა-პასაჟიც, რაც სრულად ცხადყოფს სავალალო დროების სიმწვავეს, რაც ყაზბეგს შეეხება - სიკვდილის მერეც უნდობლობით უყურებდაო ხელისუფლება, „არ აფასებდა, ძეგლს არ უდგამდა, როცა ყაზბეგმა სიცოცხლეშივე თქვა უარი ყველაფერზე... იციან ყაზბეგის ძალა, მკვდარსაც ებრძვიანო"... შემდგომ კვლავ უბრუნდება - „ეშინიათ ყაზბეგისა, იმიტომ რომ, ყაზბეგმა სიმართლე იცოდა..." ქართველთა ჰომეროსი დავარქვითო, მაგრამ საქმე ისე გავუხადეთ საგიჟეთში ამოყო თავიო... და პარადოქსიც, როცა მან სული განუტევაო, მთელი თბილისი მუშტაიდისკენ მიისწრაფოდა გაუგონარი სასწაულის სანახავად, ჰაეროსტატით ვირი უნდა აეყვანათო ცაში და „რა გასაკვირია, თავიანთი მწერალი რომ დავიწყებოდათ" მიუღებელიო, უარყოფილი, „მაგრამ ბოლოს მაინც თავად მოტყუვდნენ", რადგან იმ დღეს ვირი კი არ აფრინდა, არამედ ყაზბეგის სული მიეახლაო უფალს. ვირი კი ჩვენ შორის დარჩაო - სიმბოლურად ასრულებს სათქმელს... ნამუსშეშლილ, არეულ დროში სარგებელს მეტად ეძიებენ, ვიდრე განდგომას, ამიტომ გაფრთხილებად ჟღერს, როცა „ბოროტების სამსახურში დგები, ეშმაკს უამხანაგდები". რად ღირს, რაც ბოროტებასა და სიკეთეს შორის არჩევანსა თუ მიმღებლობაზეა თქმული, ან თუნდაც პამპულობაზე... მერეღა რომ იკითხავდა კაცი - „ვარდს ვთესავ და რა ამოდისო?" და ეს იქნებოდა ყველას სატკივილოცა და თავსახლელიც, რადგან თავის დროზე ვერ გაიგეს სწორი გზის დაკარგვა და ფეხისშეშლა, რადგან ერთხელ დაუშვეს თუ გამოეპარათ თავგზის არევა... თუმცა ამ უღონო ადამიანთა ამარა არ გვტოვებს მწერალი, მათ გვერდით არიან გამონაკლისებიც, რომელნიც „იმიტომაც არიან გამონაკლისები, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ბუნებას რომ უჯანყდებიან, მეფეს კი არა, გუბერნიის მთავარ მოსამართლეს კი არა" და ა. შ. საკუთარი თავის დაძლევითა და გადალახვით იწყება სარგებლობის მოტანა მრავალთათვის...

უმწეობაა ირგვლივ, ჟინი აღარ მიერეკება ადამიანებს. ერთის აღტკინება მეორესთვის აღარაა გადამდები, ასე ჩაცხრა ნიჭიერი მსახიობის თავგამოდებაც. რადარა სადღეგრძელოები აღარ გაჩნდა კრული დროებისგან, მათ შორის ერთიც იპყრობს ყურადღებას -„ჩვენს წარსულს გაუმარჯოს. წარსული მაინც უფრო სანდოა." ადამიანებს აღარ შეუძლიათ „სიყვარულს სიყვარულით უპასუხონ." დავიწყებოდათ ერთთავად კერიის მოვლა-პატრონობა რომ ევალებოდათ, როგორც ერთ გმირზე ამბობს და ყველაზე ვრცელდება, და არა გზააბნეულთა, მომხვეჭელთა, მედღეურთა აყოლა, რომელთა სამშობლოც იქ არისო, სადაც გაძღებიან და არა იქ, სადაც ბევრ რამეზე უნდა თქვანო უარი.

„ახლა, ვინც რამეს ხვდება ენას უნდა დააჭიროს კბილი, თორემ..." აკი სიჩუმეც ზაფრავდა ხალხს. ვერ გადაედოთ ვერც თბილისელი მსახიობის პათოსი... სტომაქდამძიმებულნიო - ესეც ერთგვარი მითითება... „სადაც ხეა, იქ ცულიცაა". ვერც მარტოკაცი გახდება რამეს თუ ამყოლი არაა... „ჩაუდენელი დანაშაულის ზიდვა მცოდნეთა და რჩეულთა ხვედრიაო." ის შენიშნეს, თვალშიც ამოიღეს. მის შვილსაც აწვნევინეს და აზღვევინეს... ჯერ კი არაფერი იცვლებოდა, „ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა... ყველანაირი ფული გადიოდა... ყველანაირი ფული ერთბაშად უფასურდებოდა"... ქალთა ემანსიპაციაზეც ალაპარაკდნენ, რითაცო - „ქალი გაუფასურდება, სსსსხვათა შორისსს კაააციც" - ბგერათა გაგრძელებით მახვილიც კეთდება, სიმძაფრე ვლინდება... აქ ყველაფერი ზარივით რეკს, არა თეატრის, არამედ სამრეკლოს ზარის ხმით...

ავტორს უწევს ერთგვარი ისტორიული წიაღსვლები - როგორც ალექსანდრე ბატონიშვილს ახსენებს, ანდა ყაზბეგს, ვინც ჩაგვაგონა გვახსოვდეს „ვისი გორის ვართ". აი, ვინ არიან ქართული ზნისა და ვინაობის. აი, როგორთა მეობაა მეტყველი მაგალითი. ასეთივე გამოხმობაა წარსულისა ხმალზე თქმულიც შაჰის წინაშე, იმ წარსულის, რომელსაც სენი არ ჰქონდა და პაპას ვენახივით მხოლოდ ყურძნისა და ატმის სურნელ -სიტკბოება ჰქონდა, როგორც იელვებს ხოლმე დიმიტრის მეუღლის მოგონებებში. ამგვარი გამოხმობაა ეს თვალსაჩინო ადგილიც -„მე კარგად ვიცნობ ჩემს ხმალს, ის ამჯობინებს ჩემს გულში გადატრიალდეს, ვიდრე მტერს ემსახუროს... მე და ჩემი ხმალი ქართველები გახლავართ..."ეს სიდიადე გაცამტვერებულიყო, თავისთავადობა. ნიჭი აღარ ფასობდა..."მოწყალებას იღებდა და არა ჯილდოს" -დროის ნიშანი!

„მელია საქათმეს იცავდა, მგელი - ფარეხს, წამებული ლაფში ეგდო, წამებულის გვირგვინი მლიქვნელს ედგა თავზე." ლოზუნგებიც შეცვლილიყო - „გარყვენი და დასაჯე", „გაღმა შეედავე და გამოღმა შეირჩინე" და ა. შ. „იმაზე მეტი თუ არ მიეცი, რამდენიც არსებობისთვის სჭირდება, მაშინ ხომ ისიც გაპირუტყვდება?.. განა ზედმეტიც არ აპირუტყვებს ადამიანს?" „რკინის უღელი" კი ყველას ედგა.

„გაღმა გასვლის მსურველთ, აქამდე, თურმე უკუღმა მიყავდათ ბორანი." სიკვდილს კი მართლაც რომ კაპიკის ფასი აღარ ედოო... ყველაფერი საუკეთესო დაფარვას ითხოვდა, გამოზოგვას საგზალივით, რომ არ წაერთმიათ ეს არსებითი, მნიშვნელოვანი... რუსთა ახალი მეფის გვირგვინის კურთხევის ამბავიც ხომ განსაკუთრებული სარკაზმით გადმოსცა - ქართველი თავადაზნაურობა რაოდენ სასაცილო და საჩოთირო მდგომარეობაში აღმოჩნდა, სასაცილოსა თუ სატირალში, ერთი რომ მეორეცაა ზოგჯერ ქვეყნისთვის! კურთხევაზე დასასწრებადო ლამის ხანჯლებით დაერია ერთმანეთსო, „ლამის ცოლშვილი რომ დაყიდეს, ცხენის, ჩოხისა და იარაღის შესაძენად და სექტანტებივით ფეხშიშველნი, დაკონკილნი და მშიერ-მწყურვალნი რომ ჩამობრუნდნენ"... ჩინ-მედლები კი არადა, ფულიც ვერ იშოვეს სასესხებლად სახელმწიფოს ხელა ქალაქშიო და მამასისხლად შეძენილი კი მეწვრილმანე ვაჭრებივით დაყიდესო ქუჩა-ქუჩა... ხაზგასმებიც - სექტანტებივით, ვაჭრებივით, სახელმწიფოს ხელა - არაშემთხვევითი, საგანგებო როა და ყურადსაღები, საგულდაგულო..."ნეტარ არიან ბრიყვნი." განა ტრაგიკულ-კომიკური არ არის მათი ისტორია და ეს უიღბლო თავგამოდება?!

დავით კლდიაშვილის მაღალზნეობრივი ქმედებაც ჩაქსოვილია თხრობაში, ცნობილი ფაქტი, როცა არ ისროლა და ხელი არ აღმართა ქართველის საწინააღმდეგოდ, „მე ჯერ ჩემს სინდისს ვუსმენ და მერე თქვენს გიჟურ ბრძანებებსო"... დემონსტრანტების დარბევისას ბათუმში, მუნდირს ღირსება არ ანაცვალა...

ტკივილით დაბადებული ერთი პერსონაჟის ფიქრიც ხომ იმ მორჩილებას ამხელს, რაც ირგვლივ იყო როგორც სავალდებულო ნორმა და რომლის უარყოფაც გაძევებდა სამუდამოდ - ძალაუნებურად რომ გაკეთებინებს და გალაპარაკებს, რისი თქმაცა და გაკეთებაც თავად სურს, და რასაც არასოდეს გააკეთებდი ან იტყოდი შენითო.

დროდადრო ჩნდება პოლიცმეისტერი ვეზირიშვილი - „მაქვს პატივი, მაქვს პატივი". ამის გარდა, არავითარი ფუნქცია. ესეც ერთგვარი ტრაგი-კომიზმი. პატივ-ღირსებას დაშორებული ამაოდ ჩემულობს იმას, რაც მთელ ქვეყანას წაართვეს. მისი „უპირატესობაც" ხომ არარეალურია სხვისი ხელქვეითის, არათავისუფალ პირობებში. თვალთვალი თუ ჩასაფრებაც წესად ქცეულა. მოხელე საბა ლაფაჩიც გაორებული ადამიანის სა-

გაგრძელება გვ. 16

ეროვნული გმირი გაბრიელ ისაკაძე

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების მიჯნაზე, მთელ საქართველოში სრულად იყო ლიკვიდირებული ყოველგვარი საბჭოური ატრიბუტიკა: მთავრობის სასახლიდან ჩამოგდებული იყო საბჭოური წითელი დროშა, რომელიც ეროვნული მოძრაობის აქტივისტმა გაბრიელ (გაბო) ისაკაძემ, ეროვნული მოძრაობის აზვირთების საწყის ეტაპზე, 1988 წლის 25 ნოემბერს ჩამოხსნა პირადი ინიციატივითა და გამბედაობით.

სამი ათეული წელი გავიდა მთავრობის სასახლიდან სსრკ წითელი დროშის ჩამოგდებიდან და ნამდვილად დიდი უსამართლობაა, რომ ქართველმა საზოგადოებრიობამ დღემდე არ იცის იმ ისტორიული პირის ვინაობა: 1988 წლის 25 ნოემბერს, საბჭოთა საქართველოს მთავრობის სასახლიდან, 19 სთ. და 30 წთ-ზე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების წითელი დროშა 31 წლის გაბრიელ (გაბურ) ისაკაძემ ჩამოაგდო. იგი, მწერალ ქიშვარდ ისაკაძის ვაჟიშვილი გახლდათ. გაბრიელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მანამდე უჩინარი წევრი იყო. გამორჩეულად ლამაზი, წარმოსადეგი, თხემით ტერფამდე ვაჟკაცი. მთავრობის სასახლესთან გამართულ მიტინგებზე, მერაბისა და ზვიადის ანტიიმპერიული გამოსვლებით შთაგონებულმა გაბრიელმა, მთელი კვირა ამუშავა გონებაში დროშის ჩამოგდების გეგმა. არავის გაენდო, ვინძლო საიდუმლო განზრახვა არ გაცემულიყო და მის აღსრულებაში ხელი არ შეშლოდა. 25 ნოემბერს, 19 საათზე, გულადი ვაჟკაცი ფრთხილი ნაბიჯებით მარტო შევიდა მთავრობის სასახლეში. გონივრულად დაზვერა სასახლის შიდა ინტერიერი და სახურავზე ასასვლელი შიდა პერიმეტრი. სხვენიდან სახურავზე აძვრა და საძულველი იმპერიალისტების დროშა მომიტინგეთა შორის ჩამოაგდო. გაბრიელი სახურავზევე დააკავეს. დილის სამთავრობო გაზეთში „კომუნისტი“ „საქინფორმი“, ამ ფაქტთან დაკავშირებით წერდა: „...როგორც ქალაქ თბილისის პროკურატურიდან იუწყებიან, 25 ნოემბერს ღამით ექსცესიც მოხდა. მთვრალმა გ. ისაკაძემ შეაღწია მთავრობის სასახლის სხვენში და ხელყო საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის ღირსება. გაბრიელ ქიშვარდის ძე ისაკაძე, დაბადებული 1957 წელს, უმაღლესი განათლებით, ცოლ-შვილიანი, მუშაობს „ცეკავშირის“ კოოპერატივის „საბურთალოს“ ხორცის შებოლვის საამქროს უფროსად. ცხოვრობს თბილისში. გ. ისაკაძის მიმართ პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს ძიება“.

საბჭოთა პროკურატურამ მისი საქციელი ბოროტ ხულიგნობად და სახელმწიფო დროშის შებღალვად დააკვალიფიცირა და საქმეც აღძრა. მილიციის სამმართველოში ფიზიკური წამებების შემდგომ, გაბრიელ ისაკაძე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, რათა კომუნისტურ ხელისუფლებას, კრემლის მამების წინაშე თავი ემართლებინა, რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობის სასახლიდან წითელი დროშა პოლიტიკური პროტესტის ნიშნად კი არ ჩამოაგდეს, არამედ ფსიქიურად დაავადებულმა ახალგაზრდამ ჩამოხსნაო. ამ იდეოლოგიის ნაწილი გახლდათ გაბრიელის მთვრალად მოხსენიებაც, რაც აგრეთვე სიცრუე გახლდათ.

გაბრიელ ისაკაძე, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სასტიკი ცემისა და 36 დღიანი გამოსათაყვანებელი წამლების გაკეთების მიუხედავად, თუმცა დაძაბუნებული, მაგრამ მაინც საღ გონებაზე იყო. მშობლების დროული და ენერგიული ჩარევის შედეგად, ფსიქიატრებმა ვერ მოასწრეს მისი შეურაცხადობის დამტკიცება – თვენახევრის წამების შემდგომ იგი ციხეში გადაიყვანეს, სადაც აგრეთვე გააგრძელეს მისი ფიზიკური წამება. გაბრიელ ისაკაძეს, საბჭოთა კანონმდებლებმა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ მერაბ კოსტავას მიერ შედგენილ პეტიციაზე მრავალათასიანი ხელმოწერებისა და ქართველი მწერლების შუამდგომლობით, დარჩენილი ორი წელი მას პირობითი სასჯელით შეუცვალეს; ხელისუფლების კომპრომისი, გარკვეულწილად, ეროვნული მოძრაობის მომძლავრების პერიოდითაც იყო განპირობებული.

გაბრიელი მორწმუნე და მართლმადიდებლობის თავგამოდებული დამცველიც გახლდათ. იგი პატიმრობაში იცავდა მარხვებს, ლოცულობდა და რელიგიურად სხვა პატიმრებსაც ანათლებდა. პატიმრობიდან თავდახსნილმა გაბრიელ ისაკაძემ დაარსა „ქართველთა სულიერი ერთიანობის განმამტკიცებელი დასი „რწმენა“, რითაც დაიწყო აქტიური ბრძოლა ყოველგვარი სექტების წინააღმდეგ. იეღოველებთან ბრძოლა კი მას, ლამის სიცოცხლის ფასად დაუჯდა – იეღოველების ქომაგმა და საიდუმლო მფარველმა `კგბ~ს მუშაკებმა იგი მოტყუებით ჩასვეს მანქანაში, ლისის ტბაზე გაიტაცეს და მუცლის არეში მძიმედ დაჭრეს.

გაბრიელ ისაკაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დაწერილი, ფუნაგორისტისა და პამფლეტისტის, ქიშვარდ ისაკაძის წიგნი („ჩემი შვილი გაბრიელი“, თბილისი, 1997 წელი.) იწყება მუხრან მაჭავარიანის შეფასებით: „აფერუმ, – გაბრო შემართებას შენსას!“. გაბრიელ ისაკაძეზე ასე ვრცლად იმიტომ ვწერთ, რომ მართლაც იამაყოს ჩვენმა ერმა მისით და უცოდინრობით, კვლავაც ეჭქვეშ არ დააყენოს მისი პიროვნება, ეს უმადურობა და მკრეხელობა იქნება!

მაშინ, სიკვდილს ღვთის შეწევნით გადარჩენილი გაბრიელი, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების არჩევისთანავე ეროვნულ გვარდიაში შევიდა და ბოლომდე ეროვნული გვარდიის რიგითი ჯარისკაცი გახდა.

1993 წლის 24 სექტემბერს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაბრუნებისთანავე გაბრიელი უყოყმანოდ გაეშურა სამეგრელოსკენ და კვლავ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და ეროვნული მთავრობის დაცვის რიგებში ჩადგა.

გვარდიელმა გაბრიელმა უთუოდ იფიქრა, რომ ახალი წლის ღამეს მაინც, შევარდნაძის ხუნტისტური, სისხლიანი რეჟიმი არ ინებებდა შურისძიებით ტყვიების კაკანს და 31 დეკემბერს, ზუგდიდიდან, ახალი წლის ოჯახში შესახვედრად თბილისში დაბრუნებდა. 15 წუთიც კი არ იყო გასული, რომ ისაკაძეების სახლს შეიარაღებული მილიციელების რამდენიმე მანქანა მოადგა. ვაზისუბნის ქუჩა საბურთალოს რაიონის მილიციელებით გაივსო. გაბრიელმა უკანა ეზოდან გაქცევა სცადა, მაგრამ ეზოში შეჭრილმა მილიციელებმა იგი ტყვიების ჯერითა და ცინიზმით დაცხრილეს: „ეგ ის ბიჭია, მთავრობის სასახლიდან ორჯონიკიძის ატანილი დროშა რომ ჩამოაგდო“, უთქვამს ერთ-ერთ მიმხვდურ მილიციელს, რომლებიც აქ გაბრიელის მოსაკლავად, სწორედ ორჯონიკიძის გვარის წარმომადგენელმა, საბურთალოს რაიონის მილიციის უფროსმა ელგუჯა ორჯონიკიძემ წარმოგზავნა.

ნიშანდობლივია, რომ გაბრიელ ისაკაძეც, როგორც ფიცგაუტეხელი გვარდიელი, საქართველოს ჯალათებმა, 1993 წლის 31 დეკემბერს მოკლეს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციამდე, ორი საათით ადრე.

გაბრიელ ისაკაძე იმპერიაზე მარტოხე-

გაგრძელება გვ. 8

ეროვნული გმირი გაბრიელ ისაკაძე

დასაწყისი გვ. 7

ლად ამხედრებული ახალი საქართველოს გმირია და სწორედ ასეთად უნდა შევიდეს იგი საქართველოს უახლეს ისტორიაში. დროა, სათანადო პატივი და ადგილიც დავუმკვიდროთ საქართველოს დამოუკიდებლობის, კანონიერებისა და სამართლიანობისათვის შეწირულ გმირ გაბრიელ ისაკაძეს, რომელმაც ერთგულებისა და თავგანწირვის ნათელი მაგალითი მისცა ქართველ ერს.

ახალგაზრდა კაცმა, სამშობლოსაც ოთხი შვილი დაუტოვა. იგი 35 წლის მოკლეს. ვაზისუბნის ქუჩის ერთ პატარა მონაკვეთს, სადაც გაბრიელ ისაკაძე ცხოვრობდა, მამამისის - ქიშვარდ ისაკაძის დაუღალავი ღვაწლით, ამჟამად გაბრიელ ისაკაძის სახელი ჰქვია. გაბრიელის ცოლ-შვილი უცხოეთში, შორეულ ემიგრაციაში გადაიხვეწა.

გაბრიელი კომუნისტების ოჯახში გაიზარდა; მამა - ქიშვარდ ისაკაძე ბავშვთა ფონდის პარტორგანიზაციის მდივანი გახლდათ, ძმა პაატა კომკავშირის ცეკაში მაღალ თანამდებობაზე იყო დაწინაურებული, მეორე ძმა სულხანიც კომუნისტური პარტიის წევრი იყო.

ქიშვარდ ისაკაძე წიგნში „ჩემი შვილი გაბრიელი“ წერს თავისი ცოლის ვიზიტის შესახებ კომპარტიის ცეკას ერთ-ერთ უმაღლეს თანამდებობის პირ ვალერიან ბაქრაძესთან: „- მე, გაბრიელ ისაკაძის დედა ვარო...“ ამ სიტყვებით დაუწყია დარეჯანს სათქმელის ამოღერღვა.

-გაბრიელ ისაკაძის დედაო? - წამოვარდნილა ზეზე გაცეცხლებული პარტმუშაკი, - შენი გარეწარი შვილის პატრონი, ჩემს კაბინეტში რა პირით ბედავ შემოსვლას, გადი ახლავე აქედანო!

- ერთი წუთით მომისმინეთ ბატონოო!...

- ვერ მოგისმენთ, უნამუსო ხალხს მე არ ვუსმენ, გადით ახლავე გარეთ, თორემ მილიციას გამოვუძახებ და ისე მიგაბრძანებ, სადაც საჭიროაო!

მოვიდა გაწბილებული დარეჯანი ცეკადან ტირილით შინ“.

გაბრიელი ციხის ხუთკაცზე განკუთვნილ საკანში 12 პატიმარს შორის ცხოვრობდა, რომლებიც ტუპერკულოზის მოურჩენელი სენით იყვნენ დაავადებულნი და 24 საათი სისხლს ახველებდნენ. ქიშვარდი შეეცადა დაეცვა პატიმარი შვილი მძიმე სენის გადადებისაგან და მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის ხუტა ბერულავას შუამდგომლობით შსს მინისტრ შოთა გორგოძისთვის მიწვდენია ხმა. გორგოძე აღშფოთებულა: ჯანმრთელ პატიმარს ჭლექიან პატიმრებთან რა უნდა, მაგისთვის სასტიკად დავსჯი ციხის უფროსსო და გაბრიელი ციხის საავადმყოფოში გადაუყვანიათ.

„გაბრიელი ციხის სავადმყოფოში მცირე ხანს იწვა. გაიგო რა ცეკას განყოფილების გველგულა გამგემ (ვალერიან ბაქრაძე - ლ.ც.), ისაკაძე ციხის საავადმყოფოში დაუწვენიათო, დაუყოვნებლივ დააბრუნა მისი საყვარელი დროშის მტერი საკანში“.

სასამართლო პროცესზე კი მოსამართლის შეკითხვაზე, თუ რა რეაქცია მოჰყვა მის მიერ დროშის ხალხში დანარცხებას, გაბრიელმა ასეთი უშუალობით უპასუხა:

„ბატონო მოსამართლე! ყოფილხართ სტადიონზე, როცა ჩვენი ფეხბურთის გუნდი ეთამაშება მოსკოვის გუნდს, რა თქმა უნდა ყოფილხართ! ჰოდა, ჩვენი ბიჭები რომ გუნდს გაიტანენ მოწინააღმდეგის კარში და აღფრთოვანების ტაში არ ცხრება, ისეთი ტაშით შეხვდნენ მომიტინგეები, მთავრობის სასხლიდან, ჩემს მიერ იმპერიული დროშის ჩამოგდებას! ასე რომ, ჩემს ქმედებას, ხალხის აღშფოთება კი არ გამოუწვევია, არამედ, პირიქით, აღფრთოვანება გამოიწვია. ესაა ბოროტი ხულიგნობა?“

გაბრიელის საბოლოო სიტყვას დარბაზი მოწონებით შეხვდა.

ლეილა ცომაია

ქრონიკა

საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი დაჯილდოვეს

თინათინ ახვლედიანი

დაპოსტილია 2019/12/07-ში

პოლონეთის პოლიციის პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ განსაკუთრებული დამსახურებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ატაშე გიორგი გამსახურდია დააჯილდოვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ატაშე პოლონეთში, გიორგი გამსახურდია პოლონეთის რესპუბლიკის პოლიციის პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ – რაფალ იანკოვსკიმ პირველი კლასის დამოუკიდებლობის ორდენით დაჯილდოვა.

გიორგი გამსახურდიას აღნიშნული ჯილდო პოლონეთის პოლიციის მიმართ განსაკუთრებული დამსახურებისა და პოლონეთის რესპუბლიკის პოლიციის პროფესიულ კავშირთან წარმატებული თანამშრომლობისთვის გადაეცა.

დაჯილდოების ცერემონიაზე რაფალ იანკოვსკიმ გიორგი გამსახურდიას წარმატება უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოსა და პოლონეთს შორის არსებული საპოლიციო თანამშრომლობა მომავალშიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლაში.

უწყების ინფორმაციით, დაჯილდოების ცერემონია ვარშავის პოლიციის კომენდატურაში, მოსტოვსკის სასახლის თეთრ დარბაზში გაიმართა. გიორგი გამსახურდიასთან ერთად, მსგავსი ორდენებით დაჯილდოვდნენ ვარშავის პოლიციის მთავარი კომენდანტი, მისი მოადგილე, ვარშავის გარნიზონის კაპელანი, პოლონეთის რამდენიმე პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე.

ღონისძიებას პოლონეთის ეროვნული პოლიციის ხელმძღვანელები და ტერიტორიული დანაყოფების უფროსები დაესწრნენ.

წყარო: https://megatv.ge/%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%9d%e1%83%a1-

ნატოსკენ სწრაფვის გამო...

რაც უფრო აქტიურდება საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი, რუსეთის იმპერია მით უფრო ააქტიურებს თავის აგენტურულ სატელიტებს საქართველოში, რომლებიც პოლიტიკურ აპოკალიფსად სახავენ საქართველოს ნატოში გაწევრიანებას და ისტერიულად გაჰკივიან (წინასწარმეტყველებენ) საქართველოს, ლამის პოლიტიკური რუკიდან გაქრობას. ფსევდო-ზვიადისტები კი მკრეხელურად იშველიებენ ზვიადის სახელს. მათ გასაგონად ვაცხადებ:

ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და ყველა იდეური დისიდენტი, პოლიტიკური ორიენტაციით გახლდით დასავლეთზე, ევროპაზე და ნატოზე ორიენტირებული და წარმოვადგენდით მკვეთრად ანტიიმპერიალისტურ, პროგრესულ პოლიტიკურ ძალებს!

შეწყვიტეთ ზვიადის სახელით მანიპულირება და მით ზვიად-მერაბის დისკრედიტირება.

გონისმიერად გააცნობიერეთ აქ გამოქვეყნებული აქტები.

მედეა თუშმალიშვილი: ქალბატონი ლეილას პოსტს დავამატებ __ 1991 წლის მარტში, საქართველოში ჩამოსულ ამერიკის ყოფილ პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონს, ზვიად გამსახურდიამ მიმართა: ,,შემოიყვანეთ ნატოს ჯარები კავკასიაში და ამ მონსტრისგან გადაგვარჩინეთ,,! დიდად საზიანო და უაღრესად მცდარი ტენდენციაა ზვიად გამსახურდიას წარმოჩენა ანტიდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსად!

რატომ არ ნიშნავს ნატოში „გერმანული მოდელით“ შესვლა უარს ოკუპირებულ ტერიტორიებზე

რას ნიშნავს საქართველოს ნატოში მიღება იმ პირობით, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ გავრცელდეს ალიანსის დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-5 მუხლი? ნატო-ს ყოფილი გენერალური მდივნის, ანდერს ფოგ რასმუსენის მოსაზრებას უკვე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეებიც. ინიციატივის მომხრეები კი მიიჩნევენ, რომ მოწინააღმდეგები პირდაპირ რუსულ ინტერესებს ემსახურებიან.

„მხარეები თანხმდებიან, რომ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე ერთ ან ერთზე მეტ მხარეზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა აღიქმება ყველას წინააღმდეგ თავდასხმად. არსებულ შემთხვევაში, გაერო-ს წესდების 51-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლების საფუძველზე, მხარეები დახმარებას გაუწევენ საფრთხის ქვეშ მყოფ მხარეს ან მხარეებს და განახორციელებენ ყველა საჭირო ქმედებას, მათ შორის, სამხედრო ძალის გამოყენებას, ჩრდილო-ატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით“, – ეს არის ნატოს დამფუძნებელი ხელშეკრულების საკვანძო, მე-5 მუხლი, რომელიც კოლექტიური თავდაცვის უფლებას შეეხება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემიდან გამომდინარე და იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ალიანსს არ სურს, ჩაერთოს რუსეთთან შეიარაღებულ დაპირისპირებაში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში უკვე არსებული კონფლიქტის გამო, აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში არაოფიციალურად დიდი ხანია მსჯელობენ ვარიანტზე – საქართველო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანდეს დათქმით, რომ ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ გავრცელდება.

ეს ინიციატივა კიდევ უფრო აქტუალური გახდა 2018 წელს, როდესაც კვლევითმა და ანალიტიკურმა ცენტრმა Heritage Foundation-მა გამოაქვეყნა მკვლევარ ლუკ კოფის ნარკვევი, რომელიც საქართველოს ნატოში გაწევრებას ეხება. ავტორის მტკიცებით, პირად საუბრებში საქართველოს მთავრობის წევრები თანახმანი არიან, საქართველო იმ პირობით გახდეს ნატოს წევრი, თუ ნატოს მეხუთე მუხლი არ გავრცელდება ქვეყნის ორ ოკუპირებულ ტერიტორიაზე – აფხაზეთსა და ცხინვალზე.

დისკუსია განაახლა დღეს, 10 სექტემბერს, თბილისში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაზე ნატო-ს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა.

მან შეცდომად შეაფასა ალიანსის გადაწყვეტილება, 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე არ მიეცა გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP) საქართველოსა და უკრაინისთვის. რასმუსენის თქმით, ალიანსმა თავისი გადაუწყვეტილებით მცდარი სიგნალი გაუგზავნა მოსკოვს, რომელმაც ამიტომაც შესაძლებლად ჩათვალა საქართველოზე თავდასხმა იმავე წლის აგვისტოში.

„მჭიდრო კავშირს ვხედავ ნატოს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებას და 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოზე თავდასხმას შორის. ამით მოსკოვის მესიჯი იყო, რომ ალიანსს მის სამეზობლოში ხელი არ ეფათურებინა. ჩვენ შეგვეძლო ეს აგვეცილებინა, საქართველოსთვის და უკრაინისთვის MAP-ის მინიჭებით“,- განაცხადა რასმუსენმა.

მისი თქმით, მომავალში, როდესაც ალიანსი მიაღწევს კონსენსუსს საქართველოს მიღებაზე, უნდა არსებობდეს შეთანხმება მე-5 მუხლთან დაკავშირებით.

„მე ვფიქრობ, თქვენ საქართველოს შიგნით უნდაა გქონდეთ დისკუსია, მისაღებია თუ არა ალიანსში საქართველოს გაწევრიანება იმ პირობით, რომ მე-5 მუხლმა დაფაროს მხოლოდ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები და ამას პასუხი უნდა გავცეთ ნატოშიც“, – განაცხადა რასმუსენმა.

ამ კონტექსტში მან გერმანიის მაგალითი მოიყვანა – დასავლეთ გერმანია ნატოს წევრი 1955 წელს გახდა. ცივი ომის დასრულებისა და გერმანიის გაერთიანების შემდეგ კი, ალიანსს აღმოსავლეთ გერმანია გაერთიანებული გერმანიის შემადგენლობაში შეუერთდა.

„ეს მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნას საქართველოშიც“, – დასძინა რასმუსენმა.

მაკკეინის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი კურტ ვოკერი არ ფიქრობს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ნატოში გაწევრების პროცესი ერთმანეთთან შეუთავსებელია.

„ყველა აქ მყოფი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და გვსურს, ოკუპირებული ტერიტორიების მშვიდობიანი რეინტეგრაცია ვიხილოთ. ანდერს ფოგ რასმუსენმა გაახმოვანა მნიშვნელოვანი იდეა. საქართველომ უკვე განაცხადა, რომ არ აპირებს ძალისმიერად ამ ტერიტორიების შემოერთებას და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მხოლოდ მშვიდობიან გზას განიხილავს.

ნატოს შეუძლია იმავე იდეას დაეყრდნოს და თქვას, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, მაგრამ გარკვეული პერიოდი გამოვრიცხავთ მე-5 მუხლის ამოქმედებას ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში, რათა კონფლიქტის პრევენცია მოვახდინოთ“, – განაცხადა ვოკერმა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი თინა ხიდაშელი „ნეტგაზეთთან“ საუბარში ადასტურებს, რომ ამ მოდელზე დისკუსია ოფიციალურ დონეზე ძალიან დიდი ხანია მიმდინარეობს.

„2008 წლის ომის შემდეგ, სხვადასხვა დროს, ეს საკითხი მუდმივად იდგა ხოლმე დღის წესრიგში. ჩვენ ვეძებთ პრაგმატულ გამოსავალს იმ ჩაკეტილი წრიდან, რომელშიც ვიმყოფებით. ეძებდა [გამოსავალს] წინა ხელისუფლება, ეძებდა ხელისუფლება, რომელშიც მე ვიყავი. დიდი იმედი მაქვს, რომ ეძებს დღევანდელიც, თუმცა არ ვარ დარწმუნებული. ეს არის ყველაზე პრაგმატული გამოსავალი“, – განაცხადა ხიდაშელმა.

ხიდაშელის თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან განვასხვავოთ ის, რაც თქვა რასმუსენმა, მანამდე კი ლუკ კოფიმ, და ის, რა ინტერპრეტაციასაც უკეთებენ მას საქართველოში რუსული ინტერესების გამტარებელი პოლიტიკოსები.

„არასდროს, არსად, საქართველოს არცერთ მეგობარს არ უთქვამს, საქართველო გაწევრიანდეს ნატო-ში აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის გარეშე. საუბარია საქართველოს გაწევრიანებაზე მისი საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში სრულად, დათქმით, რომ მე-5 მუხლი არ გავრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე. არცერთი ისტორია ზუსტად არ იმეორებს ერთმანეთს, მაგრამ დაახლოებით ეს არის გერმანული მოდელი, როდესაც აღმოსავლეთ გერმანია იყო საბჭოთა ოკუპაციის ქვეშ, დასავლეთ გერმანია ნატოს წევრი გახდა, დღეს კი სრულად არის ალიანსის წევრი. მე პირადად ამ მოდელს აბსოლუტურად ვეთანხმები არა იმიტომ, რომ ყველაზე კარგია, არამედ იმიტომ, რომ ერთადერთი პრაგმატული შესაძლებლობაა დავიცვათ ქვეყანა და შევქმნათ შესაძლებლობა, საქართველო სრულად, ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით, გახდეს წარმატებული, ძლიერი ქვეყანა. ეს არის ერთადერთი შანსი, რომელიც მიგვიყვანს, მათ შორის, ევროკავშირამდეც“, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

ხიდაშელის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ანდერს ფოგ რასმუსენი დღეს არ არის ნატოს გენერალური მდივანი, ასეთი ადამიანები განცხადებებს მხოლოდ საკუთარი თვალსაწიერიდან არასდროს აკეთებენ.

„ეს არ ნიშნავს, რომ მას აქვს ლეგიტიმაცია ან პირობა მიღებული ვინმესგან, მაგრამ ისინი ხშირად ცდილობენ, მოსინჯონ ნიადაგი პერსპექტივისთვის. ეს პერსპექტივა სახეზეა და შესაძლებელია, თუ, რა თქმა უნდა, მხარდაჭერილი იქნება ადგილზე. თუ აღმოჩნდა, რომ ადგილზე მას ქმედით წინააღმდეგობას უწევს ადგილობრივი ხელისუფლება, ბუნებრივია, განვითარება არ მოჰყვება. ჩვენ პირველად მოვისმინეთ ეს წინადადება ღიად წმინდა ექსპერტული წრეებისგან – ლუკ კოფისგან. დღეს უკვე გუშინდელი ნატო-ს გენერალური მდივანი როცა ახმოვანებს ამ იდეას, ვიღაც უნდა დაფიქრდეს სერიოზულად, რომ ამის უკან რეალიზების ლეგიტიმაცია დგას“, – ამბობს ხიდაშელი.

საქართველოს ატლანტიკური საბჭოს დირექტორი დავით სიხარულიძე აცხადებს, რომ ამ იდეის ისე წარმოჩენა, თითქოს ადგილი აქვს რამე კომპრომისს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, სხვა არაფერია, თუ არა რუსული პროპაგანდა.

გაგრძელება გვ. 12

1991 წლის 31 მარტს სრულიად საქრთველოში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელშიც მონაწილეთა 90,08%-მა, ანუ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფასა და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას!

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციის საფუძველზე!

2008 წელს ჩატარდა ნატოში გაწევრიანების პლებისციტი, რომელშიც, აგრეთვე საქართველოს მოსახლეობის 77% მხარი დაუჭირა ნატოში გაწევრიანებას.

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური კურსი, ამ უმნიშვნელოვანესი ლეგიტიმური ისტორიული აქტებით, სამერმისოდაც განსაზღვრულია!

ლიტერატურული გვერდი

დინა მირცხულავა

დიდი...

საკმეველის სუნი მიყვარდა და მხოლოდ ამიტომ ვსტუმრობდი სოფლის განაპირას მდგარ, კრამიტებზე ხავსმოდებულ ტაძარს.

ისეთი პატარა ნაგებობა იყო, რომ ხელით მიწვდებოდი სახურავს.

დაბალი კარი ჰქონდა დატანილი და ადამიანები ოთხად იკეცებოდნენ შესასვლელად.

იმ დღეს მღვდელმა მეძავი ქალის ამბავი წაიკითხა სახარებიდან და მერე დიდხანს იქადაგა მის მნიშვნელობაზე.

- თუ რაიმე კითხვა გაგიჩნდათ, აქა ვარო - თქვა.

ბავშვი ვიყავი, მაგრამ კითხვებით მქონდა თავი გაძეძგილი და თამამად ვკითხე:

- მაცხოვარი რომ ჩაიმუხლა და წერა დაიწყო, რას წერდა -მეთქი.

ყველამ მე შემომხედა.

მღვდელმა კიდევ ბევრი ილაპარაკა ყველაფერზე, ჩემი შეკითხვის გარდა.

მერე სკამზე ჩამოჯდა, სათითაოდ უხმობდა ადამიანებს, ოლარს აფარებდა და უსმენდა...

ხან მხრებს იჩეჩავდა და ხან სინანულით აქნევდა თავს.

- როგორც ჩანს, ღმერთის ხელი არ ურევია მის შექმნაში - ეს ხმამაღლა თქვა.

დადი გამახსენდა - ყველა ადამიანშია ღმერთი - ო მეუბნებოდა.

სმენა დავძაბე და ახლოს მივიწიე.

ქალი ჩემი სოფლის უთვისტომო გლახას აბეზღებდა, ყველაფერს მპარავსო, არაფერი დამიტოვაო.

ყველაფრის მოპარვაში კი სიმინდის რამდენიმე ტარო იგულისხმებოდა.

ერთადერთი ოჯახი ვიყავით, ვისთანაც გლახა დაუკითხავად არ აიღებდა არაფერს, იმიტომ რომ დადი ისედაც აძლევდა ყველაფერს.

მღვდლის ნათქვამმა გული მატკინა.

ტაძრიდან გამოსულ ქალს ავედევნე, მინდოდა რაღაც მეთქვა.

ტაძრის ეზოს გასასვლელში დამჯდარიყო გლახა და მიწაზე რაღაცას წერდა.

- აქედან მოშორდი, ყველაფერი ვუთხარი მღვდელს და ვიდრე გამოსულა, გაასწარიო - შეუბღვირა ქალმა.

თავი არ აუწევია გლახას, იჯდა და წერდა.

- რას წერ -მეთქი - ვკითხე.

- რასაც მაცხოვარი წერდა- ო მიპასუხა.

- რას წერდა?

- ცოდვებს... იმათ ცოდვებს, ქვებით რომ იდგნენ მეძავის ჩასაქოლად.

მოსვლისთანავე მოვუყევი დადის.

-მაშ, ღმერთი არ ურევიაო - გაიღიმა.

კალათაში საჭმელი ჩამილაგა.

სიმინდის მოხარშულ ტაროებს ჯერ კიდევ ასდიოდა ორთქლი.

გლახას სახლს მივადექი, კარი ჩუმად შევაღე და ჰოი, საოცრებავ, ოთახი მტრედებით იყო სავსე...

ფრთები რომ დაიქნიეს, იმისთანა ხმაური შეიქმნა, ყურებზე ვიტაკე ხელი.

თავზე და მხრებზე მასხდებოდნენ, თვალებში მიფრინდებოდნენ.

მერე მიყუჩდნენ და ყველაგან ჩამოსხდნენ, სადაც შეიძლებოდა.

ძველ ქვეშაგებზე იჯდა გლახა, მტრედებით სავსე ადამიანი.

- მე სიმინდს არა ვჭამ....მე არასოდეს ვჭამ სიმინდს - ცხელ მარცვლებს აცლიდა ტაროს, სულს უბერავდა და მტრედებს უფშვნიდა.

ადამიანი, რომლის გაჩენაშიც ღმერთის ხელი არ ერია...

უნდა შეგეძლოს, უნდა შეძლო, რომ ადგე, ჩამოიფერთხო კალთიდან ნაგავი.

ნოველები

ზამთრალი თოვლი და წახვიდე...

ჩუმად, უხმაუროდ, ფეხაკრეფით გაეცალო ადამიანს, რომელსაც შენ უბრალოდ ნივთი გონიხარ ან წიგნი - საყვარელი თუნდაც და როცა მოესურვილება მაშინ გაგხდის მისთვის ხელმისაწვდომს, მტვერსაც გადაგწმენდს და ისევ თაროზე მოგათავსებს, გამოსაჩენ და ხელშესავლებ ადგილას, პოვნაც რომ არ გაუძნელდეს...

ჰოდა, უნდა წახვიდე, შეძლო წასვლა, ვერ მიაჭედებ სულს სახელურს კი არა, უნდა მიაჭედო და საჭიროებისამებ დაეჯაჯგურო კარივით, გამოძვრე და სულს იქეთ, რომ სულია - იქ გაიყუჩო, დაემალო და უთვალთვალო.

წარმოიდგინე, მივიდა ის იმ თაროსთან და აღარ ხარ !

გააორომტრიალა ყველაფერი, გადაქექა, აურზაური მოაწყო - მაგრამ არსად არ ხარ...

ზიხარ შენს სანგარში არხეინად, იმიტომ რომ ზუსტად იცი, ვერ გიპოვნის და უყურებ, როგორ ეხეთქება კედლებს სახტად დარჩენილი...

თქვენ არ დაკვირვებიხართ ალბათ, რომ ყველაზე მეტ შეცდომას სახტად დარჩენილი ადამიანები უშვებენ....

დააფათურებს ხელებს და სულაც არ ეფიქრება იმაზე, რომ ადამიანებს გადარგვაც შეუძლიათ და ხარობენ კიდეც, როგორც ხეები და ყვავილები....

ოჩამჩირიდან თბილისამდე

- სტუმარი რომ მოვა, არ გამოხვიდეთ; - ბრძანა დედამ.

ოჯახი ფაციფუცობდა. ძაღლიც სახლსუკან გადააბა მამამ.

- თავმჯდომარე გვესტუმრება! - შეახარბა ბებიაჩემმა მეზობელს.

მოვიდა.

- რა ძლიერი იქნება?! მთელ სოფელს დაიცავს!- ვჩურჩულებდით ბავშვები ოთახში.

შებინდებულზე დაგვტოვა.

სოფელი ავისმომასწავებლად მიჩუმათდა.

მერე ცა იყო წითელი - ტილოსფერი, ბებიაჩემმა რომ მაგიდას გადააფარა სტუმრისთვის.

გზა. ომი. შიმშილი.

საღამოობით მე და მამა დეზერტირების ბაზარში კომბოსტოს ნაქურჩალს ვაგროვებდით ტყუილი ბორშისთვის.

- მწვანილი გვინდა, - წაიდუდუნა მამამ და ჭიან კარტოფილს დასწვდა.

კიბეებს დავუყევით და... ვიყვირე:

- თავმჯდომარე!

პირზე ხელი ამაფარა მამაჩემმა, ლამის გაგუდვამდე.

იჯდა კაცი. მუყაოს ყუთზე მწვანილი დაელაგებინა.

ახლა მამაჩემის თვალის ირისი გახდა გადასაფარებლის ფერი.

მამამ ვერ იცნო, თორემ როგორ შეიძლება, ასე უჩუმრისპირად ჩაუარო ნაცნობს ?!

„დოქტორი"

ოდესღაც აქ სულების საამქრო იყო, ჩვენც აქ შთაგვბერეს სული, მერე ეს ხის კარები გაგვიღეს, დღის სინათლეზე გამოგვიშვეს და - "მოუფრთხილდითო" - ასე დაგვავალეს.

როგორ ავიბენით თავიდან?!

ჩემიანებს ხომ გახსოვთ, რამდენჯერ მივადექით საამქროს, რომ ამოეგლიჯათ ეს ოხრად მოწებებული რვა გრამი სული და დაგვესვენა.

არავინ რომ გააღო კარი, ეგეც ხომ გახსოვთ?!

რამდენი ვაბარახუნეთ არადა...

მერე უჩინრად დავატარებთ, სასაცილოდაც კი.

გუშინ პაპა ამოვიდა ავტობუსში, საამქროს ბოლო გამოშვებიდან.

ვიცანი.

გულზე ნაომარი ჩინ- მედლები ეკიდა.

ყველას გაეცინა.

მგონი, მართლაც იყო სასაცილო, ისე ჟღარუნობდა.

ჩვენ ყველა სასაცილონი ვართ, იმ საამქროდან გამოსულები.

პოეტია კიდევ ერთი, კრებული გამოსცა აგერ ახლახანს და ასე ჰქვია კრებულს -"ადამიანი."

მოდი და ნუ გაგეცინება, რაღა დროს ადამიანია?!

ის თუ გახსოვთ, ბავშვი რომ გადაარჩინა ხანძარს და თვითონ დაიწვა, ჩვენიანი იყო ეგეც.

ჰო, როგორ არა, ყველამ თქვა გმირიაო და რამე, მაგრამ მანამდე არავინ იცოდა, რა მაგრად ხატავდა ის უბედური.

მერე გამოფენაც მოუწყვეს. ვიყავი მეც.

ვიღაცამ თქვა:

რა ძნელია იყო გმირი და რა ადვილია ილაპარაკო გმირებზე!

რაღაც ასეთი ითქვა მოკლედ.

არავის უხსენებია, საიდან მოდიოდა ეს ბიჭი.

არავის უკითხავს, რატომაა წლების მანძილზე დაკეტილი სულების საამქრო ?!

არავის ეუხერხულა, რომ იქ მყოფ უმრავლესობას სხეულები ეცვათ შიშველ ძვლებზე და არა სულებზე.

უხერხულად ისევ ჩვენ ვგრძნობდით თავს, იმიტომ რომ ჩვენ ვიყავით უმცირესობაში და იმ გამოფენაზე რაოდენობაში იყო ხარისხი.

მერე ჩვენ შემთვრალები - მე, ჩინ- მედლიანი და პოეტი ვიდექით და ალბათ მეასედ ვკითხულობდით ლურჯ ასოებს :

დ ა კ ე ტ ი ლ ი ა !

ოჰ, უბედური პოეტი ცივ მინას ადებდა ცხელ ლოყას და ტიროდა რომ ჩალის ფასადაც ვერ ყიდდა ლექსების კრებულს - „ადამიანი !"

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

პოეზია

თეოდორე ქართველიშვილი

ჩემო პრეზიდენტო!..
იალბუზიდან ნელ-ნელა
დაიძრა თოვლი და
წკრიალ-წკრიალით მთის
კამკამა წყაროს შეუერთდა.
წყარო ნაკადულად იქცა,
ნაკადული მდინარედ.
მდინარე - ზღვად!..
სწორედ ასე იყო თქვნი
იდეოლოგიის ზრდა,
ზვიად,
ჩემო პრეზიდენტო!..
ახლა, როცა თქვენ
არა ხართ

ზღვა იქცა მდინარედ,
მდინარე ნაკადულად,
ნაკადული წყაროდ,
წყაროს გამოეყო იალბუზიდან დაგორებული
თოვლის გუნდა და დაშრა!..
დაშრობა გვიწერია ჩვენც.
ზვიადმა მთებმა, ფრთები მოიკვეცეს
ზვიად!
ჩემო პრეზიდენტო,
ამდენ უყველაფროს, გაუყველაფროებულს,
რა გვეშველება, რა!
რიყის ქვა გვერდით ედო მოვარაყებულ ვერცხლს,
ან ვერცხლად უნდა გაეყიდეთ,
ანუ საქართველოსთვის ეღალატათ,
ან რიყის ქვა მოეკიდათ ფეხზე და გადამხტარიყვნენ
მეტეხიდან...
მათ შენი გავერცხლება, ანუ საქართველოს ღალატი
არჩიეს, ზვიად,
არჩიეს რა, აირჩიეს და ეს გზა უნდოდათ,
ჩემო პრეზიდენტო,
ვერ იათიათასეს, ყველა ვერ იქნება ცოტნე დადიანი!..
ახლა მხოლოდ გვამები ვართ,
თანამედროვე ტერმინით,
როგორც გენით გაყოლილი ცოდვიანი უცოდველი
ბავშვები ამბობენ -ზომბები!..
შენ, რომ არა ხარ,
დაგვეტყო ჩემო პრეზიდენტო!..
გთხოვ მოგვეშველო,
გთხოვ გადაარჩინო ,,მოყვარეთაგან“
დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველო!..
მზე გაჭაღარავდა, მთვარემ მიგვატოვა,
ზღვა მხოლოდ მიქცევით არის დაკავებული, უკან დაიწია...
გთხოვ, ჩემო პრეზიდენტო,
მოგვეშველე,
რომ დავიბრუნოთ საქართველო!..
საქართველო, რომელსაც ჰყავდა
აფხაზურად მონარნარე სოხუმის თოლიები,
რომლებიც ახლა მხოლოდ სურათებსა და მოგონებებში
სახლობს...
მარჯვენა მოგვაჭრეს, ვით უტას და
უკვე მარცხენაც წაგვართვეს,
დაგვაკოჭლეს, ჩემო პრეზიდენტო,
მოდი, გვიყავარჯნე,
მოდი, შეგვეხიდე,
მოდი მოგვეხელე და წავალთ წინ,
ჩემო ზვიად,
ჩემო სამშობლოდან გაძევებულო პრეზიდენტო!..

× × ×

ვერ მოვერიე, ვერ დავამარცხე ჩემი გრძნობები,
სისუსტეები, რომელსაც ადამიანურს უწოდებენ ხოლმე.
ძლიერი მეგონა ჩემი თავი, მსურდა მოვრეოდი საკუთარ
გრძნობებს,
გრძნობებს, რომლებიც მეეკლებოდნენ მოლიპულ ოცნებებზე...
ვფიქრობდი ჩემს ძლიერებაზე და ვერა და ვერ,
ვერა და ვერ დავუმტკიცე ჩემი ძლიერება,
სხვას კი არა, საკუთარ თავს..
თუმცა მავიწყდება, ხშირად მავიწყდება თავი რო დავკარგე მაშინ...
მოლიპულ გზაზე, შუა ზაფხულში დავდივარ ეკლებიანი
ქამანდებით,
რომ არ წავიქცე.
ვერ წარმოიდგენ, ვერა და ვერა ეს რა ბედნიერებაა...
თუ წავიქცევი, ვერავინ ამაყენებს, ეკალი უჩხვლეტს
ყველას
გარდა ჩემი ხორბლისფერი დედისა...
მტკივა. ვინმემ ამაყენეთ წაქცეული.
მაგრამ არავინ იჩხვლეტს ეკალს შენთვის!
„სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი,“
მაგრამ ის ჩხირი ღობეს ხო ამაგრებს...
მოდი, გამიმაგრე ზურგი!
ვერ მოვერიე, ვერ დავამარცხე ჩემი გრძნობები, ვერა
და ვერა!

2019

ოთო ბერიძე



პაგარა ცხვარი

ბურუსი იყო წუთისოფელში,
ყაყაჩოებსაც ეფინა ცვარი
და გამოსცლოდა მწყემსსაც ხელიდან,
გრძნობამიხდილი პატარა ცხვარი.

ბალახებს სცვივა წყლის კრისტალები,
რომლებიც ველარ გაბრწყინდებიან.
თრთოლვას დაიწყებს ჩემი თვალები,
როცა მტრედებიც გაფრინდებიან,

თუმცა გაფრინდნენ
უმისამართოდ,
სიცოცხლეში ხომ ცოტა წამია.
ასე ცუდად და ასე უაზროდ,
აღარ ვყოფილვარ დიდი ხანია...

ბურუსი იყო წუთისოფელში,
ყაყაჩოებსაც ეფინა ცვარი
და გამოსცლოდა მწყემსსაც ხელიდან,
გრძნობამიხდილი პატარა ცხვარი.

არწივი

ლაღობდა ცაში არწივი,
ვნახე ამინდი კარგიო,
ეხლა მაძღარი დავფრინავ,
გუშინ სვავებსა ვგავდიო,
ნეტა რად მესვრის ტყვიასა
გამწარებული კაციო,
მტერი ვგონივარ თუმცაღა,
თვალებს უკორტნის ყვავიო,
გველეშაპები მკლავს ჭამენ,
დევნი გლიჯავენ გულ-მკერდსა,
და ველარ არჩევს ვაჟკაცი,
მოყვარესაგან მის მტერსა.
არწივს რა უჭირს ნეტავი,
დასჭყივის არემარესა,
კაცსაც არაფერს არ ერჩის,
იცავს თავისას მხარესა.
მაგრამ ვაი, რომ ვერ ხედავს,
დაბრმავებულა ადამი.
არ იცის როგორ მოიქცეს,
დასდოს ოღონდაც სხვას ბრალი...
დასდოს ოღონდაც სხვას ბრალი.

პოეტი

გარედან კი გავხარ გოლიათს,
შიგნიდან წერტილიც არ დარჩი.
არ იცი როგორ ხარ საერთოდ,
ვერც ხვდები როგორღა გადარჩი.

სასურველ სიტყვებსაც ვერ ამბობ,
თითქოსდა აღარც გაქ გრძნობები,
და მაინც რა იცი რას ნატრობ,
ხოლმე რომ უცფად შფოთდები.

ირგვლივ ხომ ყველასთან იღიმი,
ნამდვილად არავინ არ გიცნობს,
და მაინც შენ გჯერა კვლავ იმის,
რომ ვიღაც შიგნიდან გაგიცნობს.

ჰო ზოგჯერ ასეც კი ხდება და
სათქმელსაც ფრაზებით ვერ ამბობ,
გინდა რომ მოხატო გარემო,
და უცებ უფსკრულით შეამკობ.

გარედან კი გავხარ გოლიათს,
შიგნიდან წერტილიც არ დარჩი,
არ იცი როგორ ხარ საერთოდ,
და ფიქრობ რატომღა გადარჩი...

გაყინული მუზა

ისევ მთვარეს მივაშურე გეზი,
ისევ ღამით დავაპირე წასვლა.
ქარი იყო გონებაში თუმცა,
მოვახერხე კოშმარების წაშლა.

არ მინდოდა მეტი ცუდი გრძნობა,
სურდოც მღლიდა გამუდმებით შეშლილს.
ძნელი არის გულში სულის ფლობა,
როცა ყველას დაინახავ შეცვლილს.

თითქოს ირგვლივ მეტობაა წამის
და გრძნობები იატაკზე ყრია,
დროც კი უცებ შეიცვალა ძალით,
უნდა მოხვდეს გაყინული ტყვია.

ნეტარების სინდრომია მაღლა,
ცოტა ქვევით საცავია ხალხის.
ხეებსაც კი დიდი დროის შემდეგ,
მხოლოდ კვალი შერჩენია ხავსის.

დედამიწაც ველარ სუნთქავს ჟანგბადს,
გამოფიტულ სხეულს ველარ იღდგენს.
ალბათ იგრძნო უჩვეულო დაღლა,
მაგრამ თითქოს არავისთან იმჩნევს.

„ათხაზეთი”

სადღაც ვდგავარ უსიტყვოდ ამღვრეული
თვალებით,
გული დაიშალა და ფეთქვას აღარ
აპირებს,
შენი ნაზი ხელების როიალზე დაცემა,
ვიცი ვგრძნობ და განვიცდი უცებ
რომ ამატირებს.

გაცვეთილი სივრცისგან პატიებას
ვითხოვდი,
ქარი ისევ მოძრაობს იმ დაშლილი
გულიდან,
იქეთ გოლიათებმა სამყარო რომ წაიღეს,
სუნთქვამ ამოიოხრა გახრეწილი სულიდან.

ეხლა ჩემი სიცოცხლე წამის მეასედია,
ტალღები კი ლოდებზე სიმწრით
ეხეთქებიან,
ეს უსიტყვო წადილი უცნაურზე მეტია,
ცაზე კიდე ღრუბლები წვიმას ეფერებიან.

დახეთქილი კანიდან სისხლი დენას
აღარ წყვეტს,
უცებ გარდავიცვალე გარეგნობის
სისუსტით,
ირგვლივ სითბო ამშვიდებს
გადარეულ თოლიებს,
მე კი ისევ ვიღლები შეუჩვევი სისუსხით.

გოლიათებს გავყვები მხრებზე
გადავაბიჯებ,
იქნებ ისიც გავიგო ცაში როგორ არიან,
შენ კი კითხვებს დამისვამ არეული ფრა-
ზებით,
მკითხავ თუ გენატრები? მეკი გეტყვი
- ძალიან.

დღეს კიდევაც გარიჟრაჟს მარტოობით
შეხვდები,
მზე რომ ამოანათებს წერილს
გამოვაყოლებ,
შორს მივდივარ იცოდე ჩემო
გიშრისთვალება,
საგზალსა და ცრემლებს კი, გთხოვ,
ნუ გამომაყოლებ.

ჩალეწილი გრძნობები ტკივილს ველარ
თოკავენ,
მე, ბოდიში, ცრემლები თუკი დღემდე
შემოგრჩა,
მე უბრალოდ განვიცდი მიზეზი კი ის არის,
რომ უთუოდ ზედმეტი ერთი ნოტი
შემორჩა.

სიო უკვე ველარ ძლებს არეული ქარია,
გადახვეწილ ყაჩაღებს თავი უნდა
ვადარო,
ქარიშხალმა დროდადრო ამინდებიც არია,
ამიტომ აქ ქარიშხალს თავი არ შეადარო.

ირგვლივ ყველას ძინავს და მეკი ისევ
ვაბოდებ,
აღარ მინდა აწვალოს შფოთმა ჩემი
ზმანება,
ამ ბოლო დროს რაღაც შორს გავურბივარ
ყველაფერს,
ამიტომაც ჟანგბადი აღარც კი მეკარება.

ისევ ვდგავარ სადღაც შორს უცნაური
სიჩუმით,
„სმაილების“ ნაცვლად კი ბოღმა
უფრო მეტყობა,
გასროლილი ტყვიიდან ყველა თურმე
ამცდა და
აცდენილის ტკივილი გულზე უფრო
მესობა.

მშრალი სუსხის გაცვეთა მარტოობას
მაგონებს,
აისბერგიც გამსკდარა და ჩაძირვას
მოელის,
შენი სველი ნოტების გასაშრობად
გაკიდვა,
თან უხდება ნაწნავებს ღია ატლასს
მოღერილს.

სადღაც ვდგავარ უსიტყვოდ ამღვრეული
თვალებით,
გული დაიშალა და ფეთქვას აღარ
აპირებს,
შენი ნაზი ხელების როიალზე დაცემა,
ვიცი ვგრძნობ და განვიცდი უცებ
რომ ამატირებს...

დიდი ქართველის - გია ყანჩელის გაჩენა

მსოფლიო ხელოვნებას უდაოდ გამოაკლდა დიდი კომპოზიტორი, უბადლო ნიჭითა და არტისტიზმით დაჯილდოვებული პიროვნება, რომლის დაკრძალვის დღესთან დაკავშირებით იყო სურვილები ხელოვნების დარგის წარმომადგენლებისგან, რომ იგი დაეკრძალათ მთაწმინდაზე, ხოლო დაკრძალვა საერთო სახალხო გლოვის დღედ ქცეულიყო.

არცერთი ამ სურვილთაგან არ შედგა.

ბატონი გია ყანჩელი, ჩემი აზრითაც, ნამდვილად გახლდათ მსოფლიოს უდიდესი კომპოზიტორი, უფლის მიერ ბოძებული ნიჭითა და მადლით, მაგრამ თუ როგორ ითავისებდნენ ჩვენი დიდი ხელოვანები სამშობლოს წყლულს და თუ როგორი საზოგადო მოღვაწეები იყვნენ ეროვნულ-პატრიოტულ საკითხებთან მიმართებაში, ეს კრიტიკის საგანია;

ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც კარიერიზმი და სახელისუფლო ჟინი, ყმაწვილობიდან ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი, მიუხედავად ხალხის გამოხატული სიძულვილისა, არა და არ თმობდა საპრეზიდენტო სავარძელს; 2000 წლის 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, ამ "თეთრმა მელამ" აამოქმედა წითელი ინტელიგენცია, რომელთა ხელმოწერებითაც შეიქმნა მისდამი წერილობითი ულტიმატუმი, რათა შევარდნაძემ კენჭი იყაროს 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებშიც. შევარდნაძის მხრიდან, საპრეზიდენტო არჩევნების 9 აპრილს დანიშვნაც, ცინიზმის გამოხატულებაც გახლდათ. "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ წითელი ინტელიგენციის „ულტიმატუმს" ედუარდ შევარდნაძისადმი ხელს აწერდნენ: ელგუჯა მეძმარიაშვილი, ევგენი ხარაძე, ალბერტ თავხელიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი, ოთარ იოსელიანი, რეზო გაბრიაძე, ნონა გაფრინდაშვილი, გია ყანჩელი, ნანი ბრეგვაძე, ჯანსუღ კახიძე, მარიკა ლორთქიფანიძე, ზურაბ წერეთელი. ამ „ულტიმატუმის" ძალით, უზურპატორმა ე. შევარდნაძემ მესამედაც იპყრა ხელთ საქართველოს სახელისუფლო საჭე, რითაც გახანგრძლივდა მისი მაოხრებელი პოლიტიკა საქართველოზე და რაშიც, სამწუხაროდ, ბატონი გია ყანჩელის წვლილიც იდო.

ამ პრეისტორიამ, ვერადავერ გადამადგმევინა ნაბიჯი, რომ მეც შევრწყმოდი ბატონი გია ყანჩელის, არცთუ მრავალრიცხოვან სამგლოვიარო პროცესიას.

მომიტევეთ ბატონო გია, თქვენ მაინც დარჩებით ჩემში დიდ და საყვარელ კომპოზიტორად. ღმერთმა ნათელში დაავანოს მარადიულ სასუფეველში გადანაცვლებული თქვენი სული.

თქვენ კი, ჩვენო საყვარელო ხელოვანნო, გულისხმა ჰყავით...

2019 წლის 5 ოქტომბერი,

ლეილა ცოფანია

ნატოსკენ სწრაფვის გამო...

დასწყისი გვ. 9

„საუბარია, საქართველომ განიხილოს შესაძლებლობა, ნატო-ში გაწევრიანდეს მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრებით, თუმცა მე-5 მუხლი არ გავრცელდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რათა მაშინვე რუსეთთან კონფრონტაციული კომპონენტი არ დადგეს დღის წესრიგში. ეს, ერთი მხრივ, დააჩქარებს საქართველოს ალიანსში გაწვერიანებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარებისთვის და დააჩქარებს თავად ამ ტერიტორიების ინტეგრაციას. ასე რომ, მე ვფიქრობ, ეს იდეა შესაბამება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს", – განუცხადა „ნეტგაზეთს" სიხარულიძემ.

slideshow, ახალი ამბები

ელენე ხაჭაპურიძე - 07.03.2018

აპატურაი: არარეალისტურია საქართველოს ნატოში გაწევრება მეხუთე მუხლის ნაწილობრივ მოქმედებით.

ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი ამბობს, რომ არარეალისტურია საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე მსჯელობა იმ პირობით, რომ მეხუთე მუხლის მოქმედება არ გავრცელდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

„გულწრფელად რომ გითხრათ, არ არის სასარგებლო და რეალისტური, ვიმსჯელოთ საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებაზე მეხუთე მუხლის გარეშე ან მისი ნაწილობრივი ამოქმედების პირობით გაწევრიანებაზე. „ჰერითიჯ ფაუნდეიშენის" მიერ წარმოდგენილი წინადადება შეიცავს და დაკავშირებულია სირთულეებთან, ძალიან ბევრ შესაძლო სირთულესთან.

აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ არ არის რეალისტური, ხალხმა ამ თემაზე იფიქროს და იმსჯელოს. ალიანსის წევრი ქვეყნების ყურადღება კონცენტრირებულია ქართული რეფორმების მხარდაჭერაზე. ეს არის საკითხი, რაზეც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრ სახელმწიფოებს კონსენსუსი მიღწეული აქვთ. „ჰერითიჯ ფაუნდეიშენის" მიმართ პატივისცემის მიუხედავად, არ არის კარგი იდეა და მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, რომ გაჩნდეს ამ სცენარის ირგვლივ მოლოდინი საზოგადოებაში", – განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ „პირველი არხისთვის" მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში.

კვლევითმა და ანალიტიკურმა ცენტრმა „Heritage Foundation" გამოაქვეყნა მკვლევარ ლუკ კოფის ნარკვევი, რომელიც საქართველოს ნატოში გაწევრებას ეხება. დოკუმენტში წერია, რომ პირად საუბრებში საქართველოს მთავრობის წევრები თანახმა არიან, საქართველო იმ პირობით გახდეს ნატოს წევრი, თუ ნატოს მეხუთე მუხლი არ გავრცელდება ქვეყნის ორ ოკუპირებულ ტერიტორიაზე – აფხაზეთსა და ცხინვალზე.

ეს ნიშნავს, რომ ამ ორი რეგიონის გამო საქართველოს აღარ მოუწევს ჩაბმა ნატოს შეიარაღებულ კონფლიქტში, რადგან მეხუთე მუხლის მიხედვით, ერთ წევრზე შეიარაღებული თავდასხმა ნიშნავს, რომ ყველა წევრს დაესხნენ თავს და ნატოც კოლექტიური თავდაცვის პასუხისმგებლობით პასუხობს აგრესიას. აქედან გამომდინარე, მეხუთე მუხლის მოქმედება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე იმ დროს გავრცელდება, როცა პრობლემა მშვიდობიანი გზით მოგვარდება და ამ ორ რეგიონზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი აღდგება.

ჯეიმს აპატურაი „პირველ არხთან" ინტერვიუს დროს ამბობს, რომ ნატო-ს სახელმწიფოებს ლუკ კოფის მიერ წარმოდგენილ საკითხზე არ უმსჯელიათ. მისივე განცხადებით, ამ სცენარის შემთხვევაში ძალიან მარტივი იქნება პროვოკაციების და კონფლიქტის გაღვივების შესაძლებლობა.

„არ ვფიქრობ, რომ ალიანსის წევრი ქვეყნები მზად იყვნენ ამ რისკისთვის და დესტაბილიზაციის შექმნის საშიშროებისთვის. ექსპერტები ისტორიულ მაგალითებზეც საუბრობენ. ერთადერთ მაგალითად შეიძლება ცივი ომის დროინდელი გერმანია მოვიყვანოთ. უნდა ვთქვათ ისიც, რომ ეს სრულიად განსხვავებული შემთხვევა და სცენარი იყო. ალიანსმა მაშინ განაცხადა, რომ ორგანიზაცია მზად იყო გერმანიის იმ ნაწილის დასაცავად, რომელიც ნატოში იყო გაწევრიანებული, საომარ მოქმედებებში ჩართულიყო. „ჰერითიჯ ფაუნდეიშენის" მიერ წარმოდგენილი სცენარს და ცივი ომის დროინდელ გერმანიას შორის პარალელს ვერ გავავლებთ. ეს განსხვავებული სცენარია", – ამბობს ჯეიმს აპატურაი.

მისივე თქმით, საქართველოსთვის ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა არის სირთულე, მაგრამ არა წინაღობა

„არაერთხელ ითქვა, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი. რუსეთი წლებია, საქართველოს ტერიტორიებზე იმყოფება და ამ სირთულეების ცოდნის ფონზე ნატო აცხადებს, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი და აქვს ყველა ინსტრუმენტი წევრობისთვის მოსამზადებლად. ასე რომ, ეს სირთულე ნამდვილად არის", – განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ.

გიორგი კალანდიას დოკუმენტური ფილმი "დახვრეტილი საქართველო"

სექტემბერში, ტელეკომპანია „იმედზე" გავიდა დოკუმენტური ფილმი „დახვრეტილი საქართველო".

დავიწყოთ იქედან, რომ ტელეკომპანია „იმედის" პოპულარულმა სახემ და ფილმის ავტორმა გიორგი კალანდიამ თვითრეკლამად დაანონსა, რომ მან "აქამდე უცნობი კადრები მოიძია", რაშიც, რეკლამირებული ფილმის ნახვის შემდეგ დავრწმუნდით, რომ მასში ფაქტიურად არაფერი იყო ახალი და აქამდე ცნობილ კადრებს წარმოადგენს მხოლოდ.

თომა ჩაგელიშვილის ორსერიანი დოკუმენტური ფილმის - „თბილისის ომი 1991-92" -განმეორებითი ჩვენებით გამოწვეული უკმაყოფილობისა და გულისტკივილის უმალ, გიორგი კალანდიას დაანონსებულ ფილმს იმედითა და ინტერესით დავუწყეთ ყურება. თუ თომა ჩაგელიშვილი გარედან მაყურებელი გახლდათ 1991-92 წლების სამხედრო კრიმინალური გადატრიალებისა და თავადაც არცთუ კეთილგანწყობილი იყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მიმართ, გიორგი კალანდია გახლავთ შვილი ეროვნული მთავრობის საგარეო საქმის მინისტრის მოადგილის ბორის კალანდიასი და ამდენად იგი უშუალო კავშირურთიერთობაში გახლდათ იმ პერიოდის მოვლენებთან და გარკვეული ხნით, მამასთან ერთად დევნილობაში იმყოფებოდა კიდეც მოსკოვში. საქართველოში, მამის გარეშე დაბრუნებული გიორგი კალანდიას ფორსირებული კარიერისტული წინსვლა ვერ გვაძლევს რწმენას მისი ნაღვაწის პირუთვნელობისა, რაშიც მე მასთან პირადი ურთიერთობითაც დავრწმუნდი და აი, როგორ!

ამერიკელმა პროფესორმა, რუსეთისა და ევრაზიის საკითხების მკვლევარმა სტივენ ჯონსმა 2012 წელს გამოსცა წიგნი: „საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ". 2013 წელს წიგნი ქართულად გამოიცა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს" მხარდაჭერით (თარგმანი ხათუნა ჩხეიძის). ამ სქელტანიან წიგნში პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ბატონ სტივენსს სრულიად ნეგატიურ კონტექსტში ჰყავს წარმოდგენილი, ხოლო ედუარდ შევარდნაძე კი დიდ პოლიტიკოსად. მე გადავწყვიტე ჩემი ეროვნული გაზეთით პასუხი გამეცა სტივენ ჯონსისათვის და საპოლემიკო სტატია შევუკვეთე უნივერსიტეტის პროფესორ, აწგარდაცვლილ გოჩა გვასალიას, რომელიც იმხანად თანამშრომლობდა ჩემს გაზეთთან. მისი ავტორობით ვრცელი საპოლემიკო სტატია მალევე გამოვაქვეყნე ჩემს გაზეთში (იხ. ლინკი https://iberiana2.files.wordpress.com/2014/05/n41.pdf), ხოლო გაზეთი მივიტანე ფონდ "ღია საზოგადოებაში" სტივენ ჯონსისთვის გასაცნობად. მალევე, გიორგი კალანდიამ დაანონსა, რომ თავისი დირექტორობის ხელოვნების სასახლეში, რომლის დირექტორიც თავად გახლავთ, აწყობს შეხვედრას სტივენ ჯონსთან, სადაც მეც წავედი, რათა პირადად დავლაპარაკებოდი უცხოელ სტუმარს მისი წიგნის თაობაზე. დამსწრე საზოგადოებაში ჩემთვის ყველაზე ნაცნობი რუსუდან კობახიძე შევნიშნე, რომელსაც გავაცანი ჩემი მისვლის მიზანი. იგი უხერხულად შეიშმუშნა და მითხრა, რომ არაფერი იცის ჯონსის წიგნის თაობაზე. კალანდიასთვის რომ მოულოდნელი არ ყოფილიყო ჩემი გამოსვლა, მასთანაც მივედი და ვთხოვე მოეცა ჩემთვის საშუალება მცირედი რეპლიკა გამეკეთებინა სტივენსის მისამართით. კალანდიამ არ მომცა უფლება: "არაფერი ვიცი მისი წიგნის გამოცემაზე, ხვალ მომიტანე და გავეცნობი"ო. მეორე დღესვე მივუტანე ჩემი გაზეთიც და წიგნიც, რაც უმადურად და უპატივცემულოდ ჩამომართვა. მე მიხვდი, რომ მას აღარც სტივენსის ინსინუაციური წიგნი აინტერესებდა ზვიადზე და აღარც ჩემი გაზეთის პასუხიც; მისთვის მთავარი გამარჯვება იყო, რომ მან მოხერხებულად "გადააგორა" გუშინდელი დაძაბული დღე!

https://www.youtube.com/watch?v=uKc5oZClNNo&fbclid=IwAR2iBGbYU-OgPYhV9UlY3pG3zDXBZV4FhYLOAVg7vvKm5kS1pCoziDvCgH4

ახლა მივყვეთ გიორგი კალანდიას კომენტარებს მის მიერ დასათაურებული „დახვრეტილი საქართველოს" ფილმისა: „ზვიად გამსახურდია... საზოგადოების რაღაც ნაწილისათვის იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა, რომ 87%-ით არჩეულ ლიდერს გადადგომა მოსთხოვეს..." „აჯანყებული სარდალი კიტოვანი... რომელსაც დამცველები საზოგადოებასა და სტუდენტებშიც გამოუჩნდა..." ბატონ კალანდიასეულ ამ ორ კომენტარში ძალზედ შერბილებულად არის გადმოცემული სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების დაწყება, რაც რეალურად მართულ-დაფინანსებული გახლდათ იმპერიული რუსეთის მიერ. „რუსთაველის პროსპექტზე დატრიალებული ტრაგედია სამხედრო შეიარაღებულ ამბოხად და ანტიკონსტიტუციურ ქმედებადაა შეფასებული. მართალია არაოფიციალურ დონეზე, მაგრამ ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი... ამაზე თანხმდება", აგრძელებს კომენტირებას ბატონი კალანდია. ობიექტურობისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის ეს შავი ფურცელი ოფიციალურ დონეზედაც შეფასდა საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილებითა და 2005 წლის 11 მარტის დადგენილებითაც. ამ უკანასკნელი დადგენილების მეორე პუნქტში ჩაწერილია: „2. დაიგმოს 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება". რაც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ-პროფესორმა გიორგი კალანდიამ უნდა იცოდეს!

ამ თემას საერთოდ არ ეხება, მაგრამ ისტორიკოსმა გიორგი კალანდიამ ახლახან გულწრფელად გამაკვირვა თავისი დამამუნათებელი განცხადებით, რომ ქართველს კითხვა ეზარება, რადგან ზარმაცია, თორემ გულდასმით რომ წაიკითხოს „გეორგიევსკის ტრაქტატი", შიგ ჩვენთვის მრავალ სასიკეთო პუნქტებს აღმოაჩენსო. ნუთუ დღესაც სჯერა ბატონ კალანდიას, რომ საბჭოთა რუსეთის კონსტიტუცია და ტრაქტატი, სრული გარანტია ან არის მისი კანონიერ ძალაში შესასვლელად და არა ფარატინა ქაღალდი და ფიქცია?! სსრკ-ს კონსტიტუციით მოკავშირე რესპუბლიკებს ჰქონდა უფლება გასულიყო შემადგენლობიდან, მაგრამ თუ როგორ გაუსწორდა იგი თავისუფლების მოსურნე ერებს, ხომ ყველამ ვნახეთ?!

„სამხედრო გადატრიალების ინიციატორებმა 3 იანვარს, მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ ქმედება დაიწყეს" ... გვაუწყებს ფილმის კომენტატორი ბ-ნ გიორგი. რა „ქმედება", ბატონო გიორგი, როდესაც აშკარად სადამსჯელო რეპრესიები და დახვრეტები დაიწყო ხუნტამ უიარაღო მომიტინგეების წინააღმდეგ?

„2 თებერვლის მიტინგის... შემდგომ სამხედრო საბჭომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეები საბოლოოდ დათრგუნა და პროტესტი დედაქალაქში წელში გადატეხა ..." სრული დეზინფორმაცია და უზუსტობა! 1992 წლის 2 თებერვლიდან 2003 წლამდე, ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას არ შეუწყვეტია ბრძოლა შევარდნაძის ხუნტისტური რეჟიმის წინააღმდეგ. პირადად მე 1997 წელს ვიყავი პოლიტპატიმარი უნივერსიტეტის ეზოში საპროტესტო მიტინგის მოწყობისთვის და სტუდენტებისთვის შევარდნაძის რეჟიმის დამხობის მოწოდებისთვის. 2003 წლამდე საქართველოს ციხეებში ტანჯავდნენ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მომხრე პოლიტპატიმრებსა და სამხედრო ტყვეებს და სამეგრელოს ტყეებში ჯერაც გახიზნული იყვნენ ზვიადის გვარდიის მეამბოხე წევრები. გამოდიოდა არალეგალური ჟურნალ-გაზეთები, ეწყობოდა საპროტესტო მანიფესტაციები დედაქალაქის ქუჩებში დაუმორჩილებელი და შეურიგებელი ეროვნული მოძრაობის მიერ.

„1992 წლის 2-მა თებერვალმა... მთელი მსოფლიოს წინაშე საბოლოოდ გააშიშვლა იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურად უმწიფარი საზოგადოება. საზოგადოება, რომლის ერთ ნაწილს მეორე ნაწილის წინააღმდეგ, ყველაზე მიუღებელი ბრძოლის მეთოდები შეიძლებოდა გამოეყენებინა..." ვერც ამ შეფასებაში დაგეთანხმებით ბატონო გიორგი, რამეთუ, საბედნიეროდ არც ჩვენ წარმოავადგენდით „პოლიტიკურად უმწიფარი საზოგადოება„ს და საუბედუროდ, არც შეიარაღებული ოპოზიცია, რომელსაც აფინანსებდა და მართავდა კრემლი.ამ შეფასებამ,ბატონო გიორგი, სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია, აგრეთვე შევარდნაძის რეპრესიული რეჟიმის გახმაურებული მსხვერპლის, პოლიტპატიმარ ზაზა წიკლაურშიც და უზენაესი საბჭოს დეპუტატებშიც, რაც ფეისბუკის საკუთარ გვერდებზე გამოხატეს.

„ყოფილ საბჭოეთში საქართველო პირველ სახელმწიფოდ იქცა, სადაც სამოქალაქო დაპირისპირება და ძმათამკვლელი ომი არნახული მასშტაბით გაჩაღდა". ეს საბოლოო კომენტარი კი არაფრით განსხვავდება თომა ჩაგელიშვილის შეფასებებისაგან, რაც ერთობ გასაკვირი და გულსატკენია ეროვნული მთავრობის ოჯახის წევრისგან; „სამოქალაქო დაპირისპირება და ძმათამკვლელი ომი„?!...

და კიდევ, ახალი სხვაც; ივანიშვილის ხელისუფლების ყოფილი ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის უდროო გარდაცვალებასთან დაკავშირებით გიორგი კალანდია წერს (23:05 / 10.09.2019): "მაბრალობლების" ერად ვიქეცით, ისეთ "მაბრალობლებისა" რომელთაც მგონია ჯოჯოხეთშიც კი არ ელოდებიან". ესოდენი ღვარძლისა და მრისხანების ფრქვევა ერის მიმართ, რომელსაც, თურმე "ჯოჯოხეთშიც კი არ ელოდებიან", ვითომ დიდი ჰუმანიზმისა და სათნოების გამოვლინებაა ბატონი კალანდიას მხრიდან? ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი ხადურის სული, რომელსაც მაგინებელზე მეტი, მჯერა, რომ მაქებლებიც ჰყავდა...დასკვნით ნაწილში ერთ საჩოთირო საკითხსაც უნდა შევეხო; ფილმის დასასრულს ჩნდება წარწერა: ხელოვნების სასახლე, გიორგი კალანდიას არქივი. ტიტრებში კი არ არის მითითებული დოკუმენტური ვიდეოების წყაროები.

ლეილა ცოფასია,
2019 წლის 11 სექტემბერი

რაც ვნახე და განვიცადე

დასაწყისი გვ. 5

დი პოზიცია დაეკავებინა. ავღანეთის ომგამოვლილს, რომელსაც საკმარისი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდა და იქ, უცხო მინაზე, მკერდით ეფარებოდა თითოეულ ქართველს, ვერ წარმოედგინა თუ ქართველი ქართველს უაზროდ გაიმეტებდა.

რუსთაველზე შავტანსაცმლიანები მომრავლდნენ. ამ დროს აფთარივით შემოიჭრა გია ყარყარაშვილი და გაიშალა ნამდვილი ბრძოლა. ,,ჰაუბიცამ" შემოანგრია პარლამენტის სქელი კედელი, დალეწა ნინოს ჯვარი, პრეზიდენტის სამუშაო კაბინეტი, მინის, ქვის, ბათქაშის ნამსხვრევებმა დაფარა ყველაფერი. პოლიცია უზენაეს საბჭოს შენობიდან უმტკივნეულოდ გავიდა. ეს იყო ,,თბილისის ომი". სინამდვილეში კი მეთერთმეტე არმიის მემკვიდრეები რუსული იარაღით იბრძოდა ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით.

ტიროდა დედა–სამშობლო, ტიროდნენ შვილმოკლული დედები. გულგახეთქილი ავედრებდა ღვთისმშობელს საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ეს იყო 22 დეკემბერი...

22 დეკემბერს გასროლილი ტყვია 1994 წლის 1 იანვარს დაეწია ზვიად გამსახურდიას. მას შემდეგ 25 წელი გავიდა. საყოველთაოდ ცნობილია დამკვეთიც, იძებნება შემსრულებელიც. ამ დროის განმავლობაში ტახტი დაუდგეს შევარდნაძეს, ხელისუფლებაში დაბრუნდნენ ნეობოლშევიკები და მათი ნაშიერები, ე.წ. ,,ეროვნული კონგრესის" სახით, ავტომატიანი ინტელიგენტები, ჟურნალისტები. რამდენჯერ შეიცვალა ხელისუფლება მაგრამ ე.წ. პოლიტიკოსები იგივე დარჩნენ. ,,პატრიოტთა ალიანსი" პარლამენტს სთხოვს, აღადგინოს სამართლიანობა და ცხრაწლიანი დიქტატურა ცნოს ფაშიზმად. დაისაჯოს ნაციონალები. ნაციონალების დაცვისაგან ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ სწორედ ირმა ინაშვილმა უნდა გასცეს კითხვებს პასუხი. 91–92 წლის სამხედრო გადატრიალება კანონიერი იყო? კოლხური კოშკის გადაწვა? განცხადებები: ავიღეთ თბილისი, გორი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, ზუგდიდი. ხომ გავს ეს ყველაფერი ორჯონიკიძის ხელწერას? რამდენი ახალგაზრდა დაიღუპა და რამდენი გაუბედურდა? რამდენი დაიკარგა? შევარდნაძე, სიგუა, კიტოვანი, იოსელიანი, ყარყარაშვილი, ლანჩავა, გია გულუა, კვირაია ანგელოზები იყვნენ? სად და როგორ აღესრულა ზვიად გამსახურდია?

დღეს თბილისის ფართო ქუჩებში დადიან: სიგუები, კიტოვანები, ვარსკვლავებს უხსნიან ავტომატიან მომღერლებს, მწერლებს, სათანადოდ ფასდებიან ე.წ. პოლიტიკოსები, წინა პლანზე იწევს მხედრიონი. ისინი არიან უმრავლესობაშიც, უმცირესობაშიც. როგორ გახლართულა კომუნისტების მეტასტაზები. ეს პოლიტიკური თაობა უნდა წავიდეს. თაობა, რომელსაც აშინებს 91 წლის 31 მარტის რეფერენდუმის ხსენება, 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი და ეროვნული გმირის გამსახურდიას ლეგენდარული პოროვნება. არავითარი მესამე ძალა. მესამე ძალაც იგივე იქნება, როგორც ,,ევროპული საქართველო", ,,გირჩი", ,,პატრიოტთა ალიანსი", ,,ქართული ოცნება" და სხვანი და სხვანი. ჩემზე უკეთ არავინ იცის რამდენი ავტომატმომარჯვებული ოპოზიციონერი ზის პარლამენტში. მე ბევრი დრო არ დამრჩენია ამ ქვეყნად, მაგრამ იმის იმედით, რომ საქართველოში მოვა და მოსულია საუკეთესო ახალგაზრდობა, ვიწყებ იმ ტრაგიკული დღეების ერთად აკინძვას. საქართველო უნდა გადარჩეს.

მინაწერი: იმ დღეს, როცა ზვიად გამსახურდიას ნეშტი ტოვებდა საქართველოს და გროზნოსკენ მიემართებოდა, ხარების ეკლესიაში პანაშვიდი გადაუხადა მამა ბესარიონმა. 25 წლის შემდეგ მამა ბესარიონმა კვლავ გადაუხადა პანაშვიდი ზვიადს მის სულიერ ძმასთან მერაბ კოსტავასთან ერთად ახალ წელს. მათი სულების მადლი ჰფარავდეს საქართველოს.

ლია კაცაძე,
უზენაესი საბჭოს დეპუტატი

ზუგდიდში 1992 წელს დახვრეტილი გოჩა ჯიქიას დღემდე უცნობი, სიკვდილამდე 3 კვირით ადრე დაწერილი წერილი

2014-03-19 23:52

1992 წლის 25 თებერვალს ზუგდიდის ცენტრში, დედის თვალწინ დახვრიტეს ახალგაზრდა არქიტექტორი გოჩა ჯიქია. მკვლელობა კინოთეატრის წინ, დღისით– მზისით მოხდა.

თვითმხილველები ჰყვებიან, რომ გოჩა ჯიქიას დედამ, როცა დაინახა, რომ სახელმწიფო გადატრიალების მხარდამჭერი ეროვნული გვარდიის ფორმაში ჩაცმულმა შეიარაღებულმა მხრიდან ავტომატი ჩამოიღო და გოჩა ჯიქიას დაუმიზნა, მკვლელს სთხოვა – შვილო, შემიბრალე, ეს ერთი მყავსო, პასუხად კი მიიღო: „ერთი რომ გყავს, მაგიტომაც მოვკლავ“.

თვითმხილველები იმასაც ჰყვებიან, რომ გოცა ჯიქია არც გადატრიალების მომხრეთა შეიარაღებული მოწინააღმდეგე იყო და არც არანაირი სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებია გვარდიელისთვის: მას, უბრალოდ, ახალგაზრდა კაცის მოშვებული წვერი და გამომეტყველება არ მოეწონა და ის „ზვიადისტად“ მიიჩნია, ასეთებს კი მაშინ ესროდნენ...

მაშინ ზუგდიდის კომენდანტი გია ყარყარაშვილი იყო, რომელიც საჯარო გამოსვლების დროს ზუგდიდელებს ეუბნებოდა, რომ გავრცელებული ხმები, თითქოსდა ისინი მოსკოვიდან ედუარდ შევარდნაძის ჩამოყვანას აპირებდნენ, სინამდვილეს არ შეეფერებოდა. ამ სტატიის ავტორს თავად აქვს მოსმენილი მისი სიტყვები ზუგდიდში: „არ დაიჯეროთ, ხალხნო, შევარდნაძეს საქართველოში ჩამოსასვლელი პირი არა აქვს და თუ ის აქ ჩამოვა, მე ვიქნები პირველი, ვინც ამას იარაღით ხელში აღვუდგები წინ“.

მოგვიანებით, როცა გია ყარყარაშვილი, სხვა პირებთან ერთად, ზვიად გამსახურდიას ერთგული გვარდიის წევრებმა ტყვედ აიყვანეს, ის სწორედ გოჩა ჯიქიას სახლში მიიყვანეს, ისე რომ თავად არ იცოდა, სად მიჰყავდათ. ოჯახში გაშლილ სუფრასთან, სადაც ტყვეც დასვეს, მოხუცმა, შაოსანმა ქალმა, რომელიც სტუმრებს მასპინძლობდა, მხოლოდ მოგვიანებით უთხრა ყარყარაშვილს, რომ ის მისი გვარდიელების მიერ დახვრეტილი გოჩა ჯიქიას დედა იყო...

ექსკლუზიურად „აფხაზეთის ხმას„ მიაწოდეს გოჩა ჯიქიას წერილი, რომელიც დღემდე არსად გამოქვეყნებულა და რომელიც გოჩა ჯიქიამ სიკვდილამდე სამი კვირით ადრე დაწერა.

საკმაოდ ვრცელი წერილი საინტერესოა დღევანდელი გადასახედიდანაც, ამიტომ მას სრული სახით გთავაზობთ:

"რა ხდება საქართველოში (ანუ, ვაი ჭკუისაგან)

გულგრილობა რა სათქმელია, დღეს ყველა ცდილობს უწინასწარმეტყველოს საქართველოს მისი ხვალინდელი დღე. იწინასწარმეტყველოს, თუ რითი დასრულდება ის, რაც გუშინდელ თუ დღევანდელ დღეს ვერ აგვიხსნია, რისთვისაც თანხმობაში სახელიც კი ვერ დაგვირქმევია.

ზერელედ, ერთი შეხედვით, თითქოს ერის ფავორიტი და მისი ანტიპოდი, ვინმე უზურპატორი ერთმანეთს შეტაკებიან. და სავალალოა, რომ ცდილობენ მავანნი, საქართველოში არსებული მდგომარეობის არსი, საფუძველი, ზვიად გამსახურდიას ყოფნა-არყოფნის პრობლემამდე დაიყვანონ.

თუმცა, ცხადია, ამ საკითხზეც დიდადაა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი. კიდევ სად, რომელ კულტურებში წყდება საქართველოს ბედი, ისევ სადღაც, ცხრა მთას იქით, თუ...იქნებ აგვიხდა ლელთ ღუნიას ოცნება.-ანდა იქნებ, მართლაც, ეს დოლაბი ზვიადის თავზე დატრიალებულა. და მაშინ, რაშია მისი დანაშაული?

იქნებ მოხდებოდა ყველაფერი სხვაგვარად, სხვაგვარად რომ მოქცეულიყო ზვიადი.ის არასოდეს ყოფილა პროლეტარი, ყოველთვის ჰქონია, რაც შეიძლებოდა დაჰკარგვოდა, გოლგოთას კი არ დაჰზარებია.

და სწორედ აისზე, მისი დიდების ზენიტზე, უკვე პრეზიდენტს, შეაქციეს ზურგი მათაც, ვინც ადრე თვლიდა მას მეგობრად. სულ უფრო და უფრო იზრდებოდა მისი მოწინააღმდეგეების რიცხვი და თუ წინათ მას, დისიდენტს, ერთ ფრონტზე უხდებოდა ბრძოლა, უკვე პრეზიდენტი რამდენიმე ფრონტიდან შემოტევას უნდა გამკლავებოდა.

პრეზიდენტის მთავარი ბრალდება კი მისი ახირებული ხასიათი იყო, მაგრამ აქაც უნდა ვიყოთ ობიექტურნი, თუ არა კაცს უდრეკს, ბოლომდე თავდაჯერებულს, ვის შეეძლო აემაღლებინა ხმა იმ იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც, ცოტაც და, შეიძლება ახალი რელიგია გამხდარიყო, და ეს მაშინ, როცა ცოტანი იყვნენ ისეთნიც კი, რომლებსაც შეეძლოთ არათუ მხარი დაეჭირათ ზვიადისთვის, არამედ, უბრალოდ, თანაეგრძნოთ, როცა მისი ხმა იყო ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. საბოლოოდ კი...

საბოლოოდ სწორედ მისი თვისებები, მისი პირადაპირობა, პირშიმთქმელობა, ზოგჯერ კი თავშეუკავებლობა იქცა პირველი პრეზიდენტის პირველ მტრად. პირდაპირ მდგარი გველის წინაშე, იმის მაგიერ, ან ჩაევლო გვერდით ფრთხილად, ან გაესრისა ის, „გველი, გველიო“ გაიძახოდა და ამით ხშირად იგდებდა თავს საფრთხეში.

გავაგრძელოთ თანამიმდევრობით და ვნახოთ ვინ იყვნენ ზვიადის ოპონენტები საქართველოში და, თუ თავიდან (კომენტარის გარეშე ვიტყვით) ეს იყო ინტელიგენცია, ხალხი, საზოგადოებისათვის საკმაოდ ცნობილი, ეროვნული მოძრაობის იატაკქვეშეთიდან გამოსვლის შემდეგ., ამ მოძრაობის გაფართოების მიზნით, ზვიადი იძულებული იყო, დასაყრდენი, ერთის მხრივ თავნება, ხელისუფლებისაგან „გაუხედავ“ პიროვნებებში ეძია, მეორე მხრივ კი ადვილად სამართ რუხ მასაში, რომელიც მისთვის აპარატთან.ბრძოლის მრისხანე იარაღი და მშვენიერი სტაფაჟი იყო.

ამჟამად, ინტელიგენციის დიდი ნაწილი,რომელნიც რბილ სავარძლებზე იყვნენ მოკალათებულნი, საზოგადოებაში მდგომარეობის დაკარგვის შიშით, „ჩასაფრებულ“ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და „ირწეოდნენ, ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა.“ კომუნიზმის იძულებითი უკან დახევისა და ზვიადის ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე ვალის გადახდის დროც დადგა და ის საკადრო პოლიტიკაც, რომელმაც ჯერ გააოცა, შემდეგ კი გააგულისა უკვე ფაქტის წინაშე მდგარი ინტელიგენცია, ყოფილი „ატამანის“ იძულებით ნაბიჯს წარმოადგენდა.

ენერგიული, თავნება, გაუხედავი „ულაყები“ კი ზვიადისთვისაც თავნება და „გაუხედავ ულაყებად“ დარჩნენ. „ავტორიტეტული ვაკუუმის“ წარმოქმნით კი ისარგებლეს იმ ავტორიტეტებმა, რომლებსაც არ აკმაყოფილებდა ახალ საზოგადოებაში მათი ახალი მდგომარეობა.

გოჩა ჯიქიას დედა შვილის ფოტოპორტრეტთან

და მაინც, ვინ იყო ეს ხალხი? ზოგი მათ ქართული საზოგადოების თაიგულად თვლის, მეორენი კი წითელ და იმ ეპოქაში პრივილეგირებულ, კორუმპირებულ ინტელიგენციას უწოდებს. სინამდვილეში მათი ერთ ლანგარზე მორთმევა შეუძლებელია.

სხვადასხვა მიზეზებმა აქციეს ისინი პრეზიდენტის მტრებად. ერთნი მხოლოდ იმიტომ არიან მზად „დაკორტნონ“ პრეზიდენტი, რომ მისმა და მისი ხალხის ხელისუფლებაში მოსვლამ მათ ადგილები დააკარგვინა. მეორე ნაწილი უმრავლესობაში ხელოვნების წარმომადგენლები არიან, ხოლო შემოქმედი, თუ ის მორალისტი არაა, ავანტურისტია და ვერ იტანს სხვის წარმატებას, მითუმეტეს ტრიუმფს.

და ამ შემოქმედთ, რომლებსაც სწორედ მაშინ, როცა ზვიადი მისი აზრების და დაუფარავი მიზნებისათვის შანტაჟში, დაუსრულებელ პრესინგში ჰყავდათ, ყრილობებზე, სესიებსა თუ პლენუმებზე, მაღალი ტრიბუნებიდან გმირის პოზაში, ომახიანი ხმით სამზეოზე გამოჰქონდათ საქართველოს დედაქალაქში საზოგადოებრივი ტუალეტების უკმარისობის პრობლემები.

გაურკვეველია, როგორი წარმატებით გადაწყვიტეს მათ ეს საკითხი, დღეს კი, მეორე ნომრით, თავისუფლებისა და დემოკრატიის პრობლემების გადაწყვეტა დაიწყეს. და ინტელიგენციის ამ კატეგორიას განა შეუძლია აპატიოს მათ თანატოლს ის სირცხვილი, რაც საკუთარი წინდაუხედაობის, სიბეცის და სინდისთან ავად ყოფნის ფასად მიიღეს.

ზვიადის მოქიშპეთა შორის არიან ის ოპოზიციონერებიც, რომლებიც ყველაფერში მხოლოდ წუნს ეძებენ, რომლებიც ყოველთვის ყველაფრის წინააღმდეგნი არიან და ასეთ პოზიციაზე დგომა უფრო აწყობთ, ვიდრე ის, რომ იტვირთონ თავის თავზე პასუხისმგებლობა. ისინი ხშირად იმ ქმედებებშიც კი ადანაშაულებდნენ პრეზიდენტს, რომლებსაც უწინ თითქმის ისტერიულად ითხოვდნენ მისგან. თვალნათლივ ჩანდა ზვიადის მისადმი კრიტიკასთან აგრესიული დამოკიდებულება და სწორედ მისმა ამ თვისებამ ითამაშა მთავარი როლი იმ პროფესიონალ პოლიტიკოსებთან დამოკიდებულებაში, რომლებიც მხარში უდგნენ მას და ხშირად გაუწვდიათ დახმარების ხელი განსაცდელში.

საპასუხოდ კი მათი სხვაგვარი ტაქტიკის, განსხვავებული აზრების არსებობის გამო მისგან წყენა და საყვედურები, დაუმსახურებელიც, რაინდულად მოუთმენიათ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ ყოფილან ზვიადის მთავარი მოწინააღმდეგეები, სწორედ მათში ჩამოყალიბებულმა დამოკიდებულებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი სიტუაციის ესკალაციაში.

პრეზიდენტის მთავარ მოწინააღმდეგეებად ისინი იქცნენ, რომლებიც პოლიტიკოსებად მან თვითონვე „შვა“ და რომლებსაც იმ თიხად ქცევა, რისგანაც სულ ცოტა ხნის წინ გამოძერწეს, ჭკუაში არ დაუჯდათ. მათ, ვისი სახელიც ადრე არავისთვის იყო ცნობილი, არ ეყოთ ვაჟკაცობა წასულიყვნენ მაინც ღირსეულად, თუ ვერ შეძლეს პრეზიდენტთან დგომა. და ამ განსხვავებული მორალური და ინტელექტუალური საკუთრების მქონე პირების დროებითმა ალიანსმა, რომელიც გამსახურდიას პიროვნებისადმი არამოწიწებითმა დამოკიდებულებამ შეაკავშირა- საქართველო სამოქალაქო ომამდე მიიყვანა.

ზოგმა შეგნებით, ზოგმა კი თავისი არასაკმარისი შორსმჭვრეტელობით, საქართველოს სახელმწიფოებრიობა სასწორზე დადო და დიდი ხნით ქაოსისთვის გაწირა. საყოველთაო პოლიტიზაციას არც საეჭვო წარსულის მქონე პირები დარჩენია განზე. დანგრეული სახელმწიფოებრიობა და ანარქია მშვენიერი ნიადაგია დამნაშავეთა სამყაროს განუსჯელად პარპაშისათვის. ამან განაპირობა სისხლის სამართლის დამნაშავეთა ხუნტასთან შეკავშირება, მათი მონაწილეობა „საბრძოლო ოპერაციებში“ შეიარაღებული გადატრიალებისას, მანამდე და მის შემდეგ.

პუტჩსა და პუტჩისტების საკუთარ მორალურ და პოლიტიკურ სამსახურს არ მალავდა რუსეთის ხელისუფლებაც. ამაზე ნათლად მოწმობს, როგორც რუსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის განცხადება, ასევე მათი პრესისა და ტელევიზიის უკიდურესად ტენდენციური, ხშირად პროვოკაციული ინფორმაციები საქართველოში მიმდინარე ამბების გაშუქებისას, რომელიც მათი უტიფრობით, უკულმართობით ამ ამბების თვითმხილველების გაოგნებას იწვევს.

და, აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა; ვინ აიარაღებდა და ვინ აფინანსებდა ასე გულუხვად ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებისა და მისი მზრუნველობიდან წასულ მებრძოლებს?

და თუ გავიხსენებთ მოსკოვში, ოფიცერთა კრებაზე, გენერალ პატრიკეევის მიერ დროებითი მთავრობის მიმართ თქმულ კეთილ სიტყვებს, ანტი-პუტჩისტების მიერ საბჭოთა არმიისადმი იმ საოკუპაციო ჯარების სტატუსის მოხსნას, რომელსაც ისე სულმოუთქმელად ითხოვდნენ პრეზიდენტისაგან პოლიტიკური პარტიები, რომლებიც დღეს უზურპატორებისა და მათი ანტიეროვნული ქმედებისადმი ლოიალურად არიან განწყობილნი, მაშინ შეგვიძლია მივცეთ თავს ვერსიების შექმნისა და ლოგიკური დასკვნების გაკეთების უფლება.

ცხადი ხდება, ვის ემსახურება ხუნტა და ეს საკმარისი მხილებაა იმისთვის, რათა ბრალი დავდოთ მას ერის იმ ღალატში, რომელ ღალატზე ასე ხშირად გვახსენებდა პრეზიდენტი. ამგვარად, მეორე ფრონტის ჩირაღდანი ამ საიდუმლოებით მოცულ ესტაფეტაში საბჭოური სტრუქტურებიდან სუვერენულ რუსეთს გადაეცა.

იმპერიული ფუნქციების და ტვირთის რუსეთის ფედერაციის მხრებზე გადაბარგების შემდეგ, ქვემძიმე მემკვიდრემ მძიმე წონის წინაპრებისგან მიიღო იმპერიული ამბიციები, ხასიათი, ჩვევები, სხვებზე ზემოქმედების მეთოდები და ხერხები. რუსეთსა და საქართველოს შორის შავმა კატამ გაირბინა. ახალი ზესახელმწიფოს სამრეკლოდან ახალი რუსეთის ახალმა მთავრებმა სხვაგვარად და სხვა რამე-

თვალსაზრისი

გალოიანის ორი ლექსის მცირე განმარტება

ქარი ქრის

ეს ლექსი ეძღვნება არა მიწიერ სატრფოსა და შეყვარებულ ქალს, არამედ თვითონ უფალს, ქრისტეს. „ქრის“ პირველი მარცვალია უფლის სახელისა -„ქრისტე“. მომდევნო ბგერა-თანხმოვნის „ტ„-ს ქართული სახელი „ტარ“ ნიშნავს პანტოკრატორს, უფალს, მეფეს, მეუფეს. ამაზე ვრცლად წერს ბატონი ზვიად გამსახურდია თავის „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებაში. რა ქრის? რა თქმა უნდა ქარი. სამჯერ გამეორება წინადადებისა „ქარი ქრის“, ქმნის მისტიურ განწყობას და თითქოსდა იდენტურია სიტყვებისა: „უფალი სუფევს, უფალი სუფევს, უფალი სუფევს.“ შეუძლებელია, მხოლოდ მიწიერი სატრფო ვიგულისხმოთ, როცა პოეტი კვნესის: „ვერ გპოვე ვერასდროს, ვერასდროს“. როგორ შეიძლება მიწიერი სატრფო ვერასდროს ჰპოვო? ანდა მისი ზმანება დაგდევდეს თან: „ყოველ წუთს, ყოველ დროს, ყოველგან“. ასეთი ხომ მხოლოდ უფალია!

მზეო თიბათვისავ!

ეს ლექსი არის ლექსად დაწერილი ლოცვა. მზე უფლის ხატია. თიბათვის ქვეშ კი უნდა იგულისხმებოდეს იგივე ხმოვნებითა და ხმოვანთა თანმიმდევრობით არსებული სიტყვა „სიმართლისა“. მზეს სიმართლისას-უფალს ევედრება პოეტი. „თიბათვისა“ მხოლოდ მინიშნებაა დროის ხარკად ჩამოცმული ლექსის სათაურზე. აკი წერს კიდეც პოეტი და ახსენებს „ლოცვას“. მუხლიც მოუყრია, გრაალს ედრება: „ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები“. თხოვს უფალს, დაიფაროს ის, ვინაც დიდი სიყვარულით უყვარდა: „იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით, ფრთებით დაიფარე, ამას გევედრები.“ დიახ, იცის გალაკტიონმა, რომ უფლის ერთ-ერთი სახელი ანგელოზია (იხილეთ იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება„) და მას მისტიური ფრთები აქვს. გრაალი მაცხოვრის სისხლით ავსებული თასია. წმინდა ჭურჭელი. მხურვალე ლოცვის ჟამს სწორედ ამ თასს ადარებს საკუთარ თავს გალაკტიონი. მეორე სტროფის სტრიქონები მთლიანად ლოცვაა:

„ტანჯვა-განსაცდელში
თვალნი მიურიდენ,
სული მოუვლინე ისევ შენმიერი,
დილა გაუთენე ისევ ციურიდან,
სული უმანკოთა მიეც
მშვენიერი.“

შემდეგ განგვიმარტავს პოეტი, რატომ სჭირდება ამგვარი საგულისხმო ვედრების აღვლენა უფლისათვის. ხაზს უსვამს დროის მუხანათობას:

„ხანმა უნდობარმა, გზა რომ
შეეღება,
უხვად მოიტანა სისხლი და
ცხედრები.“

ლექსის ბოლო ორი სტრიქონი ისევ სათხოვარია:

„მძაფრი ქარტეხილი მას ნუ
შეეხება,
მზეო თიბათვისავ, ამას გევედრები“. ასეთი სიძლიერის პოეტური ლოცვის შექმნა, მართლაც გალაკტიონს თუ შეეძლო!

ნინო ტარყაშვილი

←

საც დაუწყეს მზერა. პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტისას მათ მოუხდათ მათთვის მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინება და დაივიწყეს პატარა რესპუბლიკის ინტერესები.

რუსეთს, ალბათ, აწუხებს ის აზრი, რომ საქართველოს მისი დაქვემდებარებიდან სრული გასვლა ზემოქმედებას მოახდენს კავკასიაში მიმდინარე პროცესების განვითარებაზე და გამოიწვევს რუსეთის გავლენის დაკნინებას როგორც მთის გადაღმა, ასევე ახლო აღმოსავლეთში, ეს კი, თავის მხრივ შეზღუდავს მის ბატონობას ყოფილი საბჭოეთის მუსულმანურ რესპუბლიკებზე.

ამგვარად, ჯაჭვური რეაქციის განვითარებამ, შეიძლება გამოიწვიოს საუკუნეების მანძილზე „განმათავისუფლებელი“ ომების შედეგად შეკონწიწებული რუსული იმპერიის რღვევა. იქნებ საბჭოეთის მიერ დასავლეთის ხათრით დათმობილი ბალტიისპირეთის სანაცვლოდ დასავლეთი რუსეთს უთმობს დანარჩენ საბჭოეთს?

დედამიწაზე რუსეთის გავლენის შესუსტება შფოთს იწვევს არა მხოლოდ თვით რუსეთში, მოვლენების ამგვარი შესაძლებელი განვითარება აწუხებს მთელ ცივილიზაციას. ერთი იმპერიის დაცემისას შექმნილ ვაკუუმში უთუოდ უნდა ჩაისახოს მეორე გიგანტი...

დღევანდელი მსოფლიოს გადაკეთებას შეაქვს კორექტივები ერების თვითგამორკვევის, მორალური და კიდევ სხვაგვარი დახმარების პროგრამაში. მაგრამ განა ღირს გაკვირვებად დასავლეთის მიერ საქართველოს თავისუფლების სამსხვერპლოზე მიტანა, როცა საქართველოდან ამოსული დიდი პოლიტიკოსები მზად არიან, როგორც პაიკი ჭადრაკის თამაშში, შესწირონ „პატარა სამშობლო“ დიდ პოლიტიკას თუ თავიანთ ამბიციებს.

და თუ ეს ასეა, და თუ საქართველოს თავისუფლება სურთ აქციონ შესანირ პაიკად, გასაგებია საქართველოს სრული თავისუფლებისათვის მებრძოლი პრეზიდენტისადმი დაუმსახურებლად გულგრილი დამოკიდებუ ლების მიზეზი.

უცხოთა ეს ნაბიჯი, შესაძლოა, გასაგებიც იყოს, მაგრამ არაკეთილშობილურია, საქართველოსთვის მიუღებელი და უნდა არსებობდეს სხვა გამოსავალიც ამ უკიდურესად რთული მდგომარეობიდან.

ამ ფონზე პატარა საქართველოს პატივმოყვარე, „ურჩი“ და დიდი სახელმწიფოების ხელმძღვანელთა წინაშე ქედმოუხრელი პრეზიდენტის პოლიტიკური ავანსცენიდან ჩამოშორების მცდელობა, ალბათ, ლოგიკურიცაა, და თუ ჩათვლიდნენ, განა წარმოადგენდა რაიმე პრობლემას საქართველოში გადატრიალების ინსპირირება იმ სახელმწიფოს მემკვიდრისათვის, რომელსაც შეეძლო მოეწყო რევოლუციები ათასობით კილომეტრების იქით - ოკეანეების გადაღმა და რა მნიშვნელობა ჰქონდა როგორი იყო ზვიადი, დემოკრატი თუ დიქტატორი, კონსერვატორი თუ რეფორმატორი, კაპიტალიზმის მომხრე თუ სოციალიზმის მებაირახტრე, სულერთია, მაინც მოიძებნებოდა მიზეზები იმ პოლიტიკოსთან შებრძოლებისათვის, რომელსაც შეუძლია თავისი თავის მიმართ გაიმეოროს მეფე გიორის სიტყვები, რომელიც მას თავის რომანში ბატონმა კონსტანტინემ ათქმევინა:

„მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს, თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია, ვაჟკაციც ვიყავი და მშიშარაც,კეისარს ვებრძოდი, მეშინოდა ხვიარას ფესვებისა, გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიღალატია...“

და ყოველთვის მოიძებნებოდნენ შურისა და ღვარძლისაგან დაბრმავებულები, რომლებიც პირველივე ხელსაყრელ მომენტში მზად იყვნენ ზვიადის ჩასაქოლად. საქართველო ავადაა, ეს ავადმყოფობა ეუფლება მთელ ორგანიზმს და ის ხორცმეტი, რომელიც თავის დროზე ლანცეტით შეიძლება მოკვეთილიყო, დღეს ნაჯახით საჩეხი გაგვიხდა. მხოლოდ ძლიერ იმუნიტეტსა და საოცრებას თუ შეუძლია მისი გადარჩენა.

დღეს კი თვითმარქვია მთავრობის ჯალათები მძიმე არტილერიისა და ზოგჯერ საოკუპაციო არმიიდან დაქირავებული მებრძოლების გამოყენებით იპყრობენ და არბევენ საკუთარ ქალაქებს. მარტო ზუგდიდის აღებას ათამდე სიცოცხლე შეეწირა და, სამწუხაროდ, იმ დღეს დაღუპულთა რიცხვს ნერტილი არ დასმია, მათი რაოდენობა დღითიდღე მატულობს, მონღოლებივით არბევენ ქალაქებს, ძარცვავენ და აწიოკებენ მოსახლეობას.

ასეთივე სიტუაციაა სხვა ქალაქებშიც. ღირს გასული წლის აგვისტოს გახსენებაც. გავავლოთ პარალელი აგვისტოს მოსკოვის პუტჩსა და საქართველოს დეკემბერ-იანვრის პუტჩს შორის. მათ შორის არის გარკვეული მსგავსებაც, მაგრამ მეტია სხვაობა. მთავარი განსხვავება კი მათ მიზანდასახულობაშია.

თუ მოსკოვში პუტჩისტებმა სავალალო ნაბიჯი. რაღაც გარკვეული პოლიტიკური იდეისთვის გადადგეს, მათ თბილისელ კოლეგებს არ გააჩნიათ საერთო პოლიტიკური მიზანი, ყოველი მათგანი იბრძოდა საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად და მხოლოდ სიძულვილი აერთიანებდათ. მეორე განსხვავება კი იმაშია, რომ მოსკოვში იყო მცდელობა, გადატრიალებაში გამოეყენებინათ არმია, რომელშიც საკმაოდაა შეგნებული.პიროვნებები, ხოლო საქართველოში ხუნტამ იარაღი დაქირავებულ პირებს მისცა ხელში, რომლებისთვისაც თოფის სროლა და ამაში სოლიდური გასამრჯელოს მიღება სახალისო საქმეა.

მათ დიდ ნაწილს ყოფილი ბანდიტები შეადგენდნენ. მესამე კი თანამდებობრივი განსხვავებაა. მოსკოვის პუტჩის მამამთავრები უმაღლესი სახელმწიფო მოღვაწეები იყვნენ და მათ წარმატების შემთხვევაში არავითარი დაწინაურება არ ელოდათ, მათ სამსახურებრივ მდგომარეობას არაფერი ემუქრებოდა.

ქართულ პუტჩს ხელმძღვანელობდნენ თანამდებობადაკარგული, დამცირებული და გაბრაზებული პირები, რომლებსაც პირველ რიგში, ღვარძლი ამოძრავებდათ. სწორედ ამ განსხვავებებმა გამოიწვია განსხვავებული შედეგები და ხელისუფლებაში დროებით ამგვარად მოსულნი თავს კვლავ დემოკრატებს უწოდებენ, მაგრამ დიკონიძის სიტყვები გავიხსენოთ:

„ეს დემოკრატები ისეთივე დემოკრატიას მოუტანენ საქართველოს, როგორი კომუნიზმიც კომუნისტებმა მოგვიტანეს“.

ნადგურდება რესპუბლიკა და თუ დანგრეულ რუსთაველის პროსპექტს ეშველა, ძნელი სათქმელია, როდის აღდგება საქართველოს დანგრეული სახელმწიფოებრიობა, თუ როდის გამოვა ის ქაოსის ბატონობიდან.

არ მსურს მეც წინასწარმეტყველის როლში გამოვიდე, მაგრამ ერთი რამ კი სათქმელია, - იმისდა მიუხედავად, თუ რა ბედი უწერია ზვიადს, სახელმწიფო დამნაშავეთა კვარტეტს, თუ სახრჩობელები არა, პომპეზურ თაღებქვეშ რესპუბლიკის მოედანზე, მათ საფლავებს იმ ბოლშევიკთა საფლავების ბედი უწერია, საკუთარი სამშობლო წითელ არმიას რომ ჩაუდეს ხახაში.

3 .02 .1992 წელი გოჩა ჯიქია, ზუგდიდი

ლომების ოჯახს...

ლომების ოჯახს უღრან ტყეში, ლომს სამს თუ ოთხ ცალს
ასდევნებია ყეფა-ღრენით ხროვა აფთრების...
დაუკითხავად ლომის კუდზე, ან კუდქვეშ ზოგსაც
დაუდევს ბინა და თავის წილს, თავის წუთს ელის...

როცა არწივი ცის კიდეზე შეკრავს კამარას
იქვეა ყვავიც, თავის სურვილს ისიც არ ფარავს,
ცოტას შეიცდის, ვერ დაიწყებს იცის არჩევას...
ბოლოს ჩხავილით ისაკუთრებს სუფრის ნარჩენალს.

ჯგუფებად, გუნდად, თითოდ, წყვილად, ზოგჯერ ჯოგებად,
ავსებენ შარას, ვის რა უზის გულში ოცნებად...
ხატი ნიღბებად (ღმერთო გცოდავ) და ჯვარი ფარად,
ასედაც ხდება, ვინ გაარჩევს, ვინ ვისთან, სად ვართ.

რაც ახსოვს წარსულს, ნუთუ ისევ განმეორდება...
ავანსცენაზე, ღმერთმა ნუ ქნას, კვლავ ის მოხვდება-
კულისებიდან რომ შემოგვცქერს პენსნეს გაღმიდან
ავსებდეს სოლო ყმუილს მგლისას ისევ თავიდან.

ბზარი, ნურც ბრაზი ხმაში ზეკაცს ნუ შეერევა,
ვინც შეერკინა ცხრათავიან ურჩხულს ღვარძლიანს,
დევთან ჭიდილმა ამირანიც თუ გაადევა,
მის გამარჯვებას ამ ბრძოლაში რაღა ფასი აქვს...

გოჩა ჯიქია (1989 წელი)

ოთარ ქილაძის „რკინის თეატრი“

დასაწყისი გვ. 6

ხეა. მუნდირს შეწირა თავისუფლება, ნამდვილკაცობა. უნაყოფოდაც გადაეგო და ბოლოს მიხვდა რა არარაობადაც აქცია პურისთვის მსახურებამ. თავიდანვე შეეგუა სიყალბეს, რამაც გადაიყოლა და პიროვნულად შეინირა. მუნდირი კი ყველა შემოხეტებულ შემთხვევითსაც აცვია დუქანში, შავ ბაზარზე რომ ეყიდათ და ესეც კომიკური შტრიხი. მუნდირი ვერ დაიცავს ადამიანს, უძალოა, ძალა მხოლოდ ღირსებაშია. სხვაობაც კი დაკარგულია ამ განურჩევლობაში, „ხელმწიფის“ კაცი, მუნდირიანი გატოლებულია ნებისმიერ მაწანწალასთან, ვისაც ასევე მოსავს ის... საბა ლაფაჩი ცხოვრებამ გარიყა, უსაჭიროოდ, უსასოოდ... ორგზის ჩადენილი სიკეთის მიუხედავად, როცა მანაც არ ესროლა დემონსტრანტებს და ნატოს ტყუილსაც დაემოწმა, რითაც გადაარჩინა განწირული ადამიანი. დედის სიკვდილით ჩაწვდა იგი ამაოებას, რასაც წლები შეალია და შეახარჯა. მისი ცხოვრება დაკარგული დროა. ამ შემგუებლობას ისევ ურჩობა სჯობდა, ურჩობა მონად მაინც არ აქცევდა... ბოლოს ასე წამხდარ-გაბითურებულსაც მიტომ ვხედავთ - ამგვარი სამსახური არ ფასობს... ადამიანს არა აქვს მხოლოდ ხორციელ-მიწიერი გაგება, მას გაცილებით მეტი ევალება, მით უმეტეს, როცა ქვეყნის თავისუფლებაა სასწორზე. სამშობლოს ერთგულება მუნდირში არ იცვლება. განა შემთხვევითია ამ ქაოსში ყაზბეგის თავდადებაზე მონათხრობი? ანდა ხმალზე თქმული, შაჰს როცა მოახსენებს გმირი - მე და ჩემი ხმალი ქართველები გახლავართო? ვერ იქნება ორთა ბატონთა მსახურება. საბა ლაფაჩი კი იმპერიის ომშიც მონაწილეობდა, საიდანაც კიდევ უფრო გაცამტვერებული დაბრუნდა. ბედნიერება სხვის სამსახურში არ არის, ბედნიერება საკუთარი ქვეყნის შვილობაა... რას წარმოიდგენდაო დიდმპყრობელი ხელმწიფე მისი „გადაბრეცილი ფაცხისა და ერთი მტკაველი ყანის მოშურნე თუ იქნებოდაო.“ გვიანღა რომ მიხვდა ამას, უცხოდ მიჩნეული მათთვისო, - არა იმათნაირი და ამიტომაც ზედმეტიო, ხელისშემშლელი, სასწრაფოდ ამოსაძირკვი ან გადასაგვარებელი... ამბავთა მთხრობელ საბას, სხვისა ომგადახდილს, მომსმენიც კი აღარ ჰყავს, ზღაპრად რომ ეჩვენებათ გარშემო ყოველი და „ტყუილის ღირსნიც არ იყვნენ ისინი,“ მერეღა რომ გაიაზრებს... სხვაა მოწოდება ადამიანის, აცდა ის ამას და გვიან მიხვდება, რომ საბად გაჩნდები თუ ლაბადო, „კაცად გაჩენილი, პირუტყვად რომ არ იქცე, შენიანი არასოდეს არ უნდა გახდეს შენთვის სულერთი“ - ეს რომ არის მთავარი! ასეთია მისი დასკვნა, მისი დაღდასმული ცხოვრების ფინალი...

დავუბრუნდეთ მთავარ გმირებს. თბილისელ მსახიობს შვილი რჩება და ვაჟს არჩადენილი დანაშაულისთვის სჯიან ან იქნებ წარსულისთვისაც? რეჟიმს ხომ მორჩილნი სჭირდება და მამის ამბოხი ახლა თითქოსდა შვილში გადასულიყო, უფრო ცხადად, გაუცნობიერებლად თუ გაცნობიერებულად, ვინ იცის; თუმცა ის ახერხებს გაქცევას პატიმრობიდან, რითაც თავისუფლების არდამთმობად გვევლინება. სიყვარულსაც დაიმსახურებს და შვილიც ჩნდება, რომლის შესახებ ისევ შორეთს გაქცეულმა არაფერი იცის. განსაცდელის გზასაც გადის, მაგრამ მკვლელად მაინც არ იქცევა და ლაბირინთიდან, „უგზოობის“ გზიდანაც ბრუნდება, რადგან ადამიანობა არ შებღალა, ხორციელ გადარჩენას სულიერი არჩია და ჯილდოდ ხსნაც მიიღო... სადღაც მაინც ხარობს სიმართლის ნერგი, შეურყვნელი ცხოვრება, შეუბილწავი. შეჩეჩებული რევოლვერიც თოვლში მოისროლა... თავდაღწეული გმირია, მომავლის შვილი...

„სჯობია, გინდოდეს და არ შეგეძლოს, ვიდრე შეგეძლოს და არ გინდოდესო.„- ესეც ერთგვარი შეგონება სხვა სიბრძნეთა შორის. სიყვარულს შესწევს ძალა დროს გაასწროსო. შეყვარებული ადამიანი მთელი თავით მაღლა დგას თავის თანამედროვეობაზეო, როგორც პოეტი, ანდა სხვა შემოქმედნი თუ მეცნიერიო... მოთხოვნა თუ მოპოვება? - ეს გადაწყვეტაცაა დასმული საკითხად, ვისაც „ბედნიერების მოსაპოვებლად თითის განძრევაც არ შეუძლია, მაგრამ, იმავე დროს, ბედნიერებას მოითხოვს ცხოვრებისგან.“ მოთხოვნას მიაჩვიესო ვინაც და არა მოპოვებას... ასეთი სახისმეტყველებაც გვხვდება - „მოაზროვნე ლერწამი“, რომელიც ჩვეულებრივისგანო მხოლოდ იმით განსხვავდება, იცის, რატომ იხრება... „უპატრონო პატრონი“ - ამგვარი სიტყვაც გაჩნდება სიტყვათმარაგში... რას გაუყვია ადამიანები?! არჩევანს, მაგრამ ცუდისკენ ზურგშემქცევი უფრო ცოტაა, ვიდრე კარგისკენ. „კაცს სიკარგე არ უნდა, აღიზიანებს, რადგან ძნელია, მწარეა, მტკივნეულია“... „სურვილი ექვემდებარება წესს და არა წესი სურვილს“ - ესეც ის განაზრახია, რაც ადამიანობას გიმორჩილებს და არ გაკარგვინებს. „ცხოვრება თუ გინდა, უნდა დაამტკიცო კიდეც, ღირსი რომ ხარ ცხოვრებისა.“

ცხოვრებაც მძაფრი დრამაა სხვადასხვა გმირებით კუთვნილ სცენაზე: თავ-თავიანთი ტკივილებით, ნაკლით, მარცხით... ზოგიც მხოლოდ ეპითეტებით იხსენიება - სათვალიანი, ბრტყელსახიანი, ვინ სად გაუხიზნავს და გაურიყავს ცხოვრებას, ვინ იცის, როცა „ქვეყანაა ნანგრევებში“ მოყოლილი მართლაც. რა ჭირი არ მალავს თავს... დიმიტრის უსუსურობაც თვალშისაცემია და უილაჯოა თავისმართლებაც - „მე ქვეყანაზე ადრე დავიღუპე და ახლა რაც უნდა ის მოხდესო“... საზოგადოებას ვერ ვხედავთ, სამაგიეროდ ქალაქში ხროვაა, ბრბო ლოთების, უნესო თავგაყიდულ დიაცთა, მეგროშეთა, მორიგე ჯარისკაცებიც გამოჩნდებიან ხანდახან „წესრიგისდასამყარებლად“ რომ პატრულირებენ... ცხოვრება „დუღს და გადმოდუღს“ სხვადასხვა დროში სხვადასხვაგვარად, ამჯერად მხოლოდ უარყოფითი მნიშვნელობით და ბევრგზის შემთხვევით არ იმეორებს მწერალი ამ ფრაზასაც, რადგან „კაცმა ყოველთვის უნდა იცოდეს, რას აკეთებს და რითი შეიძლება დამთავრდეს ის, რასაც აკეთებს.“

როგორი სხვა სურნელი აქვს ადრეულ ხანას, შეუბღალავს, ბუნებამოსილს. წარსულის მონატრების მეტაფორაც - „ვერაფრით რომ ვერ მოიკლავდა მერე თავისდროზე მოუკვლელ შიმშილს; სულ რომ ეშიებოდა, რადგან ჭკუაში ჩავარდნილს, სუფრა უკვე დიდი ხნის ალაგებული დახვდებოდა, ხოლო მოშიშვლებულ მაგიდაზე საცოდავი ნაფხვენებიღა ეყრებოდა მხოლოდ, რითაც ერთი ბეღურაც ვერ ამოივსებდა ჩიჩახვს.“

რაოდენ ტრაგიკული და მტკივნეული უნდა იყოს დრო, რომ ადამიანმა გაიაზროს ის ამაოება, სულისშემძვრელი, რაც ამ სტრიქონებით გადმოსცა ავტორმა - ახლა კეთილშობილებისა და პატიოსნების იმედზე ყოფნა იგივეაო, ქვის ცულითა და მშვილდისრით რომ გამოხვიდე ტყვიამფრქვევის ან ტანკის წინააღმდეგ. ახლა ის იმარჯვებს, ვინც უფრო დაუნდობელია, ვინც მეორე ლოყასაც კი არ უშვერსო შეურაცხმყოფელსო, არამედ თვალის წილ თვალს მოითხოვსო... ასეა შეფასებული დრო, რომელიც განუკითხავია...

ნიშანდობლივი და საცნაური ფრაზაც - „პოეტობით იწყებენ და ოხრანკის აგენტობით ამთავრებენ.“ ღირსების ტოლფასი არავინ და არაფერია... მხოლოდ ზღვის შხუილია ოდინდელი, უცვლელი, ხმაურიანი, თითქოსდა ის ესიტყვება დამდორეებულ ცხოვრებას. ნატოც მას სტუმრობს ხშირად, მის ტალღებში ითქვამს დაღლილ სულს, სიყვარულით ანთებული გულიც აქ იშვებს. ნატოც ზღვასავით არ ეპუება ცხოვრებას. გელა შორსაა, თოვლიან მხარეს. წყალიც, თოვლიც სიწმინდის გამოხატულებაა და ეს გმირებიც შემთხვევით არ ექცევიან მასში.

მხოლოდ ეს ახალგაზრდები ნატო და მისი რჩეული, თბილისელი მსახიობის ვაჟი - გელა ახერხებენ ბრძოლისუნარიანობას, შეუპოვრობას, მსხვერპლის გაღებას. ნატო თავდადებულია, წინ აღუდგება ყველას სიყვარულის შესანარჩუნებლად და შვილსაც აჩენს, თავსდამტყდარი დაბრკოლებებისდა მიუხედავად. ისიც კი არ უწყის ცოცხალია თუ არა გაქცეული, ძებნილი მისი რჩეული... მან იცის, რომ გელა განსხვავებულია და უტყუარად სჯერა მისი, დამნაშავედ მიჩნეულის, განწირულის. შვილით აგრძელებს და აგვირგვინებს ამ სიყვარულს. დედობაა მისი თავგვირგვინი იმ დროში, როცა ეს საფრთხედაც კი შეიძლება იქცეს. გულით გრძნობს ვაჟკაცის სიმართლეს, მისას, ვინც - უშეცდომოდ იცოდაო, რა უნდოდა, რისი მიმატება დააკნინებდა და რისი დაკარგვა ატკენდა გულსო. „არსებულის გარდაქმნა“ ვიღაცას ხომ უნდა ეტვირთა?! გელა კი „იმდენივე იყო სულისა, რამდენიც ხორცისა“... მას უნდა თავად ეძლია ყოველივე, ვისაც მხოლოდ განზოგადებულად რომ ვთქვათ, „ცხოვრებისგან გასაქცევი გზა ასწავლეს და არა ცხოვრებაში დასარჩენი“... ბევრჯერ დააყენა ცხოვრებამ გამოცდის წინაშე, ხოლო ღირსება მისი ერთადერთი არჩევანია. ყველას დაღუპული ჰგონია, თუმცა ცოცხალი ჩნდება. ის უნდა გადარჩეს და გაგრძელდეს, აკი გრძელდება კიდეც შვილის სახით. მხოლოდ დედამ იცის, რომ ცოცხალია და კატასღა მიახარებს ბოლოს, შემოჩვეულ ერთადერთ არსებას. სულდგმულთა შორის ქანდაკებად ქცეული ქალი შვილს სიხარულით ელის და გულგრილობით შენიღბული, გასალკლდევებული ყველას საპირისპიროს უფრო აფიქრებინებს.

ერთი კითხვაც იჩენს თავს, რატომ არ იღებს თუ ვერ იღებს გელას დედა ნატოს და მედიდურად ეკიდება? იქნებ იმიტომაც, რომ ნატოში უფრო ცხადად ხედავს იმას, რაც თავად ვერ მოახერხა თავის დროზე. ნატო გამღებია და არაფერს ითხოვს. ელენემ ყოველივე ვერ უმსხვერპლა სიყვარულს. იქნებ ნატოს წინაშე თავის თავს უფრო ემალება ანდა დედის შიშს ფარავს, გელას უფრო უფრთხილდება...

დედის ვალი ცალკე ხაზია საერთოდ, სხვადასხვაგვარობაც იხატება მასთან და დედის მისიაც იკვეთება - „დედა სამ დროში განფენილი უსაზღვროებაა“, წარსულს, აწმყოსა და მომავალს რომ მოიცავსო...

ნატოც თავის მხრივ შვილის გადარჩენას ცდილობს და თვალისასახვევად საბა ლაფაჩს გამოსთხოვს აღიაროს ბავშვის მამობა. ისიც იწირება ამ რკინის „თეატრის“ თუ „ულლის“ ქვეყანაში და ბოლოს ზღვის ტალღებში უჩინარდება, წყალი ხომ განწმენდი და განახლების სიმბოლოა... ნიშანდობლივი ფრაზაა, როგორ ეშინია დედობის, უფრო სწორად „ურჩისგან“ შვილის დარჩენის, რაც დიდი ალბათობით დაუშვებელი იქნებოდა ზედამდგომთათვის, ვინაც ფრთხილობდნენ, რაიმე არ გაჰპარვოდათ თვალთახედვიდან, მით უფრო შემჩნეულისა და მიზანში ამოღებულისგან - „თუკი მამის მიდრეკილებები განუვითარდებოდა და ბატად განწესებული, გედობას მოინდომებდა.“ „ცხოვრება ღირსი რომ არ იყო სიყვარულისა და, რაღა თქმა უნდა, არც მსხვერპლისა... ყველაზე სულელი ის გამოდიოდა, ვინც ამ უგულო, გაპირუტყვებულ ცხოვრებაში თავგანწირვაზე ფიქრობდა და არა გადარჩენაზე.“ „თუკი სიყვარული სენია და არა მადლი“ მაშინ... ზოგთათვის ხომ ცხოვრება მართლაც „ერთ გაუთავებელ ბანკეტად“ გადაქცეულიყო...

რომანს არ ჰყავს გამარჯვებული გმირები, მაგრამ გადარჩენა გელასი და მისი ძის არსებობაც უკვე თავისთავად მოწმობს გადარჩენილ მერმისსა და სიყვარულს. როგორ მდუღარე ცრემლებით მოიკვლევს იგი თოვლიან გზას და ხაზგასმაც - „მტირალს დასცინიან და არა მგლოვიარეს,“ რადგანაც ტირილი ფარხმალის დაყრააო, გლოვა კი შეურყევლობას, სიცოცხლისუნარიანობას ადასტურებსო და შენს ერთგულებას. ხოლო, იქვე მას გარდაცვლილ მამასთანაც აკავშირებს და ისევ მთავარფრაზაც, რომელიც შეჯამებაცაა ერთგვარი, როცა რაღაცის დაკარგვაო - „გასუსტებს, მაგრამ არ გაბეჩავებს, რადგან რაც თვალს აკლდება, ის სულს ემატება, ხოლო სულის მოსპობა გაცილებით ძნელია, ვიდრე ხორცისა.“

„რკინის თეატრსაც“ დაუდგება დასასრული და ჩამოეფარება ფარდა, ხოლო მის მიღმა განახლებული ცხოვრება გაგრძელდება, ძალამოცემული, სულმოდგმული, სიყვარულით ნასაზრდოები. განზოგადებულად თუ ვიტყვით მწერლის პერიფრაზით, ამ ქაოსში იყვნენ ისეთებიც, ვისაც - „სიყვარულის პური მოჰყავდათ... შეიძლება ცოტა, ერთი პეშვი, მაგრამ მაინც საკმარისი.“

ლალი ბარძიმაშვილი

გიორგობისთვე. 2019.

ქართული მწერლობა

ოთარ ჩხეიძის დიდი გენია

დაიფარებიან მწვერვალები?!
„მარად კურნება და მარად აღდგენა.“
„სიტყვასაც თავის მანძილი აქვსო.“
ოთარ ჩხეიძე

განსაკუთრებული, საინტერესო ხელწერის და სიმართლის მსახური, კლასიკოსი მწერალი. დისიდენტური აზროვნების უბადლო შემოქმედი. თავადვე იყო რეპრესირებული ოჯახიდან... გადმოსცა იმაზე მეტი, ვიდრე შეიძლებოდა. ოცდაორი რომანის ავტორი, პუბლიცისტი, ლიტერატურათმცოდნე...

ერთი უჩვეულო და ნიშანდობლივი თავისებურებაც: - იგივე პერსონაჟები მეორდებიან რომანებში სხვადასხვა ვითარებაში, ზოგან წინარე ამბავს ჰყვება. თუმცა ეს რომანები სრულიად დამოუკიდებელია ერთმანეთისგან, ანუ არ იცვლება რამე, თუნდაც არ ვიცოდეთ რომელიმე ნაწარმოები... რატომაა ასე, რაღა მაინცდამაინც ერთი და იგივე გმირები? ისინი არ არიან ჩვეულებრივი ლიტერატურული პერსონაჟები! ამგვარად, ეპოქის გმირებს ხატავს, ადამიანთა ისტორიას ქმნის, ეპოქის ხასიათს... არ ცვლის გმირებს, ამბავია ან დრო - ცხოვრების მონაკვეთი, სხვადასხვა. თითქოს რეალურ გმირებზე საუბრობს. გახარებს კიდეც, როცა მათ კვლავ ხვდები სხვა რომანში და უფრო ახლობელიც, შინაგანი ხდება ყველაფერი. საერთოს პოულობ და ექცევი მასში და ეს პერსონაჟებიც შინაურდებიან შენთვის, მათ რეალობაში ხარ. აღარც გავიწყდებიან და რატომ უნდა იყვნენ სამახსოვრონი, ამაზე შემდგომ...

„თურმე შეიძლება ირჯებოდე მართებულადა და ისჯებოდე უმართებულოდა.“ - ერთგვარი შემოქმედებითი და ცხოვრების კრედოა. წერს ერთგან და ეს ჩანს ბევრგან, როგორც იმდროინდელი დამღა. ისიც ღირსეულად ეწევა ამ უჩვეულო ხვედრს - ირჯება სიმართლისთვის ურგებ დროში. სულხან-საბა ასე განმარტავს მოღვაწეზე - „მოღუაწე - მოჭირნახულე;“ ვიღუაწო - მოვიჭირვო.“ ამით ყველაფერია თქმული.

„მთაგრეხილი“ ღერძია მისი შემოქმედების, ასევე - „ბორიაყი“ (ნისლს ნიშნავს).

შევჩერდეთ პირველზე. „დიდი მთაგრეხილი...“ - ამგვარად იწყება რომანი; დაწყება და ეპიგრაფიც სრულიად საპირისპიროა შემდგომ მონათხრობისა. ამ გრანდიოზულობის შემდეგ სრული კონტრასტია და სხვა რამაა თქმული, - „როგორღაც არეოდათ წუთისოფელი... ვერც რო დროზე ვერ გამგზავრებულიყვნენ, ვერც დროზე ეძინათ, ვერც დროზე ჭამდნენ... არეოდათ, ვერც რო სიტყვაპასუხი მოეძებნათ შესაფერისი დროისა“. ამ ქვეყანას ეს მდგომარეობა არ შეეფერება. დასაწყისის ფონზე, რა შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე, სრულიად განსხვავებულ ვითარებასთან. პირველი უჩვეულო შტრიხიც - თხრობა იწყება პატიმრის გათავისუფლებით, ის სამშობლოში ბრუნდება... პატიმრის ეპიზოდითაც სრულდება რომანი, ანუ ვიღაც რჩება პატიმრობაში. ეს არ არის თავისუფალი ქვეყანა.

მთავარი გმირი, ხელოვანი - ფრიდონი საქართველოში ბრუნდება შორეული პატიმრობიდან და რა შეემთხვა მას? „სხვაგან ჩახარჯული ჯანი“, - ესეც ერთი მინიშნება... და რისი მსხვერპლი აღმოჩნდა იგი... ადამიანი, როდესაც რაღაც იდეალს ემსახურება და როცა მას გასცემენ ამაზეა საუბარი. შეწირული ადამიანია, - „ანთუ რო ეგონა მეგობარნი, გასცეს, შეესიენ, დაადგნენ პირზედა, რო აჭმევდა, რო ასმევდა, რო ადღეგრძელებდა, ისინი დაადგნენ პირზედა, ჯერ ამან გასცა თავი, თვითონვე გასცა, იმათთან გასცა, ამათაც გასცეს...“ აქ მინდობაზეა საუბარი, არადა, დრო გამცემლურია. ასე ამოაყოფინეს თავი შორს ანუ, როცა მოულოდნელად ღალატით გაგწირავენ და გაგყიდიან, ეს მოხდა ამ შემთხვევაში. გაუგეს, მიუხვდნენ და დასაჯეს... მას თანაკაცნი არ ჰყავს, მარტოგმირია, უტეხი სულის... გამორჩეულია, გამორჩეული დედის შვილია. განსაკუთრებულ ცოდნასაც ფლობს საგვარეულოს, გაუთქმელს - ჰალდეს თიხის მოპოვებისა, მთის ძირში... ფრიდონის სიყვარულის ამბავი ფონია თხრობის, ახლად შეხვედრილ ქალს უკავშირდება ეს ისტორია; თუმცა მთავარი ეს არაა, მთავარია დრო, რომელსაც ბედნიერი ადამიანები არ ჰყავს, არ ჩანს ასეთი და ყველას რაღაც საზრუნავი თუ თავსატეხი გასჩენია... როგორიცაა დაწყება - „დიდი მთაგრეხილი“ და როგორიც უნდა იყოს ეს ქვეყანა ასეთი არ არის.

ფერი ეცვალა ცხოვრებას. უღირსი დრო ჩამომდგარიყო. თავი ეჩინა სხვაობასაც - „ჩამორჩენილთა“, „დაწინაურებულთა„; „დაწინაურებულნი რო დარეოდნენ ერთმანეთსაც და ჩამორჩენილთაგანაც“. ეს დრო დამდგარა, გამწირავი...თვალში ეჩხირებოდათ მხოლოდ თავიანთიო და ლაფს გადააღვრიდნენ უცხოთა თვალში...გაუტანელია სინამდვილე. იქვე, ნიშანდობლივი ფრაზაც - „და მიჰქონდათ სამშობლოში სახელი თავიანთი როგორც იმპორტული საქონელი, მერე იქ რო ვეღარაფერი დაუდგებოდათ წინა“...„ქვეყანა გაძლებისა იყო, ცხოვრება გაძლებისა იყო, მეტი არაფრისა, ვისაც გაუძლია ისა ყოფილა... გაუხდიათ გაუსაძლისადა ეს წუთისოფელი“... ისევ, საგულისხმო თქმა: - “ არაფერი რო აღარაფრად უღირდათ აღარც რო პიროვნება, აღარც რო გონება, აღარც რო განათლება, აღარც რო მშვენიერება“ და ა. შ. და რაზე მახვილდება უკვე ყურადღება: - ჩვენ რომ თამარის დროს თორმეტი მილიონი ვიყავით, მაშინ სამი მილიონი ვინც იყო, ახლა ასი მილიონია, თუ მეტი არა, ჩვენ სამზე დავედით და სამზე ვტრიალებთო... არეულა დიდი ქვეყანა!

ყველაფერში იკითხება ღრმა აზრი. ბევრი ალეგორიაა, ეთერის ზღაპარია თუ ყვავის იგავი, რომელმაც შეივრდომა, მოაშუშა დაჭრილი ქორი, გამოაკეთა, გამოზარდა და რა მოხდა, მეფეს მოახსენეს ეს იგავიო - ვახტანგს. წესს გადაუხვია ყვავმან და არა მიეცაო ქება მისთვის და როგორ სავალალოდ სრულდება, პირველი მას მოინადირებს ქორი... არა თქმულა სიყვარული მიუღებლის, მტრისა... ამადაც, ზარივით რეკს ეს გაფრთხილება: - „გაჯეჯილებული სტუმარი მტერზე მტერია, დუშმანზე დუშმანია...“

შეცვლილ გარემოში წახდა მადლი. იცვალა ის, რასაც ცვლილება არ უნდა შეხებოდა; „რაღაც დაიკარგა... ცოდოა, მაგრამ იცის ცოდო როა?!... არ იცის“ ქვეყნის შვილმა დაკარგა თავისი ქვეყნის შეცნობის უნარი, - „ვენახსა ჩეხავს და ნიორსა თესავს, ვენახსა ჩეხავს და შინდსა რგავს, ვენახსა ჩეხავს და საზამთროსა თესავს... ვაზს დიდი შრომა უნდა, საზამთროს რაო, იმდენი არაფერი, შემოსავალი უფრო მეტი აქვს... აწონა, დაწონა და ასე ამჯობინა, ცოტა იშრომოს და მეტი მიიღოს...ცოდოა, ცოდოა, გემო დაჰკარგა და ჭკუასაცა ჰკარგავს, ცოდოა. და არ იცის, რო ცოდოა.“ სანაცვლოდ, ჭაჭაზე გადავიდნენ, რაც უფრო ეიოლებათო... აუცილებელს საჭიროება ცვლის. საჭირომ აუცილებელი გააძევა, როგორც ფრიდონია გაძევებული, როგორც ეს ვენახია უარყოფილი. როგორი ტრაგიზმითაა ეს!.. ჩემთვის სხვაგვარიაო სოფელი, ასეთი არაო, - „გზა შემოდის მავთუხლართებში... სოფელსაც მავთული შემოვლებია...“ სოფელი ფხიზლობდაო, თუ არა ფხიზლობს, რაღა სოფელიაო,“ და რას მოსდევს ეს ნათქვამი? - ხილს შაქარს დააყრიან და ღვინოდ გამოადგებათ... გემო დაკარგეს და თრობა ისწავლეს, თრობას გემო არც უნდაო... ქართული სუფრა რო ეპოსი იყოო აღარც ეს ახსოვდათ ამ დროში... ზნე ყველაფერმა იცვალა... აგრეთვე, დანანებით იხსენებს - „აივნების თბილისსა, დაირების თბილისსა, დუდუკების თბილისსა, ლხინის თბილისსა“...თუნდაც, ადრე კარს რო არც მიჭვრიტანა ჰქონია, ნიათ არც იცოდნენო ასეთი არაფერიო (გასახედ ჭუჭრუტანაზე), გულისწყვეტით და გულშიჩამწვდომად ამბობს, როგორი მისანდობი გარემო იყო; არ იცოდნენო ეს უკულმართობები... წერს იმ ხალას, ალალ დროზე გულშეხარებით, დიდ თქმულებათა, მითების ქვეყანაზე... ძველი და ახალი დროის დასაპირისპირებლად მრავალი ხაზგასმაა; საგანგებოდ იხსენებს, რომ ირემმა მიაგნებინა განძი ფარნაოზსო, ერი რო ეხსნაო, ხოხობმა მიაგნებინაო სატახტო ადგილი მეფე ვახტანგსა... თვითნაბადი, იდუმალი სიკეთე იყო, ერთიანი - ძლიერი გარემო, თავისთავადი, ყველაფერი თანმწყობრი, შეხამებული და ურთიერთს წყალობდა ყოველივე.

„ქვეყნად ყველაფერი, რო არ აირწყვის ქვეყნად ყველაფერი და ამაღლებული რო სწორედ ის არი, რასაც საზომი რო ვერ გასწვდება, რასაც საწყაო ვერ მოითავხელებსო“. ამ უბადლობასაც გვიჩვენებს... თუმცა, „ქართულს ქართული თავი უნდაო“... „არეოდათ წუთისოფელი,“ ეს დასაწყისიდანვე ცნაურდება და თვალსაჩინო ხდება, თანდათან ავსებს ამ სათქმელს ტრაგიკული თუ ალეგორიული შტრიხებით; გადმოსცემს მთავარს, რომელიც სხვა საგონებელია.

„თითო სიტყვა რო თითო ნოველას შეიცავდა“ - მისივე სიტყვები სწორედაც ამ რომანზეა ზედგამოჭრილი...“ სიტყვა სახეა ცხოვრებისაო... ჩვენი სიტყვა ჩვენი ცხოვრებისაო...“

ვინ როგორ იქცევა ამ სიდიადის ქვეყანაში, როგორ ვექცევით ერთმანეთს? ერთგან, წერილში, საზოგადოების ორ ნაწილზე წერს, ორ ნაკადზე - დამპყრობლის სამსახურში, კეთილდღეობაში მყოფი და ურჩნი, რომლებიც ქვეყანასაც ინარჩუნებენ და პატიოსნება - ზნეობრიობასაც... ეს სხვადასხვაგვარობაც საცნობია.

საერთოდ, რომანში ამბები არაა ერთიანად გადმოცემული, ერთიანი თანმიმდევრობით, შტრიხებადაა რაღაც მონაკვეთები, ეპიზოდები, (ეკრანიზების შემთხვევაში გაჭირდება კიდეც აისახოს). უფრო ზოგადი თხრობაა, ვიდრე კონკრეტული ამბავი. სამაგიეროდ, რაზე მახვილდება ყურადღება? რა სათქმელია მოტანილი? ერთგვარი გაფრთხილების წიგნია... რამდენად იცვლება გარემო არაღირებულისკენ და ფასეულობებს რა უხვდება წინ. ურთიერთდაპირისპირებაა სიკეთისა და სიავის, ეთერის ზღაპარიც რომ ცხადყოფს და ხშირად ამ ზღაპრისა გვჭირს...

ორი ძალიან მეტყველი, სახასიათო სურათია, გრანდიოზული პასაჟი, სრულად რომ ასახავს ამ ეპოქას...ერთი, იუბილე - ვითომ პოეტს რო უხდიან და ყურადსაღები შენიშვნა:- „მოდებულიყო „ტანჯულის კომპლექსი“ და მკურნალობდნენ იუბილეებითა“. ბურთა პოეტი - ასე იხსენიებს. ყალბი, არაჯანსაღი გარემო როგორ საინტერესოდაა გადმოცემული და მნიშვნელოვანი სიმბოლური თქმა - „ფრიდონი გააძევეს, ამათ გააძევეს და თვითონვე მოსთქვამდნენ, ვეწამეთო, ვიჩაგრებითო.“ (გააძევეს არაპირდაპირი მნიშვნელობით). თვალსა და ყურს აღარ უჯერებს იგი - ფრიდონი, ცხოვრების ნამდვილი გმირი და შვილი, და იდუმალი კითხვაც: - ნეტავი, ესენი ვიღანი ბრძანდებიანო და ამაზე არც არავინ ფიქრობდაო იქ. როგორ გაკილვით წერს ავტორი ამ დამჩემებელ ტვირთშემცილეებზე, ჩამნაცვლებლებზე... ყველაფერი შესაძლებელია ამგვარ გარემოში, არასაპატიო საპატიო შეიქნა... ადამიანი თუ ხდება უგრძნობი თავის ფასს და მნიშვნელობას ყველაფერი კარგავს და რაც უპირობოდ, უდავოდ უნდა გადარჩეს, სასწორზე იდება. მიტომაცაა ეს დიდი ხაზგასმა: - სიბრძნე ისე გაჯაზებულა, ხალხური ისე გაჯაზებულა... შემდგომო, - „რუსთაველსაც გადაჯაზებენ, გრიგოლ ხანძთელსაც... შუშანიკი ჰო... აბო თბილელსაც გადააჯაზებენ, კოლაელთაც... გადააჯაზებენ დიდგორსაცა, წიწამურსაც... კრწანისსაცა... ღმერთმა ნუ ქნასო“, მაგრამ ვინ უწყის, კიდევ როდისღა გაგვიგონებს ღმერთიო...

აქვე, სანამ მეორე გრანდიოზულ ეპიზოდზე გადავიდოდეთ, ერთი კიდევ მკვეთრი ტიპაჟი და აქტუალური სახე მაღალი მდგომარეობის კაცისა. იგი საჭირო კაცია, მაგრამ არა სასარგებლო - უშანგი, რომელიც ცხოვრებას თავში მოქცევია. გავლენიანი კაცია; გავლენიანობაა ყველაფერი და არა გამორჩეულობა...

მისი მძღოლის ამოთქმა, დარდით ამოძახილიც რაოდენ მტკივნეულია - „იკარკაცოს, იკარკაცოს, მე ჰო ვიცი თუ რა შვილიც ბრძანდე-

გაგრძელება გვ. 19

ჯანმრთელობა

მოკალი ფეხის, მუხლის და თეძოს ტკივილი ამ 6 სავარჯიშოს მეშვეობით





ზოგადი სტატისტიკა აჩვენებს, რომ მსოფლიო მოსახლეობის 15-25% მუხლის ტკივილებით იტანჯება. მუხლის ტკივილი ყველაზე გავრცელებული ქრონიკული ტკივილია.

ტკივილის გამომწვევი მიზეზი შეიძლება დაღლილობა, ტრამვა ან სხვა ავადმყოფობა იყოს.

ჯენიუსი გთავაზობთ 6 შესანიშნავ ვარჯიშს, რომელიც სახლში თქვენივე ძალებით შეგიძლიათ შეასრულოთ. შედეგი იმდენად კარგი იქნება, რომ ქრონიკული ტკივილი საბოლოოდ გაქრება და ცხოვრების ხალისი დაგიბრუნდებათ.

პირველი ვარჯიში: ქუსლის გაძლიერება

ნელი მოძრაობით მოხარეთ ფეხი და საყრდენი ფეხით აიწიეთ თითის წვერებზე. გაჩერდით რამდენიმე წამი და დაუბრუნდით საწყის პოზას. მოქმედება თითოეულ ფეხზე 15-20-ჯერ გაიმეორეთ.

მეორე ვარჯიში: თითის წვერებზე სიარული

5-15 წუთის განმავლობაში იმოძრავეთ თითის წვერებზე. თუ არ დაიღლებით, 15 წუთზე მეტიც შეგიძლიათ. აღნიშნული გააძლიერებს მყესებს და თქვენი შემდგომი მოძრაობები მეტად თავისუფალი იქნება.

მესამე ვარჯიში: წვივის ტრიალი

დაჯექით სკამზე, აწიეთ ერთი ფეხი და დაიწყეთ წვივის მოძრაობა ისე, როგორც ფოტოზეა ნაჩვენები. ჯერ საათის ისრის მიმართულებით ამოძრავეთ 10-ჯერ, შემდეგ საპირისპირო მიმართულებით.

მეოთხე ვარჯიში: წინააღმდეგობის დაძლევა

წელვადი რეზინა დაამაგრეთ მყარად, გამოიბით ტერფზე და მოქაჩეთ 10-ჯერ.

მეხუთე ვარჯიში: თითების გაძლიერება

მყარ ზედაპირზე დაყარეთ ასანთის ღერები და ეცადეთ ფეხის თითებით, ხელების დაუხმარებლად აიღოთ ისინი.

მეექვსე ვარჯიში: ბურთზე სიარული

დადეთ ჩოგბურთის ბურთი იატაკზე და დააბიჯეთ ფეხი, ნელ ამოძრავეთ ბურთი ფეხის გულით წინ და უკან.



+ ბონუსი: ორი წერტილის ეფექტი

დამღლელი დღის შემდეგ, როცა ფეხები აღარ გვემორჩილება, იდეალურია ფეხის მასაჟის გაკეთება. როგორც ფოტოზეა ნაჩვენები, თქვენს ფეხზეც მონახეთ ორი წერტილი და 10 წუთით გაიკეთეთ მასაჟი. შედეგი შესანიშნავი და უსწრაფესი იქნება.

სისხლნაკლებობის დროს...

როგორც პოლივიტამინური საშუალება, გამოიყენება ასფურცელას ნაყოფის ნაყენი: 2 ჩ/კ-ს დაასხით 2 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 1 სთ, დაუმატეთ შაქარი გემოვნებით. გადაანაწილეთ 3-4 ულუფად. დალიეთ დღის განმავლობაში.

ძალზე სასარგებლოა ახალმომზადებული უმარილო ბრინჯის ნახარში. 1/2 ჩაის ჭიქა ჭამის წინ.

ყოველდღიურად უზმოზე საჭიროა 100 გრ გახეხილი სტაფილოს მიღება არაჟანთან და მცენარეულ ზეთთან ერთად.

ნახევარ ჩაის ჭიქა ჭარხლის წვენს დაუმატეთ 1 ჩ/კ თაფლი, მოურიეთ. ნარევი 3 ულუფად გადაანაწილეთ და დღის განმავლობაში ჭამამდე 1 საათით ადრე მიიღეთ. სამკურნალო ნარევი 2 კვირის განმავლობაში ყოველ დღე უნდა მოამზადოთ.

„ამ ინფორმაციის წაკითხვის შემდეგ ყოველდღე ვსვამ ყავას. სწორად დალევა უმთავრესი ყოფილა ჯანმრთელობისთვის.“

როგორ მოქმედებს ყავა ჩვენს ორგანიზმზე.

1. ამცირებს ალცჰაიმერისა და პარკინსონის დაავადებების გაჩენის რისკს

ტამპში, ალცჰაიმერის დაავადების კვლევის ცენტრში, ამერიკელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ კოფეინისშემცველი სასმელები ამცირებს ამ დაავადების გაჩენის რისკს 65 %-ით. ამისთვის აუცილებელია დღეში 1-3 ფინჯანი ყავის მიღება.

სანტა-კატარინის უნივერსიტეტის ბრაზილიელმა მეცნიერებმა კი დაასკვნეს, რომ ყავამანები პარკინსონის დაავადებით 20% უფრო იშვიათად ავადდებიან, ვიდრე დანარჩენები.

2. ამცირებს ღვიძლის ცეროზის განვითარების რისკს

მარიო ნეგრის ფარმაკოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა შეისწავლეს ყავის ზემოქმედება ნაღვლის ბუშტის ფუნქციონირებაზე და დაადგინეს: აღნიშნული სასმლის რეგულარული მოხმარება ღვიძლის ცეროზის გაჩენის რისკს ორჯერ ამცირებს.

3. აძლიერებს გულ-სისხლძარღვთა სისტემას

სინგაპურის ნაციონალური უნივერსიტეტის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ჰარვარდის სკოლისა და ბრიგჰემის ქალთა საავადმყოფოს სწავლულებმა დაამტკიცეს: დღეში 3-5 ფინჯანი ყავის მიღება ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გაჩენის რისკს 3-ჯერ.

4. ამცირებს ონკოლოგიური დაავადებების რისკს

XX საუკუნეში მეცნიერები ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ ყავა მავნეა ჯანმრთელობისთვის და კიბოს იწვევს. თუმცა, მარიო ნეგრის ეპიდომოლოგიური დეპარტამენტის მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ ყავის მოყვარულებში პროსტატისა და სარძევე ჯირკვლების სიმსივნის გაჩენის რისკი გაცილებით დაბალია.

4. ამცირებს ონკოლოგიური დაავადებების რისკს

XX საუკუნეში მეცნიერები ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ ყავა მავნეა ჯანმრთელობისთვის და კიბოს იწვევს. თუმცა, მარიო ნეგრის ეპიდომოლოგიური დეპარტამენტის მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ ყავის მოყვარულებში პროსტატისა და სარძევე ჯირკვლების სიმსივნის გაჩენის რისკი გაცილებით დაბალია.

5. ხელს უშლის მე-2-ე ტიპის დიაბეტის გაჩენას

ადრე ჩვენ გვაშინებდნენ იმით, რომ ყავას შაქრიანი დიაბეტის გამოწვევა შეუძლია. თუმცა, ოდენსეს, ორხუსკის უნივერსიტეტებისა და ორხუსკის უნივერსიტეტის საავადმყოფოს სწავლულებმა საწინააღმდეგო შედეგი მიიღეს.

კაფესტოლის წყალობით, რომელიც აღნიშნული სასმლის შემადგენლობაში შედის, კუჭქვეშა ჯირკვალი გამოიმუშავებს მეტ ინსულინს მასზე გლუკოზის ზემოქმედების მომენტში.

სწორედ ამიტომ, ის, ვინც რეგულარულად სვამს ყავას, უფრო იშვიათად ხდება მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებული.

6. უფრთხილდება სახსრებსა და ნაღვლის ბუშტს

ყავა აუმჯობესებს მეტაბოლიზმს და ასტიმულირებს სისხლიდან შარდის მჟავის გამოყოფას, რითიც ხელს უშლის პოდაგრის განვითარებას. ეს ფაქტი ბრიგჰემის ქალთა საავადმყოფოს სწავლულებმა დაამტკიცეს ჰარვარდის მედიცინის სკოლასთან ერთად.

კოფეინი ხელს უშლის ნაღვლის ბუშტში კენჭების გაჩენას. ამერიკელმა მედიკოსმა, სკოტ გოტლიბმა დაადგინა, რომ დღეში ყავის 1-3 ფინჯნის მიღება ამცირებს ამ დაავადების რისკს 4 %-თ, 3-5 ფინჯანი კი მთელი 45%-ით.

7. აუმჯობესებს კუნთოვან ძალას და კოორდინაციას

კოვენტრის უნივერსიტეტის სწავლულებმა დაამტკიცეს, რომ კოფეინი აუმჯობესებს ადამიანის ამტანობას, ზრდის კუნთოვან ძალას, ამცირებს დაცემისას მოტეხილობისა და ღრძობის რისკებს.

სწორედ ამის წყალობით, ყავის მიღება რეკომენდებულია ხნიერი ადამიანებისთვის.

8. გათავისუფლებთ ნაოჭებისგან და აახალგაზრდავებს ორგანიზმს

ესპანელმა მეცნიერებმა, გრანადის უნივერსიტეტიდან, დაადგინეს, რომ ყავა შეიცავს ანტიოქსიდანტებს, რომლებიც, ვიტამინ C-სთან შედარებით, 500-ჯერ უფრო ძლიერია.

კორეის ქალთა უნივერსიტეტის სწავლულების მიერ ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ ყავის ექსტრაქტი აგლუვებს ნაოჭებს, კოლაგენს ინახავს უჯრედებში, რითად ორგანიზმს ხელს უშლის სითხის დაკარგვას. შედეგად, ყავამანები უფრო ახალგაზრდად გამოიყურებიან მათ ასაკთან შედარებით.

ყავის ექსტრაქტის დამზადება სახლშიც შეგიძლიათ. მის შემადგენლობაში შედის ხსნადი ყავა, წყალი და შაქარი. ეს კონცენტრატი შესანიშნავი დანამატია კოქტეილების, დესერტების, ნაყინისა და ტორტებისთვის.

9. ყავა – დღეგრძელების სასმელი

დოქტორებმა, მერფიმ და გიუნტერმა შეისწავლეს სიკვდილიანობის დონე ევროპის 10 ქვეყანაში და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყავის მოყვარულები უფრო დიდხანს ცოცხლობენ.

წყარო: https://genius.ge/23056-fexis-muxlis-da-tedzos-6-varjishi/

ოთარ ჩხეიძის დიდი გენია

დასაწყისი გვ, 17

ბა?... თავი მოაქვს პატიოსან კაცად და ყველა სიგლახეში ფეხი უდგია. ყველა წუმპიდან ამოდის და სხვისი ეშმაკობა უკვირს“, როგორ გაენდობა ფრიდონს გულმოსული, - „ჭკვიანი ხალხი რიგში დგანან მაგის კარებთანა. არავის არას არგია, თვალში ნაცარს აყრის ყველასა და მაინც ისევე იქავე დგანან, ისევ ნაცარს იყრიან და ისევ მოდიან, ისევ ნაცარი რო ჩაიყარონ თვალებშია.“ ამათ რო ვუსმენ, აღარავისი აღარ მჯერაო... ამრევია ვინ როგორიაო და მისგან ნაჩუქარ რადიოლასაც გადასცემს - სამოთხის გასაღებიც იყოს, არ მინდაო... და მთავარნატვრა, - როგორიც რო ვიყავი ის მინდა ვიყვე: კაცისა მწამდესო... კიდევ ერთი გენიალური შტრიხი უშანგიზე, არაგვს გაივლიან და საცნაური თქმა: - „უშანგი ბარათაშვილი ვერ იქნებოდა, ვერ განიცდიდა მშვენებას არაგვისასა, ვერც შესძახებდა ქართველურადა...“ და ხატოვანი მინიშნებაც, „არაგვი ეგდო სადღაც ჰე, ძირსა, მალე რო აღარც ეგდებოდა, დამდორდებოდა, დატბორდებოდა...“ ადამიანს აღარ ედო ხელი ცხოვრების მაჯაზე და უქრებოდა ცხოვრებაც, ელეოდა. ის ძარღვი, ის კავშირი, უცილობელი გზნება დაკარგულიყო. ამადაც ამბობს, ყველაფერთან ერთად „მშვენიერებასაც ეზიდებოდნენ“... ან, -„რა არის მშვენიერი მერკანტილურ საუკუნეში.“ კილოვატები მილიარდებიაო... მყინვარიც რო ხელს გიშლიდეს, მოაძერ, მოაძერ... ანუ როგორ შეიძლება ერთ დღეს ყველაფერს ეცვალოს სახე, იერი, ფასი და დიდია ეს ჩამონათვალიც... უთავმიზნო, პარტახი გრძნობები თავჩენილიყო და ღირსება მიქვათახევებული იყო.

ახლა, მეორე გრანდიოზული ადგილი - ვაჟაობაზე, ვაჟა რო დავიწყებოდათო... ფურცელშემოსეული ხალხი, მიტინგს რო ხსნიდნენ გამომსვლელების ბღუჯა ფურცლითო, - ბღუჯა რო ექირაო ფურცლებისაო... ორი გენიოსის შვილის ამბავიც - ვაჟასი და ბარნაველისა, ვაჟას შვილი რო ჩივის - საგულდაგულოდ, ესეც ცალკე თემაა... და ვაჟა რატომ დავიწყებოდათ? - ყველაფერზე საუბრობდნენ, გარდა ამისა. მთავარი დავიწყებოდათ და აზრი შეჩერებულიყო - მატყლზე, ხორცზე, ყველზე, ენერგეტიკის პრობლემაზე, გაზიფიკაციაზე და ეს რიცხვებიც რო გაუქრა ფრიდონსო - დამსწრეს უხერხული ღონისძიებისა... „მხოლოდ მიკროფონი ისევე გადადიოდა მალაყსა აქეთაცა და იქითაცა...“ არავის რო არ ეხამუშებოდა და ეჩოთირებოდა, ფრიდონის გარდა.

„ვაჟასნაირი ვეღარავის ვეღარ წარმოუთქვამსო... რაც რო ნაღები მოგვეპოვებოდაო, ვაჟამ მოგვხადა და შრატნიღა დავრჩითო,“ - როგორ ჩაურთო ესეც თხრობაში, შვილს ათქმევინა და „გამოდიოდნენ, კითხულობდნენ და კითხულობდნენ, ნაღებმოხდილ ლექსებსა კითხულობდნენ“...ზედმეტია ფრიდონი, კარგი გაგებით, იმ საზოგადოებისთვის, რომლის შეფასებაც დევს, რომ ნაღებმოხდილია, თავმორთმეული, თავანართმევი ვეღარ სწევდა მაგივრობას ... საგანგებოდ შენიშნავს იმასაც, რომ ვაჟას ცხოვრება არ იყო ღარიბული, როგორც მკვლევარები ირწმუნებიანო; ღარიბული არა, უბრალო ცხოვრება, ბუნებრივი ცხოვრებაი ბუნების შვილისაო... და, ისევ, პარალელი არაგვთან დაკავშირებით, როცა ბრუნდებიან - არაგვს თავისი ქარი მოსდევდაო, „რო ჩაემუხლათ, პური გაეტეხათ, თვალს მოატყუებს და ცხენს მოაძოვებსო, - ამისი რა გითხრა... მიჰქროდნენ, მიჰქროდნენ.“ დღეობაზე მიმავალიც და იქიდან მომავალიც ისე აცდა არაგვს, როგორადაც შორს იყო მისი მგოსნისგანაც... არსად იმგვარი განცდა... აჩქარებულიყო უგულო დრო... გაურბიხარ იმას, რამაც სული უნდა მოგათქმევინოს, ძალა უნდა მოგიდგას. მართლაც, რომ თვალსა და ხელს შუა გიქრება წუთისოფელი... ანდა, სანაცვლოს რას პოულობ, ამის მიღმა თუ დარჩი. ყველა სფეროს უკვე იკავებენ საშუალო ადამიანები. სარბიელზე ისინი არიან. საშუალო ადამიანი იდეურ გადაწყვეტას ვერ მიიღებს. საშუალო ადამიანი იდეას ვერ მოემსახურება! ეს გამოიწვევს თანდათან ადამიანური ინტერესების დეგრადაციას, დაზიანებას და ძალიან დიდ სახეცვლილებას მივიღებთ ყველაფერ ამისგან. გამწევი ძალა იყვნენ დიადი ადამიანები და საშუალოობა ვერ შექმნის ატმოსფეროს ქვეყანაში, ვერ შექმნის მომავალს, ვერ შექმნის სიძლიერეს... „დასტკბით თქვენი ბედნიერებით, დასტკბით, რახან რო ტკბობაა ყველაფერი და სხვა არაფერი არაფერიაო....“ ფრიდონს ფეხი და გული ვეღარ შეუწყვია ამ გარემოსთვის... აკი სხვა თავგადასავალიც აქვს.

კიდევ ერთი შტრიხი ამ არასახარბიელო მდგომარეობის: - „მთაწმინდა ასე დაბლა რო ჩამოწეულიყო, ზედ რო გადადიოდა საბაგირო გზაცა, ტრამვაიც რო ზედ გადადიოდა, ლამის შენობები რო ჩამოჰფარებოდა, მაღალი შენობები... რო აწეულიყო ჯებირები მდინარისა, აწეულიყო, აწეულიყო ყველაფერი თბილისში, მთაწმინდის გარდა ყველაფერი რო ამაღლებულიყო“... ლამისო, ხელს გაუწვდენდიო, თუკი იკადრებდი და შებედავდიო.... თვალშისაცემი უსახურობა!.. დათვი რო საძაღლე გახდაო, იმისი საქმე ნახდაო. „დიდი მთაგრეხილის“ ქვეყანას სხვა სიმძიმილი დასდგომოდა... სხვის უღლისქვეშ ყველაფერი გარდასახულიყო. ღვთისდარ ქვეყანასაც და ადამიანსაც პირი არასასიკეთოდ ეცვალა...

ღმერთზეა საოცარი სტრიქონები და ამირანის მითის ნაკადი იჭრება თხრობაში... „ძალა და ჭკუა ერთად თუ ყოფილა... სიკეთეს სიავე მორეოდა... 'მინაწყლიანადაცა, წესწყობილებიანადაცა, ისტორიანადაცა, მიისაკუთრეს, მიითვისეს და კუდმოკლე წარსული თავიანთი ამოავსეს უდიდესი წარსულითა, სხვათა წარსულითა.“ მითოლოგიური ნაკადი იჭრება ამ სხვაობის სურათის წარმოსაჩენად, სხვამ რა მოიტანა ჩვენს წუთისოფელში... ჩვენს კუთვნილ გარემოში სხვა პოულობდა თავის წილს, იხვეჭდა, ამიტომაც გვიჩვენა მთლიანობის დაშლა - წახდენა: იმ ირმით, ხოხობით, ვენახზე გულის აყრით, იგავით, აივნების თბილისით... რაც გარდასულიყო, გარდასახულიყო თავსმოხვეული ცვლილებით. ხან უცვლელობაც სავალდებულო ყოფილა. ამიტომაც ამბობს, რომ „ცვალებადობა მარადიული იყო და ცვალებადობა იყო უცვლელი და უცვლელი იყო მარადიული“... სახეცვლილი გარემო იმ სხვას უმართავს ხელს და არა ქვეყნის პირმშოს... გულის ძილით თუ არ გძინავს, მწერლისა არ იყოს, გაიგებ ამას.

ბუნებრივის და ხელოვნურის დაპირისპირებაც არის რომანში და არჩევანიც - რაა უმჯობესი... არცა სხვის გუნებისად არ ეწყობა ქვეყანა, არ ეწყობა სამშობლო. ეს ჭიდილიც ისე საოცრად ალეგორიულად გადმოსცა მერე, ხატოვნად, მკაფიოდ, რომ სიმძიმილი კი არაა მასში, საამაყოა, სისხლხორცეულად შეთვისებული თუ ხარ შენს გარემოს... მაშინ ხარ მთლიანიც, ძლიერიც, რითაც იწყება - „დიდი მთაგრეხილი“, თუ ამ დიდში ხარ მოქცეული, ძალმოცემული. ძალიან დიდ ალეგორიას ქმნის უკვე, რასთან გვაქვს საქმე და გამოსავალი რაშია... ვნახოთ, ვისი სახე ცოცხლდება ამ დროს? - „აქ დაებორკათ ღმერთი“, ღმერთია აქ და აქ უნდა იყო, სადაც ისაა, არა იქ - სადაც უშანგია, ან ბურთა პოეტი. - „აქ დაებორკათ ღმერთი. ესენი ბორკილით იქ მოეყვანათ, რო დაემცირებინათ, რო გაემწარებინათ, კიდევ უფრო და უფრო რო დამტკბარიყვნენ გამარჯვებით... სტკიოდა მაჯები ნაბორკილანი“... დიახ, შენც უნდა გეტკინოს ის, რაც სტკივა ღმერთს!.. როცა წყეული დროა და აკი გვიამბობს კიდეც, ხატებს როგორ წვავდნენ, როგორ მართავენ ხატების ჭიაკოკონას (რაც მანამდეა მოგვითხრო)... ვინ შეიძლება იქმოდეს ამას?! მოსული, აი, შტრიხიც მათზე -„სვლეპავდნენ, რო არ იცოდნენ ღვინო რა იყო, ყურძენი რა იყო, ვენახი რა იყო... არაფერი რო არ იცოდნენ... სვლეპავდნენ და გორაობდნენ, გორაობდნენ და ხარხარებდნენ.“ აი, ვინ იქმს!.. ასეთია დამაქცევარის შინაგანი სახე, იმან რა იცის შენი მადლის და რას უნდა უფრთხილდეს? ის აღასრულებს, რაც მისი წესია. მანვე მოიტანა გაუფასურება, გაუსაძლისობაც. სადაც ესაა - ღმერთდაბორკილობა, იქ გამარჯვებაც დროებითია და იმ სახედაკარგულ გამარჯვებულებს ასე უგვანოდ, უმსგავსოდაც გვიჩვენებს, არაადამიანური შტრიხებით: სვლეპენ და მუსრავენ ხითხითით... სიყვარულის თვისებაა მადლი; ბედნიერებას სიხარული უყვარს და სწადია, აღრევა, ქაოსი თავისთავად მტარვალობაა და დროებითი მოვლენა... გადატანითი მნიშვნელობით, როგორ ალეგორიულად ითქვა ყოველი, ძალუმად... „შავი ღრუბელი მოეყარა ამირანის თავზედა... კავკასიონზეო, ეს ერთი სახელი ძლივს დაესწავლათ“.... და აქვე, ახალწოდება: „ამირანთელები“ - მოდგმა ამირანისა, მხსნელის და დაუსრულებლობა ამისა... ეს გრძელდება, ეს, მისია, როგორც რო დავალება, როგორც რო წესი.... როგორ იწყებს თავიდან და როგორ ასრულებს. ეს სურათია მთავარი და არა ის, ბოლოს რა ჩანს ან მიმდინარე ამბები, ეს კი ხდება, მაგრამ ამის მიღმა რაა კიდევ? ესაა აქ მოქცეული, როგორც არსი, ცხოვრების დედააზრი... ამიტომაა, რომ არც ფრიდონი ირიდებს ხვედრს, არც ჯუანშერი... ეს არის ის მარადიული უცვლელობაც, ზემოთ რო ითქვა... და უკვე, რასთან იგივდები შენ... თუკი ღმერთი დაბორკილია, ამირანის თავს შავი კუნაპეტი ღრუბელია, შენ სად ხარ როგორც ქართველი! უშანგივით შეგიძლია აუარო გვერდი არაგვს, უგანო ბარათაშვილს, უყელო, აუქციო მხარი ცხოვრებას, გაექცე თუ აქ ხარ!.. დიდი სიცოცხლე ესაა!.. თუ ეს ყველაფერი გაგისხლტა ხელიდან, რად ღირხარ მაშინ!.. აქ ხარ თავისუფალი და არა იქ, უშანგივით რო გაუქროლებ არაგვს, ან ბურთა პოეტივით ყასიდად როცა გამკობენ... მაინც ეს არის, ყველაფრის მიუხედავად, ის დიდი, არსებითი, ის იდილია, ურომლისოდაც არარაობა ხარ. ამ ტკივილნარევი, ამ ტკივილნაზავი ცხოვრებით ადამიანობ შენ!.. აქაა ის „მართებული გარჯაც, უმართებულოდ დასჯაც“ რომ უხვდება... სიცოცხლის ძალაც ამაშია. აქ უტოლდები იმ დიდ მთაგრეხილს, იმ ამირანს, ღმერთს!.. იქ, სადაც ორომტრიალია ქვეყნის, უშანგის, ბურთა პოეტის, იკარგები, შორდები თავს, აქ კი პოულობ შენს თავსაც და მისიასაც. სად განხორციელდები, სად დადგინდები!.. ჯუანშერსაც მიტომ ვერ შველის უშანგი, ის არაა გადამრჩენელი... (ჯუანშერიც რა ფასეულობას ატარებს, ესეც ცალკე თემაა)... მისი, პატიმრის ეპიზოდითაც სრულდება და რას თხოულობს იგი?! ხატს, ისევ მაგითი თუ მოვიბრუნებ სულსაო. ხატის სიმბოლო ანუ იმედი რჩება, მაგრამ რომელი ხატია ეს?! წმ. გიორგის! - „ტყვეთა განმათავისუფლებელის, უძლეველის, წინამბრძოლის“... ამირანის შემდგომ წმ. გიორგი - არა მიჯაჭვული, არამედ წინამბრძოლი! მხსნელი!..

დასკვნა ასეთია: კი არეულა ეს ქვეყანა, მაგრამ უცვლელია, ფრიდონი ჰყავს, ჯუანშერი ჰყავს, დიდი ვაჟაა მისი შვილი, განუმეორებელი ქვეყანაა, წმ. გიორგის ხატქვეშ და საფარველქვეშაა, როგორც ის პატიმარი, რომელიც რჩება ამ ხატის ამარა და ყველაზე საიმედო მცველთან რჩება!.. არც ის დავივიწყოთ რა დროში იწერება ეს სტრიქონები, ხოლო რაც აკლდა დროს ისევ სიყვარულს უნდა შეევსო!.. იდეალს ემსახურება ის, ვინც თავის თავი დათმო... ასე რომ, დამანგრევლებსაც არ გამოსდით ყველაფრის დანგრევა... მხოლოდ იდეალურს და სამაგალითოს ძალუძს სიკეთეს გადაჭარბოს, თავს გადააჭარბოს!.. დრო კი გამოცდაა... მოსარევის მორევის პრინციპია აქ, ასე ვიტყოდი, დასაძლევის დაძლევისა და ასევე, ტკივილია სანაცვლო რაღაცას რო მიაგნო.

კითხულობ ნაწარმოებს და სული გეკაწრება, გარღვევს და გამთლიანებს, შიგნიდან ირღვევი და მთლიანდები იმგვარი წიაღსვლებია... თუ შენი სამშობლოს შინაური ხარ ამ წიგნს გაუგებ!..

და სულ ბოლოს, - რას გავუყვივართო, ჩვენვე თუ არ გავიყავითო თავი... (ილიას და მოხევის დასასრულივითაა, ეს ბოლო აკორდი, ძალიან მჟღერი, ძალიან ინტონაციური, ვითარცა საგანგებო მახვილი).... როგორი საამაყოა, რომ ეს დაიწერა იმ შეუძლებელ დროს, დაიწერა ვაჟკაცური გამბედაობით, ესოდენ სიყვარულით, სიბრძნით. ისევ საბას ლექსიკონიდან მოვიხმობ: „საზრუნავი - სანაღვლო საქმე;“ „ზრუნვა - შიში დაცემისა.“ მწერლის გარჯის თავსაწყაურიც ეს არის. შემოქმედი იმ ვალით დადის, რაც კაცური კი არა, კაცადკაცურია, როგორც ერთ რომანში განაცხადა: -„ღირსებაც კაცურია, სისუსტეცა, სიკეთეც კაცურია, სიავეცა, მაგრამ არის კაცადკაცურიცა, ეს სიავის აცილებაა, ეს სისუსტის ძლევაა“... მართლაცდა, თავისივე გმირზე თქმული სხვა ნაწარმოებში: „სიტყვას იმისას რო ფასი ჰქონდა, ნათქვამს იმისას რო ძირს არ დაუშვებდნენ“, თავადვე ესადაგება. სატევარივით უხვდება გადაგვარებასაც და კვალკეთილადაც მიგვიძღვის! ! ასეთი რჩეულებით რჩეულობდა ეს ქვეყანა და კვლავ ერთი პასაჟი, როგორც თავარსი, შემკვრელი ყველაფრისა, ბოლოთქმად ერთი დიალოგიდან: - სიყვარულიო, - რომ ამბობ, რა ღირს ეგ შენი სიყვარული? და პასუხი - განუზომელია...

მწერლობა ფასეულობათა საცავია!

ლალი ბარძიმაშვილი

- მთავარანგელოზობა
19 სექტემბერი, 2019.

მშვიდი და მდაბალი ღმერთი

ჭეშმარიტებასა და სათნოებებს ვერავის მოახვევ თავს ძალით. ასევეა მშვიდობაც - იგი თავისუფალი ნების გამოვლინებაა. სხვაგვარად არც იქნება ის მშვიდობა. ჩვენ თავმდაბლად უნდა მივილტვოდეთ მისკენ. ვილოცოთ მშვიდობისათვის მთელი გულითა და სულით, გულწრფელი სინანულით. ამგვარად მივეახლებით ხოლმე ჯვრის საიდუმლოს, რომელიც გვცვლის ჩვენ - ქედმაღალთ მოსიყვარულეებად გვაქცევს. ეს სიყვარული საქმით მჟღავნდება, შემდეგ ახლობლებსაც გადაეცემა. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ცხოვრებისეული უსიამოვნებანი ადამიანებს აბოროტებთ. ჩვენ ვიტყოდით: ადამიანის გულიდან გადმოედინება ის, რაც მასშია. თუ ბოროტებაა მასში, ბოროტება გადმოდის, ხოლო თუ სათნოებაა, სურნელი მოეფინება. ეს ღვთაებრივი სიყვარულის ნიშანია ადამიანში. ამრიგად, რა არის მშვიდობა? - მოყვასისადმი სიყვარულის გამოვლინება (წმ. გრიგოლ ნოსელი). ეს არ არის ადამიანური სიყვარული. ადამიანურ სიყვარულს ყოველთვის ახლავს მასტიმულირებელი საშუალება და გარკვეული მიზნისთვის ხორციელდება. ღვთაებრივი სიყვარულის მასწავლებელი კი თავად წმიდა სამებაა. მისთვის უცხოა ადამიანისთვის დამახასიათებელი სარგებლის მიღების ლოგიკა. ღვთაებრივი სიყვარულის ლოგიკა მაცხოვრის სიტყვებში ვლინდება: „რომელსა უნებს შემოდგომად ჩემდა, უვარ - ყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯვარი თვისი და მომდევდე მე" (ლუკ. 9, 29). ასეთი სიყვარულის საშუალებით ადამიანი მოიპოვებს მშვიდობას. პავლე მოციქულის სიტყვით: „სიყვარული სულგრძელ არს და ტკბილ; სიყვარულსა არა შურნ, სიყვარული არა მაღლოინ, არა განლაღნის, არა სარცხვენელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არამედ შერაცხის ბოროტი, არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა, ყოველსა თავს იდებნ, ყოველი რწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ. სიყვარული არასადა დავარდების..." (1 კორ. 13. 4-8). დიახ, ასეა - ის ადამიანური და ღვთაებრივი ენერგიის სიმფონიაა. ამაში მდგომარეობს ქრისტიანული ცხოვრების არსი. ისურვე და იმოქმედე ისე, როგორც სურს და მოქმედებს ღმერთი.

პირველყოვლისა, ჩავიხედოთ ჩვენს შინაგან სამყაროში, განვმარტოვდეთ ჩვენს გულებში. აღვავლინოთ ლოცვა ღვთის წინაშე, რათა გვასწავლოს ნება თვისი - „მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი". ამავე დროს, არ შევწყ-

ვიტოთ მონაწილეობა საეკლესიო საიდუმლოებებში, რაც ქრისტეს სხეულის ცოცხალი წევრობის მომნიჭებელია: „პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს". დაბოლოს, ვიტვირთოთ, შესაძლოა ყველაზე მძიმე ტვირთი, რაც მოყვასისა და მტრის პატიებას გულისხმობს: „ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა". სათნოებებით ვანადგურებთ ბოროტებას.

ღვთის ქმედება - ორიენტირია ჩვენი ქმედებისათვის. ქრისტე ღმერთმა „შეიყვარნა თვისნი იგი ამას სოფელსა შინა და სრულიად შეიყვარნა იგინი" (იონ. 13. 1), ვიდრე სიკვდილამდე. ჩვენც ვუთანაგრძნოთ მოყვასს, დავუთმოთ, მივუტევოთ და კეთილი ვუყოთ. ამავე დროს, გავიაზროთ ჩვენი საქმეების უსუსურობა იმასთან შედარებით, რაც ჩვენთვის განახორციელა ქრისტემ . სულიერი თვალი მივაპყროთ მაცხოვარს და ვისწავლოთ სამყაროს ხედვა ქრისტეში; ვისწავლოთ, როგორ მოვუტანოთ სარგებელი მოყვასს ყოველდღიური ყოფითი პრობლემების გადაწყვეტისას. მაცხოვარი ბრძანებს: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოვოთ განსუენება სულთა თქუენთა" (მათ. 11. 29). როდესაც ცხოვრებისეულ ყოფით ვითარებაში გამოვამჟღავნებთ მშვიდი და მდაბალი ღმერთის სულისკვეთებას, მაშინ ჩვენი სული მოიპოვებს მშვიდობას, რომელსაც ძალუძს დაამშვიდოს ჩვენს ირგვლივ მყოფი ადამიანებიც. მაშინ აღარ დაგვჭირდება საუბარი მშვიდობასა და სიყვარულზე, იმიტომ რომ თვით ქრისტე იქნება ჩვენში.

ამრიგად, ღვთაებრივი მშვიდობა თავად ქრისტეა. მისი მეშვეობით განხორციელდა შერიგება მამა ღმერთთან და ჩვენ ბუნებასთან. ღმერთის განხორციელება იმას ნიშნავს, რომ ის (ღმერთი) ჩვენი მშვიდობის საწინდარია. სასუფეველი დედამიწაზე მოღვაწებით იწყება. როგორც ღირსი მაკარი ამბობს: „თუ ეძებ ქრისტეს დედამიწაზე, ის ადამიანის გულებშია."

მშვიდობა, როგორც უკვე ითქვა, ღვთაებრივი მადლია, რომელიც გარდაქმნის ადამიანს. ამას მოწმობს ლიტურგიკული პრაქტიკაც: „მშვიდობა ყოველთა" - გვესმის მოძღვრისგან, უფრო სწორად ღვთისგან. მღვდლის მეშვეობით, როცა გვაძლევს ლოცვა - კურთხევას. ამდენად, მშვიდობა და ლოცვა - კურთხევა განუყოფელ ერთობაშია ერთმანეთთან. ღვთაებრივი მადლის ეს ერთობლივი ქმედება გარდაქმნის ადამიანს „დიდებითა დიდებად, ვითარცა - იგი უფლისაგან სულად". (2 კორ. 3. 18).

ცხადია, აქ დედამიწაზე, არ უნდა ველოდოთ სრულყოფილი მშვიდობის დამყარებას. ის არა მიწიერი, არამედ ზეციური მონაპოვარია. მაგრამ, იესო ქრისტეს მეშვეობით შეგვიძლია მოვეახლოთ მომავალ ცხოვრებას; ჩვენ გვეძლევა საშუალება მივეახლოთ სულიწმიდის მადლს, რასაც გულითადად ვუსურვებთ მთელ მსოფლიოს.[1]

მოამზადა

დეკანოზმა კონსტანტინე ჯინჭარაძემ

Xareba.net - ის რედაქცია

1 Зерцала Жизни. Арх. Христодул. გვ. 144-148.

სილარიბის დამთმენი მწყალობელს ხორცით, მაგრამ სანაცვლოდ სულის სიმშვიდეს მოიპოვებს

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404511658
მთ. რედაქტორი ლეილა ცომაია
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
ვებგვერდი: *http://ganmatavisuflebeli. webs. com*
ელ. ფოსტა: *ganmatavisuflebeli@yahoo. com*